კონტრაბანდა, თურმე, ბიზნესი ყოფილა A2

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება და რუსული მედია A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 11 სექტემბერი, 2004 წელი. №216 (765) | ფასი 50 თეთრი

# მშვიდობა ადამიანური კონტაქტებით



**"ჩვენ ცხრა თვეა, ველოდით ამ შეხვედრას. სიმართლე რომ გითხრათ, ცოტა ვღელავდით, მაგრამ პრეზიდენტთან საუბარი ძალიან გულახდილი და საქმიანი აღმოჩნდა,"** - აღნიშნავდნენ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ. მათი თქმით, საუბარი ზოგადად აფხაზეთის საკითხის გარშემო შექმნილ ვითარებას შეეხო, კონკრეტული თემები კი, მათ შორის - სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, განხილული არ ყოფილა.

გუშინ კანცელარიის კინოდარბაზში აფხაზეთის დეპუტაციისა და პრეზიდენტის შეხვედრა მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით შედგა.

პრეზიდენტი აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას სრულ მხარდაჭერას ჰპირდება.

**"თქვენ ხართ ჩემი პირადი მოკავშირე იმაში, რომ ადამიანური კონტაქტებით დავამყაროთ მშვიდობა აფხაზეთში და იქ, აფხაზურ დროშასთან ერთად ხუთჯვრიანი დროშა ავაფრიალოთ. ჩვენ არ განვიხილავთ აფხაზებს მტრებად და მათთან ომს არ ვაპირებთ, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ უნდა აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტი ბესლანში განვითარებულ მოვლენებსაც შეეხო. **"ჩვენ ვგმობთ ტერორისტებს, მათი სახე დიდი ხანია, ვიცით სოხუმიდან, გაგრიდან, გალიდან... ჩვენ ისინი მოვიშორეთ. რუსეთმა ისინი ჩვენ შემდეგ გაიცნო,"** - აცხადებს პრეზიდენტი.

ჟურნალისტები მხოლოდ პრეზიდენტის შესავალ სიტყვას დაესწრეს. აფხაზეთის დეპუტაციასთან შეხვედრა კი, მასმედიის გარეშე, საათნახევარს გაგრძელდა.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება კმაყოფილია პრეზიდენტთან შეხვედრით, თუმცა, როგორც დეპუტატმა ადა მარშანიამ განაცხადა, შეხვედრა **"ძალიან ზოგადი იყო და კონკრეტული საკითხები არ განხილულა".** ჟურნალისტებთან საუბრისას მან იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო შეხვედრაზე პრეზიდენტთან უფრო დეტალური საუბარი წარიმართება.

*24 საათი*

# "ვაგონი მიქრის"

## სოხუმი მოსკოვისკენ გზას რკინიგზით იკვლევს

ნინო გომართელი

12 წლიანი პაუზის შემდეგ გუშინ სოხუმის რკინიგზის სადგურიდან სოხუმი-მოსკოვის მიმართულებით პირველი სამგზავრო მატარებელი გავიდა. ექვსვაგონიანი მატარებლის გაცილების ცერემონიალი საკმაოდ პომპეზურად ჩატარდა და მას სოხუმის ხელისუფლების პირველი პირები, თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატები, სააქციო საზოგადოება "რუსეთის რკინიგზის" პრეზიდენტი და ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის უფროსი ვლადიმირ ვორობიოვი დაესწრნენ.

სოხუმის ხელისუფლებისა და რუსეთის რკინიგზის მესვეურთა მტკიცებით, სოხუმი-მოსკოვის სამგზავრო მატარებლის ამოქმედების შემდეგ, უახლოეს ხანებში, რუსეთსა და აფხაზეთს შორის სატვირთო მატარებლების მიმოსვლის აღდგენაც იგეგმება.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებასა და სააქციო საზოგადოება "რუსეთის რკინიგზას" შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, აგვისტოში მოსკოვის სამრეწველო-სამშენებლო კომპანია "რამპელმა" ფსოუ-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოები დაასრულა. იმავე კომპანიამ სოხუმის რკინიგზის სადგურში კაპიტალური რემონტი ჩაატარა.

სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით, საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს.

საგარეო უწყების მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რუსეთის ელჩს ქართული მხარის

გაგრძელება A3 გვერდზე

# დღე, რომელმაც მსოფლიო შეცვალა

ნიკა თარაშვილი

*2001 წლის 11 სექტემბრიდან დაიწყო საერთაშორისო ტერორიზმთან საყოველთაო ბრძოლის ათვლა. მთელი მსოფლიო ამ დღეს დაღუპულთა ხსოვნას მიაგებს პატივს და თვლის, რომ ისინი ვანდალურ აქტს შეეწირნენ. მაგრამ მსოფლიოს 6 მილიარდიან მოსახლეობაში ყოველთვის მოიძებნებიან ისეთებიც, რომელთათვისაც 11 სექტემბერი აშშ-ზე შურისძიების დაწყების სიმბოლოა. როგორც არ უნდა იყოს, 2001 წლის 11 სექტემბერს სრულიად უდანაშაულო ხალხი დაიღუპა. მათი მთავარი "დანაშაული" ის იყო, რომ ისინი, უბრალოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდნენ.*

გაგრძელება A5 გვერდზე




*სამი წლის წინ ნიუ-იორკში დატრიალებული ტრაგედიის თვითმხილველი მსოფლიოს ყველა ტელემაყურებელი გახდა.*

## პოლიტიკა

### პარლამენტი და მუშაობის ნოვატორული წესი



საშემოდგომო სესიის დაწყებისთანავე პარლამენტი მუშაობის "სრულიად ახალ და ნოვატორულ წესსზე" გადადის.

A2

## ეკონომიკა

### ლარი ისევ გამყარდება



"თუ ვინმე ფიქრობს, რომ მყარი ეროვნული ვალუტა ცუდია და კუპონების დრო მოენატრა, ჩვენ ამაში მონაწილეობას ნამდვილად არ მივიღებთ," - განაცხადა მანაგაძემ.

A4

## საზოგადოება

### დევნილები დევნილების წინააღმდეგ



მირზა ქოჩიაშვილი: "ამიერიდან მკაცრი კონტროლი დაწესდება, რათა კვლავ არ მოხდეს ბინების გაყიდვა-გაქირავება."

A6

## სამართალი

### "მართლმსაჯულებაში არაკვალიფიციურობა უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე კორუფცია"

ამბობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი პალიკო კუბლაშვილი.

A7

## ამინდი

| | 27/8 | 28/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 35 |
| ქუთაისი | 36 | 39 |
| ბათუმი | 34 | 39 |
| სოხუმი | 31 | 34 |
| ფოთი | 33 | 37 |
| თელავი | 31 | 34 |
| ზუგდიდი | 34 | 38 |
| გორი | 30 | 32 |
| ახმეტა | 31 | 33 |
| ჭიათურა | 33 | 36 |
| გაგრა | 28 | 32 |
| სამტრედია | 35 | 38 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8500 |
| ევრო | 2.1908 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2496 |
| რუბლი | 0.0716 |

# "ჩვენ აფხაზეთში სიყვარულით დავბრუნდებით, და არა ომით"

## საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრაზე

ეს შეხვედრა, ალბათ, დიდი ხნის წინათ უნდა გამართულიყო, მაგრამ იმდენი პრობლემა დაგვატყდა თავს, რომ აქამდე ეს ვერ მოხერხდა.

თუმცა არ ჩათვალოთ, რომ თქვენზე არ ვფიქრობთ და აფხაზეთის თემამ უკანა პლანზე გადაიწია ჩვენი პრიორიტეტების ნუსხაში.

ჩემთვის და ყველა ნამდვილი ქართველისათვის აფხაზეთი იყო, არის და რჩება მთავარ პრიორიტეტად.

ეს ყველას უნდა გვესმოდეს.

ამ ისტორიულ ეტაპზე ქართული სახელმწიფოს მთავარი დანიშნულებაა ქვეყნის გამთლიანება, გაძლიერება, აფხაზეთის დაბრუნება და მასზე კონტროლის აღდგენა. აფხაზეთზე კონტროლი მხოლოდ შევარდნაძის მთავრობისა და ხელისუფლების დაკარგული არ არის, ის მთლიანად საქართველომ დაკარგა. შესაბამისად, ის უნდა აღადგინოს არა მარტო სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ, ან თუნდაც მხოლოდ თქვენ, არამედ მთელმა საქართველომ.

საამისოდ ყველაზე მოკლე გაზა ამ პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტაა - საქართველოს მოდერნიზაცია, ეკონომიკური პროგრესი და ქვეყნის გაძლიერება.

ეს ყველაზე მოკლე და, ამავდროულად, სწორი გზაა.

მაშინ, როცა 1992 წელს ჩვენი მოსახლეობა 5,5 მილიონი იყო, დღეს კი 4 მილიონზე ცოტა მეტია; მაშინ, როცა ჩვენს გარშემო გაძლიერდა მტრული ძალები, ამ ვითარებაში თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შექმნისა და მოდერნიზაციის გარეშე ყველაფერი ხელახლა დასრულდება სრული კრახით.

გაგრძელება A8 გვერდზე

# ტერორიზმი და რუსეთ-ამერიკა - ბრძოლის განსხვავებული მეთოდები

გიორგი მესხიშვილი

რუსეთისა და ამერიკის "თანაარსებობის" ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, მათ შორის როგორც მსგავსების, ისე განსხვავების დანახვა შეიძლება. პირველი მსგავსება ისაა, რომ ორივე მათგანი, როგორც ანგარიშგასაწევი ძალა, მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე თითქმის ერთდროულად გამოჩნდა. ამ ფაქტს საინტერესოდ აღწერს ფრანგი ალექსის დე ტოკევი, რომელიც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობდა. თავის ცნობილ წიგნში, "დემოკრატია ამერიკაში", იგი წერს:

**"ამჟამად ორი დიდი სახელმწიფოა მსოფლიოში... როგორც ჩანს, ისინი ერთი მიზნისკენ ისწრაფვიან. მე ვგულისხმობ რუსებსა და ამერიკელებს. ორივე მათგანი შეუმჩნევლად გაიზარდა და მაშინ, როდესაც კაცობრიობის ყურადღება სხვაგან იყო მიპყრობილი, მათ მოულოდნელად დაიმკვიდრეს თავი ერთა შორის წინა რიგში და მსოფლიომ მათი არსებობა და დიდება თითქმის ერთდროულად შეიტყო".** ძირითადი განსხვავება მათ შორის არის გარემო, რომელშიც ისინი ჩამოყალიბდნენ და პრინციპები, რომლებზეც მათი სახელმწიფოებრიობაა აგებული. ამის წარმოსაჩენად ისევ ტოკევის სიტყვებს მოვიშველიებთ: **"ამერიკელი,** - წერს ავტორი, - **იბრძვის იმ დაბრკოლებების წინააღმდეგ, რომლებსაც ბუნება უპირისპირებს მას; რუსის მტრები კი ადამიანები არიან.**

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 აქტუალური თემა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 გულახდილად | B7 ქვირის TV პროგრამა | B8 სხვადასხვა

## კონტრაბანდა თურმე ბიზნესი ყოფილა

მცირე და პატარა ბიზნესის განვითარებაზე თურმე ცხინვალშიც აქტიურად ფიქრობენ. სამხრეთ ოსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ღონისძიებათა გეგმა დასახა. პალატის თავმჯდომარის როინ კოზაევის განცხადებით, რეგიონის ხელმძღვანელობა მეწარმეებისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნას აპირებს. **"მეწარმეები სამუშაო ადგილებს ქმნიან.**

**ამდენად, ჩვენ მათ მაქსიმალურად, უნდა შევუწყოთ ხელი. მიუხედავად იმ სირთულეებისა, რაც სამხრეთ ოსეთიდან საქართველოში ტვირთების შეტანასთან დაკავშირებით შეიქმნა, მეწარმეები აქ თავის საქმიანობას არ წყვეტენ. კერძოდ, ხელმოწერილია რამდენიმე შეთანხმება ვოლგოგრადის კომბინატთან - "მუკომოლთან", "ბაისადთან". ჩვენ გარკვეული პროდუქციის შეთავაზება შეგვიძლია ისეთი კომპანიებისთვის, როგორიც "კოკა-კოლა" და "ბლენდამედი". დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ჩვენი წინადადებებით დაინტერესებულნი არიან. გარდა ამისა, ურთიერთობა აწყობილი გვაქვს სომეხ და აზერბაიჯანელ მეწარმეებთან,"** - ამგვარი გეგმები აქვს კოზაევს. იგი, ამავე დროს, აღნიშნავს, რომ ქართულ მხრესთან ყველანაირი ურთიერთობა შეწყვეტილია. **"გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამხრეთ ოსეთში რუსეთიდან შემოსული პროდუქცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, თბილისში, ქუთაისსა და გორში რეალიზდებოდა. უკვე დღეს იქ ფასების საგრძნობი მატება იგრძნობა. ეკონომიკური კავშირები არ შეიძლება პოლიტიკოსების ხელში სათამაშოდ იქცეს,"** - მიიჩნევს კოზაევი.

*24 საათი*

## ფინანსური პოლიციის თანამშრომლები დაჭრეს

გუშინწინ გვიან ღამით გორთან მდებარე ერთ-ერთ რესტორანში სროლის ხმა ისმოდა. სროლის შედეგად მძიმედ დაიჭრა ორი ადამიანი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ორივე დაჭრილი ფინანსური პოლიციის თანამშრომელია. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა - სოსო კეჩხუაშვილმა და ჯიმი კაპანაძემ ერთმანეთი დაჭრეს. გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარი ინციდენტის მიზეზი მათ შორის მომხდარი შელაპარაკება გახლდათ, რაც მოგვიანებით შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ფინანსური პოლიციის დაჭრილი თანამშრომლების დაკითხვა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა. დაჭრილებს სასწრაფოდ ჩაუტარდათ გადაუდებელი ოპერაციები. როგორც ექიმები აცხადებენ, მათი მდგომარეობა ჯერ კიდევ საკმაოდ რთულია. ექიმთა ინფორმაციით, განსაკუთრებით მძიმეა ჯიმი კაპანაძის მდგომარეობა, რომელსაც ზურგის მხრიდან გამჭოლი ჭრილობა აქვს მიყენებული და მუცლის ღრუში არაერთი ორგანო აქვს დაზიანებული.

მომხდართან დაკავშირებით გუშინ დილით სხვადასხვაგვარი ინფორმაცია ვრცელდებოდა. მოგვიანებით ფინანსური პოლიციის უფროსმა დავით კეზერაშვილმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი უწყების თანამშრომლებმა ერთმანეთი დაჭრეს.

"ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს რესტორანში ცეცხლი გაუხსნა მოქალაქე ლევან ვარდოშვილმა. ისინი სწორედ მან დაჭრა მძიმედ", - ასეთია ფინანსური პოლიციის შეფის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. როგორც დავით კეზერაშვილი ამბობს, ლევან ვარდოშვილი, რომელმაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა დაჭრა ფინანსური პოლიციის თანამშრომლები, უკვე დაკავებულია.

"მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე სამი მუხლით აღიძრა. ეს მუხლებია - დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება და ხულიგნობა", - აცხადებს ფინანსური პოლიციის უფროსი.

*24 საათი*

## პატიმრობიდან გაათავისუფლეს

გუშინ საპროცესო შეთანხმებისა და სოლიდური თანხის გადახდის საფუძველზე ორმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა მოულოდნელად დატოვა საპყრობილე. ქუთაისის ავტოქარხნის ყოფილი დირექტორი ამირან ნაცვლიშვილი 75 ათასი ლარის გადახდის შემდეგ, ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილებით, პატიმრობიდან გათავისუფლდა.

გამოძიება ნაცვლიშვილს სახელმწიფოსთვის მიყენებულ 3 მილიონ ლარს ედავებოდა. თანხის გადახდის შემდეგ ნაცვლიშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა.

პროკურატურამ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა და პატიმრობიდან გაათავისუფლა აჭარის ყოფილი შს მინისტრი ილია წულუკიძეც. შეგახსენებთ, ყოფილი შს მინისტრი თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტებისა და ქრთამის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ილია წულუკიძემ დანაშაული ნაწილობრივ აღიარა და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 50 ათასი ლარი გადაიხადა.

*24 საათი*

### საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 15 სექტემბერს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 14 სექტემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2004 წლის 15 სექტემბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

*აუქციონის კომიტეტი*

### სს "საქართველოს სახალხო ბანკი" აცხადებს აუქციონს

აუქციონზე გასაყიდად გამოიტანება: ავტომანქანა BMW-525i, გამოშვების თარიღი - 1993 წელი, ფერი - მწვანე მუქი.

ავტომანქანის საწყისი ფასი შეადგენს - 4700 (ოთხი ათას შვიდასი) აშშ დოლარის ექვივალენტს.

აუქციონი გაიმართება 17 სექტემბერს სს "საქართველოს სახალხო ბანკის" სათაო ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N74, მეორე სართული, საკონფერენციო დარბაზი.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 55-55-00

# პარლამენტი და მუშაობის ნოვატორული წესი



*იურიდიულმა კომიტეტმა სასესიო კანონების განხილვა დაიწყო*

თამარ მჭედლიშვილი

*საშემოდგომო სესიის დაწყებისთანავე პარლამენტი მუშაობის "სრულიად ახალ და ნოვატორულ წესსზე" გადადის. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ირწმუნება, რომ 14 სექტემბრიდან, ანუ პლენარული სხდომების დაწყების დღიდან, პარლამენტარებს ზუსტად, "კვირებისა და დღეების მიხედვით ეცოდინებათ, რომელი კანონპროექტი რა დროისათვის იქნება განხილული და მიღებული, რაც აქამდე არ მომხდარა". თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საშემოდგომო სესიის მსვლელობისას დეპუტატებმა 140-მდე კანონპროექტი უნდა განიხილონ (რომელთაგანაც საკანონმდებლო ინიციატივების ნაწილი მთავრობას ეკუთვნის, ხოლო მეორე ნაწილი - კომიტეტებსა და ცალკეულ დეპუტატებს), პარლამენტში საკმაოდ დაძაბული კანონშემოქმედებითი საქმიანობა უნდა გაჩაღდეს.*

გუშინ ნინო ბურჯანაძე დახურულ კარს მიღმა კვლავ შეხვდა კომიტეტების თავმჯდომარეებს. როგორც გაირკვა, კოლეგებმა პარლამენტის თავმჯდომარეს კომიტეტების სამუშაო გეგმები წარუდგინეს. თუმცა საშემოდგომო სესიის დღის წესრიგის საბოლოო ვარიანტი მომავალ ორშაბათს, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განისაზღვრება. ამის მიუხედავად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ პარლამენტის სპიკერატმა საკუთარი საქმიანობის პრიორიტეტები უკვე განსაზღვრა - პირველ რიგში, ეს საგადასახადო კოდექსი და განათლების შესახებ კანონპროექტია. საკმაოდ სერიოზულად უნდა გადაიხედოს ის საკანონმდებლო ბაზაც, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას და ძალოვან სტრუქტურებს ეხება. ამავე დროს მოსალოდნელია რამდენიმე პრინციპული შესწორების შეტანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და პატიმრობის შესახებ კანონში (აქვე დავძენთ, რომ ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ კანონპროექტებისა, რომლის განხილვა პარლამენტის სპიკერატისთვის განსაკუთრებით საჩქარო და მნიშვნელოვანია).

იმის მიუხედავად, რომ პარლამენტში მთავრობამ უკვე შეიტანა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მის განხილვას ჯერ არ აპირებს. ამას კი მისი თავმჯდომარე რომან გოცირიძე შემდეგნაირად ხსნის: **"პროექტს აკლია მუხლი, რომელიც საგადასახადო შეღავათებს შეეხება. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი კანონპროექტში აღნიშნული მუხლის ჩამატებას დაელოდება და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს ახალი საგადასახადო კოდექსის დეტალურ განხილვას".**

სხვათა შორის, უკვე რამდენიმე დღეა, რაც პარლამენტში მთავრობის წევრთა და დეპუტატთა შორის ურთიერთობების მოსალოდნელ გამწვავებაზე საუბრობენ. როგორც ვარაუდობენ, ეს სწორედ საგადასახადო კოდექსის განხილვის დროს მოხდება, რადგან მთავრობის მიერ შემუშავებული მთელი რიგი წინადადებები დეპუტატთა ნაწილისთვის მიუღებელია.

აქვე დავძენთ, რომ მთავრობის წარმომადგენელთა მხრიდან აგრესიის პირველი ნიშნები ორი დღის წინ, ლარის კურსის გამყარებისადმი "მიძღვნილ" საკომიტეტო მოსმენაზე გამოვლინდა. მაშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ და ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს გიგი წერეთელს შეუტიეს და, როგორც პარლამენტარი ელენე თევდორაძე აცხადებს, ამით არაკორექტული დამოკიდებულება გამოამჟღავნეს დეპუტატთა კორპუსის მიმართ.

**"მთავრობის ზოგიერთი წევრი პარლამენტარების მიმართ არაკორექტულად იქცევა, დეპუტატთა შეკითხვებსა და შენიშვნებს არაკორექტულად პასუხობს. მინდა, შევახსენო მთავრობის წევრებს, რომ ჩვენ ერთი გუნდის წევრები ვართ და ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ,"** - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს ელენე თევდორაძემ. გიგი წერეთლის თქმით კი, **"თანამდებობის პირებს შორის კამათს თავისი ფორმა აქვს. ყოველი ჩვენგანი - მთავრობის წევრიც და პარლამენტარიც, რომელიც ფიქრობს, რომ ხალხის აზრს წარმოადგენს და ხალხის რჩეულია, კორექტული უნდა იყოს საკუთარ საქციელსა და გამონათქვამებში".**

რაც შეეხება შედარებით "მშვიდობიან" კანონპროექტებს: გუშინ პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა რამდენიმე მათგანი განიხილა. პირველ რიგში, ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საერთო სასამართლოების შესახებ კანონსა და პატიმრობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტებია.

პატიმრობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილების მიხედვით, უახლოეს მომავალში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მსჯავრდებულებთან ერთად, განსასჯელებსაც გადაიყვანენ. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, **"დღეისათვის საპატიმრო განყოფილებაში მყოფ პატიმართა რაოდენობა ბევრად აღემატება დასაშვებ ნორმას და არსებული სიტუაცია სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს".** კანონპროექტის ავტორს გიგა ბოკერიას მიაჩნია, რომ **"თუ აღნიშნული ცვლილება განხორციელდება, პრობლემა აუცილებლად მოგვარდება".** დღეს არსებული მონაცემებით, №1 საპყრობილეში პატიმართა რაოდენობა უკვე 1000 პატიმრით აღემატება დასაშვებ ნორმას. წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, საპატიმრო განყოფილებებიდან შესაძლებელი იქნება იმ პატიმრების გადაყვანა, რომელთა საქმე უკვე განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლომ და რომლებმაც გაასაჩივრეს სასამართლოს განაჩენი. ამით, კანონპროექტის ავტორის აზრით, თავიდან იქნება აცილებული სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში საქმეთა განხილვისას პატიმრის თვეობით გაჩერება, საპყრობილეები კი დაახლოებით 400 პატიმრით განიტვირთება.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანით კი, სასამართლო რეფორმის მორიგი ეტაპი დაიწყება. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებენ იურიდიული კომიტეტის წევრები. ამ კანონპროექტის თანახმად, თბილისში შეიქმნება ერთი საქალაქო სასამართლო და სამი სპეციალიზებული სასამართლო კოლეგია, რომლებიც სისხლის

# ფოთის მერს საკრებულო ისევ უცხადებს უნდობლობას

ქეთინო ჭაკობია

*ფოთის საკრებულოსა და მერს შორის არსებულ დაპირისპირებას ანალოგი ნაკლებად მოეძებნება ქართულ სინამდვილეში. ქალაქი, ფაქტობრივად, ორ "ბანაკად" გაიყო: ერთნი თუ დღეებს ითვლიან ვახტანგ ალანიას მერის პოსტიდან განთავისუფლებამდე, სხვებს სჯერათ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი "მტკიცედ დგას" და მის სავარძელს იმპიჩმენტის მოსურნეთა რაოდენობა ვერ შეარყევს.*

გასული წლის დეკემბერში ფოთის მერად დანიშნულ ვახტანგ ალანიას უკვე იანვარში, დისციპლინარული გადაცდომების მოტივით, ქალაქის თვითმმართველობამ უნდობლობა გამოუცხადა. მარტში იმპიჩმენტის პროცესის ხელახალი დაწყების მიზეზად ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და 2004 წლის ბიუჯეტის პროექტის ვადების დარღვევა დასახელდა. მარტიდან მოყოლებული, კომპრომატების რაოდენობა გაიზარდა და 9 სექტემბერს ფოთის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, ქალაქის მერისადმი უნდობლობის გამოცხადების მოტივები ფართო სპექტრად ჩამოყალიბდა:

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონის დარღვევა; შვიდი პირის მთავრობის წევრებად და შესაბამის თანამდებობებზე საკრებულოს სრული იგნორირებით დანიშვნა; საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულებისთვის თავის არიდება; ფოთის ტერიტორიული ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ასიგნებათა ერთპიროვნულად, კანონის დარღვევით განკარგვა; საკრებულოს თავმჯდომარის ნაცვლად და საკრებულოს სახელით ხელშეკრულებათა გაფორმება; საკრებულოს საბუღალტრო დოკუმენტებზე ხელმოწერა; ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის თანამშრომლებზე ზეწოლა და მუქარა." ეს დებატებისას გაჟღერებული საკითხების არასრული ჩამონათვალია.

თემურ წურწუმია, ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე: **"ალანია დემონსტრაციულად უკეთებს საკრებულოს გადაწყვეტილებას იგნორირებას. ლოგიკას არ ექვემდებარება ის ფაქტი, რომ ქალაქის მერი საკრებულოს დადგენილებას განკარგულებით აუქმებს. წერტილი უნდა დაესვას მის თვითნებობას, არაკომპეტენტურობასა და არასერიოზულ მიდგომას დაკისრებული მოვალეობისადმი".**

მაია ხომერიკი, საკრებულოს წევრი: **"ოფიციალურად მოვითხოვ, ალანიამ "ფსიქო" წარმოადგინოს. გარდა იმისა, რომ თანამშრომლებს დევნის, მას არც ჟურნალისტები სჭირდება. მთავრობის სხდომები, ფაქტობრივად, დახურულია და ვიდეოკამერები, როგორც თავად ამბობს, ნერვებს უშლის."**

მოგელი ტყებუჩავა, საკრებულოს წევრი: **"საკრებულოს მიერ დაწყებულ იმპიჩმენტის პროცესს თუ ადრე არ მოჰყვა შედეგი, ალბათ, იმიტომ, რომ ალანიას ფოთის მერად დანიშვნიდან მცირე დრო იყო გასული. ის სულ უფრო ხშირად არღვევს კანონს. დარწმუნებული ვარ, ალანია განთავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან."**

სევერიან შენგელია, საკრებულოს წევრი: **"ვფიქრობ, საკმარისზე მეტია არგუმენტი იმისა, რომ ალანია შეუფერებელია მერის თანამდებობისთვის. პროცესი დაიწყო და უნდა დამთავრდეს იმპიჩმენტით. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მხარი უნდა დაგვიჭიროს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება დემოკრატიული პროცესების უკუსვლა".**

მერაბ ასანიძე, საკრებულოს წევრი; **"ალანია, ალბათ, ტრადიციულად იგნორირებას გაუკეთებს იმპიჩმენტის თაობაზე საკრებულოს მორიგ გადაწყვეტილებას. თუმცა, პროცესი მაინც გაგრძელდება თავის ლოგიკურ დასასრულამდე."**

სხდომიდან ერთი კვირის განმავლობაში, ანუ 17 სექტემბრამდე, ვახტანგ ალანიას შესაძლებლობა აქვს, კონტრარგუმენტებით გააბათილოს საკრებულოს პრეტენზიები. ადგილობრივი თვითმმართველები, გამოცდილებიდან გამომდინარე, ქალაქის მერის მხრიდან არც ელიან რეაგირებას. თავად ვახტანგ ალანიას ყველა ბრალდებაზე ცალსახა პასუხი აქვს: **"სულაც არ მაინტერესებს მათი იმპიჩმენტი. ჩემთვის მთავარია, ხალხისა და ქვეყნის წინაშე ვიყო მართალი. არსებობს პრობლემების მოგვარების ცივილიზებული გზები და ნებისმიერი კომპრომატით საკრებულოს შეუძლია, სასამართლოს მიმართოს".**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა თეიმურაზ ჭეიშვილმა თანამდებობა დატოვა. როგორც ჭეიშვილმა განაცხადა, ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი ის გარემოება გახდა, რომ იგი დიდუბის რაიონის დეპუტატად იყრის კენჭს.

კულუარული ინფორმაციით, დიდუბის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე რაიონის ყოფილი გამგებელი, ამჟამად - ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი ზურაბ ადამია დაბრუნდება. რაც შეეხება ისანი-სამგორის რაიონს, მას, სავარაუდოდ, ქალაქის ყოფილი ვიცე-პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გია არევაძე უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალი მემარჯვენეები რუსეთის ხელისუფლებას მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სეპარატიზმის ხელშეწყობაში ადანაშაულებენ და სოხუმი-მოსკოვის სარკინიგზო ხაზის გახსნას აპროტესტებენ.

"მემარჯვენეებს" მიაჩნიათ, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ეს ნაბიჯი მორიგ გამოწვევად უნდა შეფასდეს. "ამის გაკეთება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დსთ-ის სამიტის წინ, რომელმაც, თავის დროზე, აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები შემოიღო,"-განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ. მან მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, "არ გააგრძელოს არათანმიმდევრული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში და მოხდართან დაკავშირებით ადეკვატური ნაბიჯები გადადგას".**ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გუშინ რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფილი 11 სამხედრო ობიექტი გადაეცა. სამხედრო და ინფრასტრუქტურის ობიექტები ქართულ მხარეს 1999 წლის 17 ნოემბერს სტამბოლის სამიტზე საქართველოსა და რუსეთს შორის ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე გადაეცა.

შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია იმ ობიექტების მიღება, რომლებიც რუსულმა მხარემ უკვე დაცალა, ან არადანიშნულებისამებრ იყენებს. მოლაპარაკებების პროცესშია საგარეჯოში მდებარე საინჟინრო-საბრძოლო მასალების საწყობის საკითხი, რომელიც განაღმვას საჭიროებს. ქართული მხარე თანახმაა, ობიექტი საკუთარი სპეციალისტების ძალებით განაღმოს, მაგრამ რუსული ტექნიკა გამოიყენოს. რაც შეეხება 142-ე ჯავშან-სატანკო ქარხანას, მის გადმოცემას ფინანსური დავალიანებები აფერხებს. როგორც გაირკვა, ქარხანას საქართველოს საგადასახადო სამსახურების მიმართ 1 მილიონ ლარამდე დავალიანება გააჩნია. გარდა ამისა, ქარხნის მიმართ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალიანება 41 300 ლარს შეადგენს. თავდაცვის სამინისტროში უკვე არსებობს სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც საწარმოში არსებულ მდგომარეობასა და გადმოცემისათვის აუცილებელ პირობებს სწავლობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** მოსკოვი საჭიროდ მიიჩნევს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ლიდერის ედუარდ კოკოითის შეხვედრის ჩატარებას. ამის შესახებ გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა ლევ მირონოვმა "რია ნოვოსტიში" გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ამ შეხვედრაზე სხვადასხვა პრაქტიკული და იმგვარი ქმედებების საკითხები უნდა იქნას განხილული, რომლებმაც შეიძლება დაძაბოს ვითარება.

მირონოვმა შეახსენა ჟურნალისტებს, რომ ორივე მხარე ჟვანია-კოკოითის შეხვედრის ჩატარებაზე თანახმაა. "ამ მიმართულებით მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს, თუმცა შეხვედრის თარიღის დასახელება ჯერჯერობით ძნელია", - განაცხადა მირონოვმა და დასძინა, რომ ბესლანის მოვლენებთან დაკავშირებით შეხვედრის ორგანიზებისთვის მუშაობა რამდენადმე შენელდა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებზე საუბრისას მირონოვმა აღნიშნა, რომ სტაბილურობის დამყარების შემდეგ შესაძლებელი გახდება სამხრეთ ოსეთის სტატუსზე მოლაპარაკების დაწყება. "ეს დღის წესრიგში რჩება",- დასძინა მან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს დამკვირვებელთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ეუთო მომავალ ხუთშაბათს მიიღებს. საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის როი რივის განცხადებით, შესაძლებელია, კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებელთა რაოდენობა 20-მდე გაიზარდოს. როი რივს აუცილებლად მიაჩნია, მოხდეს კონფლიქტის ზონის სრული დემილიტარიზაცია. როგორც როი რივმა გუშინ ეუთო-ს ოფისში გამართულ არაოფიციალურ შეხვედრაზე განაცხადა, ამჟამად კონფლიქტის ზონაში კიდევ რჩებიან გარკვეული შეიარაღებული ფორმირებები, რომელთა იქ ყოფნა ყოვლად გაუმართლებელია. "ხდება სანგრების თხრა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, მიმდინარეობს ტერიტორიების დანაღმვა",- აცხადებს როი რივი, რომელსაც დაგეგმილი აქვს, უახლოეს ხანებში ამ საკითხთან დაკავშირებით მხარეების თავდაცვის მინისტრებს დაელაპარაკოს.

რაც შეეხება ეუთო-ს მისიის მონიტორინგის გაფართოების საკითხს, რივის განცხადებით, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ პირველ ეტაპზე კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია განხორციელდება.

როი რივი შეახსენებს მხარეებს, რომ ცოტა ხანში იწურება რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ეუთო-ს მისიის მონიტორინგის ჯგუფების მუშაობის ვადა. "საქართველოს ხელისუფლებამ და ეუთო-ს მისიის წევრმა სახელმწიფოებმა ამა წლის 31 დეკემბრამდე შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ; წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთისა და დაღესტნის მონაკვეთებზე ეუთო-ს მისიის მონიტორინგის ჯგუფების მუშაობა შეჩერდება," - დასძინა მან. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ტერორიზმი და რუსეთ-ამერიკა - ბრძოლის განსხვავებული მეთოდები





*ამერიკის ძირითადი იარაღია თავისუფლება; რუსეთისა კი - მორჩილება.*

პირველი გვერდიდან

**პირველი ებრძვის სიველურესა და ველურ ცხოვრებას; მეორე კი, ორივე ხელით - ცივილიზაციას. ამგვარად, ამერიკელის გამარჯვებები მოპოვებულია სახნისით; რუსის კი - ხმლით. ანგლო-ამერიკელი თავისი მიზნების მისაღწევად ეყრდნობა პირად ინტერესს და თავისუფალ გასაქანს აძლევს ხალხის უმართავ ძლიერებასა და საღ აზრს; რუსი კი საზოგადოების მთელ ძალაუფლებას ცალ ხელში იპყრობს. პირველის ძირითადი იარაღია თავისუფლება; მეორისა კი მორჩილება".**

რუსეთსა და ამერიკას დღეს კიდევ ერთი საერთო აქვთ, ორივეს ერთი მტერი ჰყავს - ტერორიზმი. თუმცა, ამ საერთო მტერს ისინი განსხვავებული მეთოდებით ებრძვიან. ვიდრე ამ მეთოდებს განვიხილავდეთ, მოკლედ შევჩერდები თავად ტერორიზმის განსაზღვრების პრობლემატიკაზე, რათა უკეთ გავერკვეთ, თუ რა ფენომენთან გვაქვს საქმე. განსაზღვრებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში, რადგანაც მასზეა დამოკიდებული, თუ რა სახის დანაშაულებრივ მოქმედებებს მისცემს სახელმწიფო ტერორიზმის კვალიფიკაციას და, შესაბამისად, რა მეთოდებით დაუპირისპირდება მას. ეს, როგორც წესი, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით უნდა რეგულირდებოდეს. გარდა ამისა, დეფინიციის არსებობა საჭიროა ტერორიზმზე სტატისტიკის საწარმოებლად და ანალიზისთვის, რასაც, სახელმწიფოს კონტრტერორისტული სტრატეგიის შემუშავებისას, პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა, ტერორიზმის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება, ჯერჯერობით, არ არსებობს. ათეულობით წლების მანძილზე სახელმწიფოები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (ერთა ლიგა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) ფარგლებში ცდილობდნენ ტერორიზმის ყოვლისმომცველი და ყველასთვის მისაღები განსაზღვრების ჩამოყალიბებას, რომელსაც იურიდიული ძალა ექნებოდა. თუმცა, საკითხისადმი სახელმწიფოების განსხვავებული მიდგომების გამო, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. გადაულახავ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. "დანაშაულის გადაბრალების არგუმენტი", კერძოდ, ისეთი გამოთქმები, როგორიცაა, მაგალითად: "საბჭოთა კავშირი და კაგებე მხარს უჭერენ მსოფლიო ტერორიზმს. აბა რაღას აკეთებენ ამერიკის შეერთებული შტატები და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო?", "პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია ტერორისტული ჯგუფია. აბა რაღაა ისრაელის მოსადის სიონისტური ტერორიზმი?" და ა.შ. და გაცვეთილი ფრაზა - "ერთი ადამიანისთვის ტერორისტი, მეორე ადამიანისთვის თავისუფლებისთვის მებრძოლია". გარდა აღნიშნულისა, მრავალი სხვა ხესლისშემშლელი ფაქტორი არსებოს, თუმცა მათი განხილვა აქ საჭიროდ არ მიმაჩნია. მე მხოლოდ ჩემ პირად ხედვას ჩამოვაყალიბებ: ტერორიზმი - ეს არის პოლიტიკურად, რელიგიურად, იდეოლოგიურად ან/და სოციალურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედების მეთოდი, რომელსაც იყენებს ცალკეული პირი, ჯგუფი ან სახელმწიფო, სამოქალაქო (არაკომბატანტი) ობიექტების (მშვიდობიანი, უდანაშაულო ადამიანები, სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობები) წინააღმდეგ, რათა ზემოქმედება მოახდინოს მთავრობის, მოსახლეობის ან რომელიმე მისი ნაწილის (და არა უშუალო მსხვერპლის) ქცევაზე, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. უფრო მარტივად კი - **"რაც ტერორიზმს ჰგავს, ტერორიზმის სუნი სდის და ტერორიზმის მსგავსად კლავს - ტერორიზმია"** (სერ ჯერემი გრინსტოკი, ბრიტანეთის ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში).

ტერორიზმის საკითხთა მკვლევარებს შორის დამკვიდრებულია აზრი, რომ ტერორიზმი ვერ სულდგმულობს არადემოკრატიული რეჟიმის პირობებში. აქ ორი კატეგორიის სახელმწიფოების გამოყოფა შეიძლება. პირველი - სადაც ტერორი მონოპოლიზებულია სახელმწიფოს მიერ (ტერორის სახელმწიფო); ამ შემთხვევაში, ტერორიზმისთვის ყველა სასიცოცხლო არხი გადაკეტილია; და მეორე - სახელმწიფოები, რომლებიც კავშირში არიან საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან და სხვადასხვა საშუალებით ხელს უწყობენ მათ საქმიანობას (ტერორიზმის მფარველი სახელმწიფო); ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ტერორიზმი თავისთავად გამოირიცხება.

ტერორიზმისთვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს დემოკრატია. რაც უფრო დემოკრატიულია სახელმწიფო, მით უფრო ხელსაყრელია ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად. დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება ყოველთვის დიდი სიფრთხილით ცდილობს, ბალანსი იპოვოს უსაფრთხოების ზომების გამკაცრებასა და ადამიანის უფლებების და სხვა დემოკრატიული ღირებულებების დაცვას შორის, რასაც ვერ ვნახავთ არადემოკრატიულ სახელმწიფოში. ამასთან, ეს უკანასკნელი, როგორც წესი, ნაკლებგანვითარებულია, რადგანაც მასში საღი და პროგრესული აზრი სახელმწიფო ტერორის მარწუხებშია მოქცეული. დემოკრატიული სახელმწიფო კი, პირიქით, თავისი მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზეა მომართული. მასში საზოგადოების საყოფაცხოვრებო და მომსახურების სფეროები, მეტნაკლებად, მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული. კრიტიკული ინფრასტრუქტურის სექტორები, როგორიცაა, მაგალითად, საბანკო და სატრანსპორტო (ავიაცია, რკინიგზა) მომსახურება, წყალ-ელექტრო მომარაგება და სხვა არტერიები მაღალი ტექნოლოგიებით მართვის რელსებზეა გადასული. სწორედ ეს მაღალი ტექნოლოგიები წარმოადგენს კიდევ ერთ ბერკეტს ე.წ. კიბერტერორისტების ხელში, ცივილიზებული ქვეყნების დასატერორებლად.

სახელმწიფო დემოკრატიულია თუ არადემოკრატიული, ამასთან პირდაპირ კავშირშია ის, თუ რა მეთოდებს მიმართავს ხელისუფლება ტერორიზმთან საბრძოლველად. დემოკრატიული ხელისუფლება შეეცდება დამატებითი სახსრების მობილიზებას, უფრო ეფექტური უსაფრთხოების მექანიზმებისა და სისტემის შესაქმნელად, იმ "ოქროს შუალედის" დაცვით, რომელიც ზემოთ ვახსენე. ასეც მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებამ მილიარდობით დოლარი გამოყო უსაფრთხოების სისტემის რეფორმირებისთვის. შეიქმნა ახალი სახელმწიფო სტრუქტურები, მოხდა სპეცსამსახურების მიერ დაშვებული შეცდომების დეტალური შესწავლა, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს მსგავსი შემთხვევები მომავალში.

არადემოკრატიული სახელმწიფოს შემთხვევაში კი, სულ სხვა ვითარებაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთ სახელმწიფოში, ცნობილი მიზეზების გამო, ეკონიმიკა და ტექნოლოგიები ნაკლებგანვითარებულია. მასში, მცირე პროგრესის გამო, ჭარბობს მოძველებული ტექნოლოგიები და აქცენტები კეთდება არა ხარისხზე, არამედ რაოდენობაზე. ეს ეხება წარმოების ყველა სფეროს, მათ შორის სამხედრო მრეწველობას. ამგვარად, ხდება სახელმწიფო სახსრების არარაციონალური გამოყენება. იმის გამო, რომ ასეთი სახელმწიფო ვერ შეძლებს დამატებითი სახსრების მოძიებას ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდების გასაუმჯობესებლად და იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებების დაცვას ნაკლებად თუ მიექცევა ყურადღება, ხელისუფლება, ყველაზე სავარაუდოდ, ტრადიციულ, უხეშ მეთოდებს მიმართავს; საბოლოო ჯამში კი შეეცდება ტერორს ტერორითვე უპასუხოს, რითაც ტერორიზმი სახელმწიფო ტერორით შეიცვლება, რაც გაცილებით მძიმე შედეგებს გამოიღებს.

ბესლანის ტრაგედიამ ნათლად დაგვანახა რუსეთის ხელისუფლების უსუსურობა ტერორიზმთან ბრძოლაში. ამაზე, პირველ რიგში, მეტყველებს ციფრები, რომლებიც მძევალთა გათავისუფლების ოპერაციის შემდგომ შედეგებს აღნიშნავს - ასობით დახოცილი მძევალი და ათობით დაღუპული სპეცსამსახურის წარმომადგენელი. არადა, ბესლანის ტერორისტული აქტი პირველი მსგავსი რამ არ იყო რუსეთისთვის. მას წინ უსწრებდა რამდენიმე დიდი ტრაგედია - ნორდოსტი და სულ ახლახანს ორი სამგზავრო თვითმფრინავის ერთდროული ჩამოვარდნა. მიუხედავად ამისა, რუსეთმა ვერც წარსულის მაგალითებზე ისწავლა რამე და არც რაიმე განსაკუთრებული ზომები მიუღია კონტრტერორისტული ხაზით უსაფრთხოების სისტემისა და ბრძოლის მეთოდების დასახვეწად. ვინც ბესლანში მძევალთა გათავისუფლების ოპერაციას თვალს ადევნებდა, თუნდაც შინიდან გაუსვლელად, დაინახავდა, თუ როგორ ქაოტურად მოქმედებდნენ რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. მათ მოქმედებებს ნაკლებად თუ შეიძლება მძევალთა გათავისუფლების წინასწარ გააზრებული, გეგმური სპეცოპერაცია ეწოდოს. რუსეთის ხელისუფლება კი, ნაცვლად იმისა, რომ გულწრფელად უპასუხოს კითხვებს, რომლებიც ბესლანის მოვლენების ირგვლივ არსებობს, საინფორმაციო ომს უცხადებს თავისუფალ მედიას. ქვეყანაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მკაცრი ცენზურა წესდება, იწყება მოვლენებზე ობიექტური თუ განსაკუთრებული აზრის დევნა, რომ აღარაფერი ვთქვათ უცხოელი კორესპონდენტების დაკავების ფაქტებზე. ამგვარი მოქმედებები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ რუსეთი თავის კონტრტერორისტულ პოლიტიკას უკვე აშკარად ტერორის პრინციპებზე ააგებს. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება დაიღალა "დემოკრატიულობის" თამაშით ან უბრალოდ დარწმუნდა, რომ არ ეს ეხერხება და არჩია ისევ ტრადიციულ, მრავალჯერ ნაცად მეთოდებს დაუბრუნდეს, რაც უკეთ გამოსდის.

# "ვაგონი მიქრის"

პირველი გვერდიდან

პროტესტი გააცნო და შესაბამისი ახსნა-განმარტებები მოსთხოვა.

თავის მხრივ, ვლადიმირ ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ის სოხუმსა და მოსკოვს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაში "საგანგაშოს ვერაფერს ხედავს" და მიაჩნია, რომ აღნიშნული ღონისძიება "სრულიად ჯდება იმ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის სოჭში გაფორმდა".

მოსკოვსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას ვლადიმირ ჩხიკვიშვილი 3 ოქტომბრისთვის აფხაზეთში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებსაც უკავშირებს. "ეს იმისთვის გაკეთდა, რომ მოსახლეობას გაადვილებოდა გადაადგილება და არჩევნებში თავისი პოზიციის დაფიქსირება," - აღნიშნა ელჩმა.

ოფიციალური თბილისი კი სოხუმი-სოჭის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნას "ყველა საერთაშორისო და ორმხრივი ხელშეკრულების დარღვევად და საქართველოს სუვერენიტეტის შელახვად" აფასებს.

"ის, რომ აფხაზეთში (ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთში) უკანონო პასპორტიზაცია განხორციელდა, ის, რაც რკინიგზაზე მოხდა, ანექსიის მცდელობაა," - განაცხადა გუშინ კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება ყველა შესაძლო ზომას მიიღებს (საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით), რათა "ეს თვითნებობა აღკვეთოს".

აფხაზეთში კი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას აფასებენ, როგორც "ფანჯრის გაჭრას ევროპაში".

# კომენტარი

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი

**- როგორ კომენტარს გაუკეთებდით რუსეთის ფედერაციის საგრეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის ლევ მირონოვის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მოსკოვი-სოხუმის სარკინიგზო ხაზის აღდგენა გათვალისწინებულია სოჭის შეთანხმებით?**

- მირონოვის განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება სინამდვილეს და ეწინააღმდეგება გასული წლის სოჭის შეთანხმებებს. 2003 წლის 6-7 მარტს, პრეზიდენტ პუტინის ინიციატივით სოჭში გამართულ შეხვედრაზე, ორი ქვეყნის პრეზიდენტების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა უნდა მომხდარიყო აფხაზეთში (პირველ რიგში კი - გალის რაიონში) ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბუნების პროცესის სინქრონულად.

ფაქტობრივად, რუსეთის მხარემ არა მარტო არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები, არამედ დაარღვია 2003 წლის სოჭის შეთანხმებები, განახორციელა რა ფართომასშტაბიანი სარემონტო სამუშაოები "ვესიოლოე-სოხუმის" სარკინიგზო ხაზის მონაკვეთზე. რუსეთის ფედერაცია აღნიშნულ მოქმედებებს ახორციელებდა საქართველოს ხელისუფლებასთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. ამასთან, უნდა აღნიშნოს ისიც, რომ ლტოლვილთა დაბრუნების არანაირი პროცესი აფხაზეთში ამ პერიოდის განმავლობაში არ დაწყებულა.

რუსეთის ფედრაციის მიერ ამ დღეებში დაგეგმილი "სოხუმი-როსტოვისა" და "სოხუმი-მოსკოვის" სარკინიგზო მარშრუტების საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად აღდგენა წინააღმდეგობაში მოდის 2003 წლის 6-7 მარტის სოჭის შეთანხმებასთან და უხეშად არღვევს როგორც აფხაზეთის საკითხზე დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებას, ისე გაერო-ს 1998 წლის №876 რეზოლუციის მე-8 მუხლს.

რუსეთის მხარის მსგავსი ქმედებები ნამდვილად არ შეესაბამება პრეზიდენტ პუტინის მიერ საჯაროდ დაფიქსირებულ პოზიციას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის თაობაზე და აშკარად უწყობს ხელს აფხაზეთის იმ სეპარატისტული ხელისუფლების ქმედებებს, რომელმაც ა.წ. ივლისის თვეში სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესიდან ცალმხრივად გასვლის შესახებ განაცხადა.

# არალეგიტიმური არჩევნები და რუსული "გადაბრალების პოლიტიკა"

3 ოქტომბერს დანიშნული აფხაზეთის დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების ფონზე, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრორუსული ორიენტაციის მქონე ლიდერები გუშინ საქართველოს მხრიდან ვითომდა დივერსიის საშიშროებაზე ალაპარაკდნენ. დე ფაქტო მთავრობის სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა გუშინ განაცხადა, რომ საქართველოს სპეცსამსახურები აფხაზეთის ტერიტორიაზე დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს გეგმავენ, საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლისა და ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით.

"უშიშროების სამსახური ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სოფელ ელირსა და ზედა კელასურში შენიშნეს დივერსიული ჯგუფები. პრეზიდენტობის ყველა კანდიდატის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება, რისთვისაც ქართულმა მხარემ დაახლოებით 800 ათასი ლარი გამოყო," - განაცხადა აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარემ მიხეილ თარბამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის "აიტაირას" ("აღორძინება") რიგგარეშე ყრილობაზე.

სინამდვილეში კი საქართველოს "გეგმები" აქ არაფერ შუაშია, აფხაზეთის მაღალ ეშელონებში ისედაც საკმაოდ დიდი დაპირისპირებაა, ოპოზიციასა და ეგრეთ წოდებულ ხელისუფლებას შორის.

აფხაზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა აფხაზეთის შინაგან საქმეთა ექსმინისტრი, მოსკოვში არსებული აფხაზური დიასპორის ლიდერი ალექსანდრე ანქვაბი, რომელიც პრეზიდენტ არძინბას ოპოზიციაში 1995 წლიდან ჩაუდგა.

მას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "აიტაირა" უჭერდა მხარს და, საერთოდაც, ანქვაბი დე ფაქტო პრეზიდენტის ფავორიტის - რაულ ხაჯიმბას ყველაზე მძლავრ კონკურენტად მოიაზრებოდა.

საზოგადოებრივი მოძრაობა "აიტაირას" თანათავმჯდომარის ლეონიდ ლაკერბაიას განცხადებით, ალექსანდრე ანქვაბის რეგისტრაციაში არგატარებით ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ მას "თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება არ სურს".

"ასეთი მოქმედებებით ხელისუფლება ოპოზიციას გვაიძულებს, გავერთიანდეთ მისი ჩამოგდებისთვის," - განაცხადა ლაკერბაიამ და იქვე მიანიშნა, რომ ოპოზიციას ნამდვილად შესწევს იმის ძალა, რომ უამრავი ხალხი შეკრიბოს და ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნით ქუჩაში გამოიყვანოს.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებაში არსებული უთანხმოება, რასაკვირველია, ყურადღების გარეშე არ რჩება რუსულ მედიას და ამ საკითხზე თავის ანალიზსაც აქვეყნებს.

საინფორმაციო სააგენტო "როსბალტი" შექმნილ ვითარებას ასე აფასებს: "აფხაზეთში პოლიტიკური ვითარების ნებისმიერი სახით გამწვავება, განსაკუთრებით კი - "აჭარის სცენარით", როდესაც მოსახლეობა კორუმპირებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლებს მართავს, აფხაზეთის დამოუკიდებლობის სურვილის მიმართ მუდმივად შეურიგებელი ოფიციალური თბილისის პოზიციებს საგრძნობლად ამყარებს."

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა აბსურდულს უწოდებს აფხაზეთის ხელისუფლების განცხადებას, აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების ჩასაშლელად საქართველოს ხელისუფლების მიერ დივერსიული აქტების დაგეგმვის შესახებ.

როგორც ხაინდრავამ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთში არჩევნების ჩაშლა რომ სურდეს, ამას დივერსიული აქტების განხორციელების გარეშეც შეძლებდა.

"მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ აფხაზეთში დაგეგმილი არჩევნები არალეგიტიმურია, ამასთანავე, ხელისუფლება აცნობიერებს, რომ უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატთან უნდა ჰქონდეს ურთიერთობა," - განაცხადა ხაინდრავამ.

იგი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტ პუტინის ფავორიტის რაულ ხაჯინბას პრეზიდენტად არჩევას აფხაზი ხალხის წინააღმდეგობა მოჰყვება, ვინაიდან ხაჯიმბა ხალხის რჩეული არ არის.

# აშშ-ს "გენერალური" მხარდაჭერა



*გენერალი ჩარლზ უორდი*

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ევროპაში აშშ-ის სარდლის მოადგილე, გენერალი ჩარლზ უორდი მიიღო.

როგორც ამერიკელმა გენერალმა განაცხადა, შეხვედრის დროს განხილული იყო საქართველოში მიმდინარე პროცესები და ის გარდაქმნები, რომლებიც ქვეყანაში როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ სფეროებში ხორციელდება.

უორდის თქმით, იგი აღფრთოვანებულია იმ პოლიტიკით, რომელსაც დღეს საქართველოს ხელისუფლება და, კერძოდ, პრეზიდენტი სააკაშვილი ახორციელებს და მიაჩნია, რომ აშშ-ის მთავრობა ამას ჯეროვნად დააფასებს.

გენერალი გუშინ თბილისში ბათუმიდან ჩამოვიდა, სადაც ის შავი ზღვის უსაფრთხოების პროგრამის რეგიონალურ კონფერენციას ესწრებოდა. კონფერენციის ერთ-ერთი დამფინანსებელი აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტია. **24 საათი**

# "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის განხილვა გადაიდო



*გუშინ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს განსახილველად გამზადებული ძირითადი საკითხების გადადება მოუხდა.*

იური ლობოდინის ფოტო

გუშინ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს განსახილველად გამზადებული ძირითადი საკითხების გადადება მოუხდა. საქმე ისაა, რომ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებული საკითხის განხილვის გადადება თავად ენერგეტიკის სამინისტრომ ითხოვა. საკითხი "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანას ეხება და ელექტროენერგიის დატაცებაზე სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებს.

დეპუტატ გიგა ბოკერიას მიერ ინიცირებული კანონპროექტის "მაუწყებლობის შესახებ" განხილვა კი იმიტომ გადაიდო, რომ პროექტის მიმართ კერძო სამაუწყებლო ტელეკომპანიებს შენიშვნები აღმოაჩნდათ. ამასთან, როგორც გაირკვა, პროექტი ჯერ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს უნდა განეხილა.

კერძო ტელემაუწყებლები მიიჩნევენ, რომ პროექტი კერძო მაუწყებლობისთვის ცენზურას აწესებს. მათი განმარტებით, სახელმწიფო, კანონპროექტის მიხედვით, დამოუკიდებელი ტელეკომპანიების მაკონტროლირებელი ხდება.

დეპუტატებსა და დამოუკიდებელი ტელეკომპანიების წარმომადგენლებს შენიშვნები აქვთ იმ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებითაც, რომელშიც სარელეო ხაზები, ანძები და სიხშირეები შედის (ისინი კანონპროექტის ამ ვარიანტის მიღების შემდეგ საზოგადოებრივი ტელევიზიის საკუთრებაში გადადის). კერძო ტელეკომპანიები შიშობენ, რომ კანონპროექტში გათვალისწინებულია კერძო მაუწყებლობისთვის ლიცენზიის პირობების გამკაცრება, რაც ამჟამად მოქმედ ტელეკომპანიათაგან ბევრს დახურვის საშიშროებას უქმნის.

დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის ნიკო ლეკიშვილის განცხადებით, არის შენიშვნები კანონპროექტის მიმართ, რისი გათვალისწინებითაც შესაძლებელი იქნება მისი განხილვის დაწყება პლენარულ სხდომაზე. იგი მიიჩნევს, რომ ეს პოლიტიკური საკითხია და სახელმწიფო თავად გადაწყვეტს, თუ რა ფორმით მოაგვაროს ეს პრობლემა.

გაურკვეველია დეპუტატ ქამალ მურადხანოვის მიერ ინიცირებული "წიაღის შესახებ" კანონპროექტის ბედი, რადგან, დეპუტატების მოთხოვნის მიუხედავად, საკითხის ინიციატორი საკომიტეტო მოსმენაზე არ გამოცხადდა.

სამაგიეროდ, კომიტეტის სხდომაზე გაირკვა, რომ სამშაბათს საქართველოს პარლამენტი, ენერგეტიკისა და ეკონომიკის მინისტრებთან ერთად, თბილისის გაზმომარაგების საკითხს განიხილავს. ამის შესახებ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ზამთარი ახლოვდება, დედაქალაქი კი გაზის შეწყვეტის საფრთხის წინაშე დგას. ამიტომ მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე ენერგეტიკისა და ეკონომიკის მინისტრებმა პარლამენტს თავიანთი ვიზიტის შედეგები უნდა მოახსენონ. სამშაბათსვე, კომიტეტმა პრივატიზაციასთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის პოზიციაც უნდა მოისმინოს.

*24 საათი*

# შესაძლოა, "იტერა-ჯორჯიამ" გაზი გააიაფოს

*"იტერა-ჯორჯიას" მომხმარებლებისთვის, სავარაუდოდ, ოქტომბრიდან გაზი 3 თეთრით გაიაფდება. შესაძლოა, გაუქმდეს გაზის საფასურის წინასწარ გადახდის პირობაც, რადგან კომპანიაში მიიჩნევენ, რომ ეს მექანიზმი არ ამართლებს. ეს გადაწყვეტილება თბილისს არ შეეხება, რადგან დედაქალაქის მთავარი გაზმომმარაგებელი "თბილგაზი" გაზს "გაზპრომისგან" იღებს.*

სემეკ-ს უკვე მზად აქვს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, "იტერა-ჯორჯიას" მომხმარებელ გაზგამანაწილებელ კომპანიებს გაზის საფასური შეუმცირდებათ. გუშინ სემეკ-მა ეს საკითხი დადებითად იმის გამო ვერ გადაწყვიტა, რომ გაზის გაიაფების შესაძლებლობა ქვეყანაში ლარის კურსის გამყარებამ შექმნა, დღეს კი კურსი სტაბილური არ არის.

სავარაუდოდ, ამ საკითხს კომისია თავის მომავალ სხდომაზე დაუბრუნდება. კომისიის გადაწყვეტილების პროექტის თანახმად, "იტერა-ჯორჯიას" მომხმარებელი გაზგამანაწილებელი კომპანიები 1000 კუბურ მეტრ გაზს, 199 ლარის ნაცვლად, 170 ლარად შეისყიდიან, რაც, თავის მხრივ, ამ კომპანიებს მომხმარებელთათვის მისაწოდებელი გაზის ტარიფის 2,5-დან 3 თეთრამდე შემცირების საშუალებას მისცემს.

როგორც "იტერა-ჯორჯიაში" აცხადებენ, ტარიფის შემცირება თავად კომპანიის სურვილიცაა.

*24 საათი*


**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს პლასტმასის და ლითონის მილების მოწოდებაზე:**

**გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის

მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.

თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 17 სექტემბერი.

**"ეი-ი-ეს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**13, 14 და 15 სექტემბერს, 10.00-დან 19.00 სთ-მდე:**

გურგენიძის, ქურდიანის, რეხის, სანავარდოს, მარუაშვილის, აჭარის, სარკინეთის, ზაზიშვილის, სამშვილდის, ხუდადოვის, მეუნარგიას ქუჩების მაცხოვრებლებს.

**13 სექტემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), ქვიშხეთის, ქსნის, არბოს, ერწოს, ვარდისუბნის ქუჩების მაცხოვრებლებს.


# მთავრობა "თბილ ზამთარს" გვპირდება

*საქართველოს მთავრობის სხდომამ გუშინ მთლიანად დახურულ რეჟიმში იმუშავა. არ გამართლდა წინასწარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პრემიერი სპეციალური განცხადების გაკეთებას აპირებდა ჟურნალისტებისთვის. სხდომის დასრულების შემდეგაც დეტალები, ძირითადად, სხდომაზე განსახილველ ერთადერთ საკითხთან - მოსალოდნელ ენერგეტიკულ მდგომარეობასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი. მთავრობის წევრების განცხადებით, ანუ ოფიციალური ინფორმაციით, სწორედ ეს გახლდათ გუშინ განხილული მთავარი თემა. მათივე თქმით, არც ნავთობკორპორაციის ახალ ხელმძღვანელთან, არც ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებით გუშინ მინისტრებს არ უსაუბრიათ.*

თამარ ხორბალაძე

სახელმწიფო ბიუჯეტი ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის მიერ წინა წლებში დაგროვებული დავალიანების გასტუმრებას იწყებს. ამის შესახებ გუშინ მიიღეს გადაწყვეტილება მთავრობის წევრებმა. როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტი შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის მიერ 2000-2003 წლებში მოხმარებული დენის საფასურის დავალიანების დასაფარავად, ელექტროენერგიის გამანაწილებელ ენერგოკომპანიებს 15 მლნ ლარს გადაურიცხავს. ამ თანხიდან სს "თელასი" 8,5 მლნ ლარს მიიღებს, ხოლო დანარჩენი თანხა საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას, კახეთისა და აჭარის ენერგოკომპანიებს შორის გადანაწილდება.

ნიკა გილაურის განცხადებით, მომავალი წლიდან შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებას ენერგოკომპანიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღარ მიიღებენ, ვინაიდან ამ თანხას შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობა ხელზე მიიღებს.

გილაურმა ასევე ისაუბრა ზამთრისათვის მზადების მიმდინარეობაზე და განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის წლევანდელი ზამთარი, **"წინა წლებთან შედარებით, ყველაზე უკეთესი იქნება".**

**"დღევანდელი სისტემა ფინანსურადაც და ტექნიკურადაც ზამთრისთვის მზად არის,"**- დასძინა მინისტრმა.

ნაკლებად ოპტიმისტური გახლდათ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის პროგნოზი მოსალოდნელ ზამთართან დაკავშირებით. თუმცა, ეს პროგნოზიც გასულ წელთან შედარებით და წლევანდელი ზაფხულის მდგომარეობაზე გაცილებით უკეთეს ენერგომდგომარეობას გვპირდება.

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია მოახლოებული ზამთრისთვის მომხმარებლის 24-საათიანი ელექტრომომარაგების პირობას ვერ იძლევა. თუმცა, კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, დიდ ქალაქებში - რუსთავსა და ქუთაისში, სადაც მრიცხველების გარეთ გატანის პროცესი თითქმის დასრულებულია, ელექტრომომარაგება ზამთარში 18-20 საათი, გრაფიკით იქნება, ხოლო სოფლებში, სადაც კომუნალური მრიცხველებია დამონტაჟებული, ელექტრომომარაგება რვასაათიანი იქნება.

**"ყველა სოფლის ტრანსფორმატორზე მონტაჟდება კომუნალური მრიცხველი, სადაც სოფლის მიერ მოხმარებული მთელი ელექტროენერგიის ოდენობა აღირიცხება. ამგვარი გამრიცხველიანება თითქმის უკვე დასრულებულია იმერეთის ზონაში. კომუნალური მრიცხველების დამონტაჟება მიმდინარეობს მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში",** - განაცხადეს კომპანიაში.

"გაერთიანებულ სადისტრიბუციოში" ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებული ენერგეტიკის სუბსიდიიდან 1 მილიონი ლარის მიღებას ელოდებიან, რაც შესაძლებლობას მისცემს კომპანიას, სოფლად კომუნალური მრიცხველები დაამონტაჟოს. რაც შეეხება იმ მსხვილ ქალაქებს, სადაც მრიცხველების გარეთ გატანის პროცესი ჯერ არ დასრულებულა, კომპანიაში აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან, ზამთრის სეზონზე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის კარგ გადამხდელ მომხმარებელს ელექტროენერგია შეუფერხებლად მიაწოდონ. ამასთან, კომპანიის ამერიკელი მენეჯერები აცხადებენ, რომ ელექტროენერგიის მიწოდება ზამთრის სეზონზე მხოლოდ კარგი გადამხდელი მომხმარებლისთვის იქნება შესაძლებელი.

# ლარი ისევ გამყარდება

## ლარის დღევანდელი კურსი სპეკულაციურმა ფაქტორებმა განაპირობა

სოფიკო ოხანაშვილი

*გუშინ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის დასრულების შემდეგ ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 0,15 ნიშნულით შემცირდა. დაფიქსირდა ახალი კურსი - 1 აშშ დოლარის გაცვლითმა კურსმა 1,81 ლარი შეადგინა. ვაჭრობაში ათამდე ბანკი მონაწილეობდა. აშშ დოლარს ერთდროულად ოთხი კომერციული ბანკი ყიდდა, ხოლო შესყიდვაზე ექვსი განაცხადი დაკმაყოფილდა. ლარის კურსის მერყეობასთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების გასაკეთებლად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. "ეროვნული ვალუტის კურსის გამყარების ფაქტორები ჯერ კიდევ არსებობს, ლარის კურსის დაცემა კი ხანმოკლე ტენდენციაა," - აცხადებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ლარის უკუქცევას კი სპეკულაციურ შეტევას უწოდებს.*



იური ლობოდინის ფოტო

*"თუ ვინმე ფიქრობს, რომ მყარი ეროვნული ვალუტა ცუდია და კუპონების დრო მოენატრა, ჩვენ ამაში მონაწილეობას ნამდვილად არ მივიღებთ," - განაცხადა მანაგაძემ.*

ირაკლი მანაგაძე ლარის კურსის ბოლოდროინდელ დაცემას ხელოვნურად წარმოქმნილი "აჟიოტაჟური და სპეკულაციური ფაქტორებით" ხსნის; ამიტომ, მისი მტკიცებით, ეს ხანმოკლე პროცესია. **"ლარის უკუქცევა არ არის გამყარებული მყარი ეკონომიკური საფუძვლებით. ეს არის სპეკულაციური შეტევა. მინდა, მოვუწოდო საზოგადოებას, არ აყვნენ ამ აჟიოტაჟს და არ მისცენ მოთამაშეებს საშუალება, ისარგებლონ მოსახლეობის ნდობით და მოკლე პეირიოდში ხალხის ხარჯზე სერიოზული მოგებაც მიიღონ,"** - განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გუშინ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე. მისი მტკიცებით, ქვეყანაში ეროვნული ვალუტის კურსის გამყარების ეკონომიკური ფაქტორები ჯერ კიდევ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლარის უკუქცევა არ მოხდება. პირიქით, მანაგაძის ინფორმაციით, მომავალი კვირიდან ლარის კურსის გამყარება ისევ გაგრძელდება. **"ლარის გამყარების ფაქტორები მნიშვნელოვნად გადაწონის იმ სპეკულაციურ ქმედებებს, რასაც ამ ორი დღის განმავლობაში ჰქონდა ადგილი. რა ტემპებით მოხდება ლარის გამყარება, გააწონასწორებს თუ არა ეს ფაქტორები ლარის უკუქცევას, უახლოეს დღეებში გამოჩნდება,"** - განაცხადა მანაგაძემ.

მანაგაძე ლარის გამყარების უმთავრეს ეკონომიკურ ფაქტორად საგადასახადო შემოსავლების ამოღების უპრეცედენტო გაუმჯობესებას ასახელებს, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ლარზე მოთხოვნა. ამის გარდა, ეროვნული ვალუტის გამყარებაზე დადებითად იმოქმედა ინვესტიციების მოცულობისა და ახალი ხელისუფლების პოლიტიკისადმი ნდობის ზრდამ, რაც, მანაგაძის განმარტებით, ეროვნული ვალუტის მიმართ დამოკიდებულებაზეც აისახა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა ლარის, როგორც სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი ატრიბუტის როლი: **"მაშინაც კი, როდესაც წინა წლების განმავლობაში ეკონომიკური გარემო არცთუ კეთილსაიმედო იყო, ჩვენ ვახერხებდით ლარის კურსის სტაბილურობისა და სამომხმარებლო ფასებზე დაბალი ინფლაციის შენარჩუნებას. სუსტი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში ეროვნული ბანკი წარმატებულად ატარებდა მონეტარულ პოლიტიკას, რისი დადასტურებაც მყარი ეროვნული ვალუტაა. დღეს, როდესაც ეროვნულ ბანკს მარტო აღარ უხდება ამ საკითხებზე ზრუნვა, როდესაც ხელისუფლების პოლიტიკა და, შესაბამისად, ეკონომიკური ფაქტორები ხელშემწყობია, სრული გარანტია არსებობს იმისათვის, რომ ლარი კვლავაც სტაბილური ვალუტა იქნება."**

გარდა ამისა, მანაგაძემ აღნიშნა, რომ ლარის სტაბილურობა არ გულისხმობს ლარის გამყარებას. ამასთანავე, იქვე განმარტა, რომ ლარის სტაბილურობაზე საუბრისას მხედველობაში აქვს არა ერთი რაიმე კონკრეტული ნიშნული, არამედ პროგნოზირებადი დიაპაზონი, რომელშიც ლარი გაცვლითი კურსის რეჟიმის ფარგლებში იმოძრავებს. **"ჩვენ უკვე ახლოს ვართ იმ მდგომარეობასთან, როცა ეს დიაპაზონი გამოიკვეთება,"** - დაასკვნა მანაგაძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განმარტებით, რომ არა ლარის კურსის ბოლოდროინდელი გამყარება, ფასების ზრდა გაცილებით მაღალი და მტკივნეული იქნებოდა საზოგადოებისთვის. **"არავინ უარყოფს იმას, რომ ფასები გაიზარდა, მაგრამ ლარის გამყარებამ ეს პროცესი უმტკივნეულო გახადა,"** - განმარტა მანაგაძემ.

კიდევ ერთი განმარტება, რომლის გაკეთებაც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა საჭიროდ მიიჩნია, ასე ჟღერდა: **"მყარი ეროვნული ვალუტა ქვეყნის ეკონომიკისათვის ძალიან კარგია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მყარი ეროვნული ვალუტა ცუდია და კუპონების დრო მოენატრა, ჩვენ ამაში მონაწილეობას ნამდვილად არ**

# ტერორი და ეკონომიკა

*თანამედროვე ტერორიზმის ტექნიკა სხვადასხვა ტექნოლოგიების განვითარების ფეხდაფეხ იხვეწება. აქედან გამომდინარე, მასთან ბრძოლა საკმაოდ რთულ, ძვირიან და იშვიათად - წარმატებულ შეჯიბრებად გარდაიქმნება. რეალურად, ტერორიზმის პრობლემა სცილდება ქვეყნის უსაფრთხოების თემატიკას და ნებისმიერი ქვეყნისთვის რთული ეკონომიკური შედეგები მოაქვს. ტერორიზმის უარყოფითი ეკონომიკური შედეგების ციფრებში გამოსახვა საკმაოდ რთული, ხოლო ქვეყნისთვის და მისი მოსახლეობისთვის - მეტად მნიშვნელოვანია. გთავაზობთ რუსული ინტერნეტ-გამოცემა "რუსსკი ჟურნალ"-ის ანალიტიკოსის მაქსიმ კვაშას სტატიას საერთაშორისო ტერორიზმის უარყოფითი ეკონომიკური შედეგების თაობაზე, რომელიც გუშინ "ბი-ბი-სი"-მ გამოაქვეყნა.*

ტერორიზმი 21-ე საუკუნის ყველაზე დიდი გამოწვევაა. 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ საჭირო გახდა უსაფრთხოების სასტიკი ზომების გატარება ამერიკასა თუ სხვა ქვეყნებში, რამაც აეროპორტებში ფორმალობების გაზრდა, ხოლო ავიაკომპანიებში - დამატებითი ხარჯები მოითხოვა. ამ პერიოდში ავიაგადაზიდვების და ავიამშენებლობის ინდუსტრიამ ძალიან სერიოზული ვარდნა განიცადა - ხალხს, უბრალოდ, ფრენის ეშინოდა.

2004 წელს, გაზაფხულზე ესპანეთში მომხდარი ტერაქტების გამო, ქვეყანამ ტურისტების მნიშვნელოვანი ნაკადი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შემოსავლები დაკარგა.

თუმცა, ტერორიზმის უარყოფითი ეკონომიკური შედეგების ყველაზე ნათელი მაგალითი მაინც ისრაელია. ეს არის ქვეყანა, სადაც ინტიფადამ (პალესტინის გამათავისუფლებელი მოძრაობა - საღვთო ომი) გრძელვადიანი ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია. ისრაელის სახელმწიფო ფინანსები უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარჯებით გადატვირთული აღმოჩნდა, მაღალმა გადასახადებმა კი მთელი რიგი ეკონომიკური პროექტების გაუქმება გამოიწვია. რაც შეეხება ისრაელის ეკონომიკის მამოძრავებელ სექტორს - ტურიზმს, მან, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა. აუცილებლად გასატარებელი, უსაფრთხოების ზომების ზედმეტმა ტვირთმა კომპანიები შემოსავლების შემცირებამდე, მათი პროდუქცია კი - გაძვირებამდე მიიყვანა. უმუშევრობამ, რომელიც ინტიფადასთან პირდაპირ დამოკიდებულებაშია, ისრაელის საბიუჯეტო პრობლემები კიდევ უფრო გააღრმავა.

ტერორიზმის საშიშროების გაჩენის შემდეგ, გარკვეული ბიზნესის სახეობებისთვის ბაზრების სიმცირე შეინიშნება. ეს, პირველ რიგში, ტურიზმს ეხება, რადგან ნაკლებად თუ წავა ვინმე ქალაქში, სადაც არსებობს საშიშროება, ძირითად ტურისტულ ობიექტებად მიჩნეული მეტროს ვაგონები გაუფრთხილებლად ააფეთქონ. ყოველი ტერაქტის შემდეგ რესტორნების, კულტურული და გასართობი დაწესებულებების კლიენტთა რიცხვი საგრძნობლად მცირდება.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტერორით გამოწვეული მიგრაციის შემცირებისთვის მიღებული ზომები სამუშაო ძალის მნიშვნელოვან შემცირებასაც იწვევს. მაგალითად, რუსეთის მსხვილ ქალაქებში უკვე იგრძნობა იმ იაფი მუშახელის სიმცირე, რომელიც მზად არის, არაკვალიფიციური შრომა გასწიოს.

21-ე საუკუნის ყველაზე დიდი საფრთხის შედეგია ასევე, ჩინოვნიკებს შორის გაჩენილი დიდი კორუფციული ხაფანგი, რაც ასევე ხელს უშლის ნაყოფიანი საქმიანი კლიმატის გაჩენას.

ტერორიზმის გავლენის შედეგად გაჩენილი სხვადასხვა შეფერხებები ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის დაცემასაც უწყობს ხელს. ამასთან, ვის მოუნდება ინვესტიციების ჩადება არასტაბილურ ქვეყანაში? არასაკმარისი ინვესტიციები კი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შეჩერების ეფექტური ხერხია.

ბიზნესსა და მთავრობათა საქმიანობაში გაჩენილი სირთულეები კი საბოლოოდ მაინც ჩვეულებრივ მოსახლეობას, მომხმარებელს და გადასახადების გადამხდელებს აწვება ტვირთად, რადგან სწორედ ისინი იხდიან მაღალ გადასახადებს, იღებენ ნაკლებ სოციალურ მხარდაჭერასა და სახელმწიფო შეღავათებს.

ასე რომ, ტერორიზმის საფრთხე მარტო მოსახლეობას კი არა, თავად სახელმწიფოებს, მათ ეკონომიკასაც ემუქრება. სწორედ ამიტომ, ტერორიზმთან ბრძოლისას მთავრობათა არასაკმარის ან მცდარ ქმედებებს, შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან უსიამოვნო შედეგები მოჰყვეს.

*თარგმნა დიანა ჩაჩუამ*

# დღე, რომელმაც მსოფლიო შეცვალა

სამი წელი გავიდა იმ დღიდან, რომელმაც, ბევრის აზრით, მსოფლიო შეცვალა. 2001 წლის 11 სექტემბრიდან მსოფლიოში გააცნობიერეს, რომ ტერორიზმის მსგავსი საფრთხის წინაშე არასოდეს მდგარან. ახალ საფრთხეს კი ახალი მეთოდებით უნდა ებრძოლო - დაასკვნეს მსოფლიო ლიდერებმა და დაიწყო სრულმასშტაბიანი ანტიტერორისტული კამპანია. ჯერ იყო ავღანეთი - პირველად ისტორიაში, ნატო-ს სამხედრო ძალები ალიანსის სამოქმედო არეალის გარეთ გამოიყენეს და გაიმარჯვეს. მსოფლიომ ერთობლივი ძალებით დასაჯა ავღანეთის თალიბური რეჟიმი. პირველად ისტორიაში მსოფლიოს წამყვანი ძალების ინტერესები სრულად დაემთხვა ერთმანეთს. შემდეგ ერაყი - და იგივე, ტერორიზმთან ბრძოლის ლოზუნგით მოპოვებული "გამარჯვება".

ნეტავ რამდენი დრო დასჭირდება ტერორიზმის დამარცხებას? საინტერესოა - სამი წლის წინ დაწყებული ომი "ალ-ქაიდას" წინააღმდეგ, რომელმაც ათასობით ადამიანი უკვე შეიწირა, უახლოეს მომავალში დასრულების არანაირ იმედს არ იძლევა. მართალია, ჯორჯ ბუში აცხადებს, რომ "ალ-ქაიდას" ცნობილი ლიდერების 2/3 დაკავებულია ან განადგურებულია, მაგრამ აშშ-მ, როგორც ამ ომში მთავარმა მოქმედმა პირმა, ჯერჯერობით, ვერ შეძლო "ალ-ქაიდასთან" ასოცირებული რეალური ლიდერების - უსამა ბინ ლადენის, მოლა ომარის, ზავაჰირის და სხვა - რაიმენაირად ნეიტრალიზება. პირიქით, ძველ ცნობილ სახეებს ახლებიც შეემატნენ და "ტერორისტულ სამყაროში" კიდევ უფრო მეტი დიდებითაც შეიმოსნენ. ერაყელი მოქთადა ას-სადრისა და აბუ მუსაბ აზ-ზარქავის სახელები არავის ეცოდინებოდა, რომ არა ერაყში დაწყებული კამპანია დემოკრატიული ღირებულებების (თუ ნავთობმაგნატთა ინტერესების?) დასაცავად.

სამი წლის წინ დაწყებული ომის შედეგად მართლმსაჯულების წინაშე აღმოჩენილი ერთადერთი, ყველასათვის ცნობილი პიროვნება სადამ ჰუსეინია, თუმცა ვერავინ, მათ შორის ამერიკელებიც ვერ ამტკიცებენ, რომ სადამ ჰუსეინი რეალურად თანამშრომლობდა "ალ-ქაიდასთან". იმის მიუხედავად, რომ თითქმის ყველა ქვეყანა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის იდეას უჭერს მხარს (ზოგიერთები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას ამოფარებულნი საკუთარი, შიდა პრობლემების გადაჭრასაც ლამობენ), ამ ბრძოლას დასასრული მაინც არ უჩანს. გუშინაც გაჩნდა ერთ-ერთ ინტერნეტ-გვერდზე ბინ ლადენის თანაშემწედ მიჩნეული აიმან აზ-ზავაჰირის მუქარა.

2002 წლიდან, ყოველ წელს, დღევანდელ დღეს ნიუ-იორკში სავაჭრო ცენტრის ადგილზე იკრიბებიან რიგითი მოქალაქეები, პოლიტიკოსები, დაღუპულთა ახლობლები. 8 საათსა და 46 წუთზე ადგილობრივი დროით, ზუსტად სამი წლის შემდეგ მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე პირველი თვითმფრინავის შეჯახებიდან, ნიუ იორკში ტრაგედიის ადგილზე შეკრებილი ხალხი წუთიერი დუმილით პატივს მიაგებს დაღუპულთა ხსოვნას. შემდეგ დაღუპული 3000-მდე ადამიანის სახელებისა და გვარების ამოკითხვას შეუდგებიან.




9 საათსა და 3 წუთზე, როდესაც მეორე თვითმფრინავი შეეჯახა ცათამბჯენს, დაღუპულთა სიის კითხვა დროებით შეჩერდება და შეკრებილი ხალხი კიდევ ერთხელ შეასრულებს წუთიერი დუმილის რიტუალს.

წუთიერი დუმილით აღნიშნავენ მეორე ცათამბჯენის ჩამონგრევის დროსაც 10 საათსა და 30 წუთზე.

ასე მეორდება უკვე მესამე წელია. წელს ალბათ პოლიტიკოსების სიმრავლითაც აღინიშნება ხსოვნის დღე - წელს ხომ საპრეზიდენტო არჩევნების წელია. რესპუბლიკელთა კანდიდატიც და დემოკრატთა კანდიდატიც ისაუბრებენ 2001 წლის 11 სექტემბერზე, ერის ერთიანობაზე. თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ - თუ ჯორჯ ბუში ტერორიზმთან ომის წარმატებაზე გაამახვილებს ყურადღებას, მისი ოპონენტი, ალბათ, შემთხვევას არ გაუშვებს, კიდევ ერთხელ გააკრიტიკოს თეთრი სახლის ამჟამინდელი ბინადარი...

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა ჯორჯ ბუშის მმართველობის მთავარი მოვლენაა. და, რაც მთავარია, ბუშის პრეზიდენტობის წარმატება-წარუმატებლობის შეფასებისას ორივე მხარეს, მის მომხრეებს და მოწინააღმდეგეებსაც, ტერორიზმთან ბრძოლა მოჰყავთ მთავარ არგუმენტად.

დღეს ბევრი პოლიტიკოსი გამოვა ხალხთან და ისაუბრებს, თუ რა ძნელია ტერორიზმთან ბრძოლა, რატომაა ამ სენის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს ერთად დგომა საჭირო და ა.შ.. დარწმუნებული ვიყოთ, პრეზიდენტობის კანდიდატები პოტენციურ ამომრჩევლთა მოხიბვლის შანსს არ გაუშვებენ და პირობას დადებენ, რომ ამერიკელთა უსაფრთხოება მათ მმართველობაში უფრო იქნება შესაძლებელი.

თუმცა, ერთ-ერთი კონგრესმენი გუშინვე აღნიშნავდა: "ჩვენ უნდა ვიფიქროთ 11 სექტემბერზე და არა 2 ნოემბერზე (არჩევნების დღე)"...

# ჯორჯ ბუში პუტინს ტერორიზმთან ბრძოლაში ყოველმხრივ დახმარებას აღუთქვამს



აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ვლადიმირ პუტინთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ რუსეთის ლიდერის მიერ ჩრდილოეთ ოსეთში დატრიალებული ტრაგედიის საპასუხოდ გადაგმულ ნებისმიერ ნაბიჯს მხარს დაუჭერს. ამგვარი ინფორმაცია საერთაშორისო სააგენტო United Press International-მა თეთრი სახლის წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა.

სააგენტოს მონაცემებით, აშშ-ს პრეზიდენტმა თავისი რუსი კოლეგა დაარწმუნა იმაში, რომ შეერთებული შტატები წინ არ აღუდგება ნებისმიერ რეპრესიულ ზომებს, რომლის გატარებასაც პუტინი ჩეჩენი ბოევიკების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ჩათვლის საჭიროდ. ამასთან, ბუშმა რუსეთში ბოლო დროს განხორციელებულ ტერაქტებში და ასობით ადამიანის სიკვდილში მთელი პასუხისმგებლობა სწორედ ჩეჩენ ბოევიკებს დააკისრა. საინფორმაციო წყაროები ასევე არ გამორიცხავენ, რომ პუტინი გარკვეულ დათმობაზე წავიდა და ბუშს, სავარაუდოდ, ჩაურევლობას დაჰპირდა იმ შემთხვევაში, თუ ამერიკისა და ისრაელის სამხედრო ძალები ბუშერში განთავსებულ ირანის ატომურ რეაქტორზე მიიტანენ იერიშს.

გავლენიანი ამერიკული გამოცემის Wall Street Journal-ის აზრით, რუსეთში ბოლო დროს განვითარებულმა სისხლიანმა მოვლენებმა მსოფლიო საზოგადოება 2001 წლის 11 სექტემბერს დააბრუნა და ყველას შეახსენა, თუ როგორ შეიცვალა მსოფლიო მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ტერორიზმის მასშტაბები ყოველგვარ ზღვარს გასცდა. სტატიის ავტორთა აზრით, საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხოს წინაშე დადგომის შემდეგ, მსოფლიო საკმაოდ მჭიდრო და ერთიანი გახდა იმისათვის, რომ ყურადღება მიაქციონ სხვადასხვა ქვეყნებს შორის წარმოქმნილ პოლიტიკურ უთანხმოებებს. გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ სამი წლის წინ სექტემბერში შვილები თავიანთ მშობლებს ასაფლავებდნენ, ხოლო ამ შემოდგომის დასაწყისში ოსი მშობლები თავიანთ შვილებს აბარებენ მიწას.

მთელმა მსოფლიო საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ ამჟამად ხალხი "11 სექტემბრის შემდგომ მსოფლიოში ცხოვრობს", წერს Wall Street Journal-ი. ეს გახლავთ მსოფლიო, რომელშიც ისლამისტი ტერორისტების ბომბები მუდმივ მზადყოფნაში იმყოფება, რათა მრავალი მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე გაანადგუროს და ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ, სწავლობენ თუ მუშაობენ ისინი. ამ ცვალებადმა მსოფლიომ ნიუ იორკი და მოსკოვი, მადრიდი და ჯაკარტა, იერუსალიმი, რომი, ნეპალი და ელ-ფალუჯა გააერთიანა.

ამერიკული გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ პოლიტიკოსებს, აშშ-სა და რუსეთს შორის არსებული უთანხმოებების მიუხედავად, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ნიუ იორკი ნანგრევებად ქცეული ბესლანისაგან არაფრით განსხვავდება და როდესაც ყველა ამერიკელი სამი წლის წინ დაღუპულთა ხსოვნას მიაგებს პატივს, რუსეთი თავის დაღუპულ შვილებს გლოვობს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ინდონეზია.** ავსტრალიამ ჯაკარტაში მომხდარი აფეთქების შემდეგ კუნძულ ბალიზე საკონსულოს დახურვა გადაწყვიტა, ხოლო ინდონეზიაში მყოფ საკუთარ მოქალაქეებს ქვეყნის დატოვებისკენ მოუწოდა. მიმდინარე წელს აზიური ისლამისტური იატაკქვეშა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული რიგით მესამე აფეთქება ინდონეზიაში "დასავლეთის ინტერესების" წინააღმდეგ იყო მიმართული. როგორც "მწვანე კონტინენტის" დიპლომატიური კორპუსი აცხადებს, არ წყდება ინფორმაციის მიღება ახალი შესაძლო ტერაქტების შესახებ. სწორედ ამიტომ საელჩო თავის მოქალაქეებს ურჩევს, ამ ქვეყანაში ვიზიტისაგან თავი შეიკავონ. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ნიდერლანდები.** ჰააგაში გუშინ ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების ორდღიანი არაოფიციალური შეხვედრა დაიწყო. შეხვედრას მეთაურობს ნიდერლანდების ვიცე-პრემიერი ჰერიტ ზალმი. ფორუმის დღის წესრიგშია ევროკავშირის სტაბილურობის პაქტის რეფორმა ევროს ზონის ფინანსური სისტემის რეგულირების საკითხში, 2007-2013 წლების ფინანსური პერსპექტივები და ასევე საერთო მიდგომები ევროსთან მიმართებაში. უმთავრესი ამოცანაა საერთო გზებისა და საშუალებების გამონახვა გრძელვადიან პერსპექტივაში მყარი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. გარდა ამისა, შეხვედრაზე განიხილავენ 2000 წლის გაზაფხულზე მიღებულ ლისაბონის პროგრამასაც, რომელიც 2010 წლისთვის ევროკავშირის ყველაზე ეფექტურ ეკონომიკურ სივრცედ გარდაქმნას ისახავს მიზნად. **24 საათი**

■ ■ ■

**იაპონია.** მიმდინარე წელს იაპონიისთვის სტიქიის მიერ მიყენებულმა ზარალმა 2 მლრდ აშშ დოლარს (240 მლრდ იენი) მიაღწია. თანაც, იაპონიის მიწათმოქმედების, ტყის რესურსებისა და თევზჭერის მინისტრის იოსიუკი კამეის განცხადებით, ზარალის რაოდენობა ჯერ კიდევ არაა ბოლომდე დადგენილი. ყველაზე მეტად კი სოფლის მეურნეობის სფერო დაზარალდა. ჯერ მარტო კიუსიუზე, რომელიც ხუთი პრეფექტურისგან შედგება, ფერმებმა და თევზჭერის მეურნეობებმა 180 მლნ აშშ დოლარზე მეტი ზარალი განიცადა. **24 საათი**

■ ■ ■

**ლიტვა.** გუშინ ლიტვაში ოფიციალურად დაიწყო პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია. "იტარ-ტასი"-ს ცნობით, 141 დეპუტატის მანდატისთვის 1 500 კანდიდატი იბრძოლებს. არჩევნები კი 10 ოქტომბერს ჩატარდება. გამოკითხვის შედეგებით, არჩევნებში ფავორიტად ლიტვის ახალბედა "შრომის პარტია" ითვლება, რომელიც 2003 წლის ოქტომბერში შეიქმნა. პოლიტოლოგთა პროგნოზით, ეს პარტია ადგილების მესამედზე ნაკლებს არ დასჯერდება. **იტარ-ტასი**

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის მაინის ფრანკფურტის რეკონსტრუქციის ბანკისგან (KFW) და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ხაშურისა და ახალციხის რაიონებში შემდეგი საკონსულტაციო მომსახურება:

ტრეინინგები თემის განვითარების დაგეგმარებაში;

ტრეინინგები სსიფ-ის მიკროპროექტების განხორციელების პროცედურებში;

ტრეინინგები ადგილობრივი თვითმართველობის მართვის ეფექტურობაში.

ამ განცხადებით სსიფ და GOPA Consultants იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება, კვალიფიკაცია და რესურსი, წინასაკვალიფიკაციო შერჩევისათვის.

საკვალიფიკაციო ფორმების მიღება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისის 380079, საქართველო,**
**ტელ: (995 32) 23 07 79, 25 04 42, 25 04 43;**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**
**ელ ფოსტა: gsif@gsif.ge**
**2004 წლის 13 სექტემბრიდან 10-დან 18 საათამდე. საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 ლის 27 სექტემბერი.**

# არჩევნები ავღანეთში - ბუშის პოლიტიკის წარმატება თუ მარცხი?

ლაშა გიორგიძე

ავღანეთის ისტორიაში პირველი საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია დაიწყო. 9 ოქტომბერს დაგეგმილი არჩევნები ქვეყნის პირველ პრეზიდენტს გამოავლენს, რომელსაც ავღანეთის მოსახლეობა პირდაპირი არჩევნების წესით აირჩევს. თუმცა, იგი სცილდება ჩვეულებრივი არჩევნების ჩარჩოებს და კონკრეტულ წარმოდგენას შეგვიქმნის: შეძლო თუ არა აშშ-მ ავღანეთის სახელმწიფოს გარდაქმნა და ძირითადი დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება. არჩევნების ობიექტურობა ზუსტად გვიჩვენებს ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკურ წარმატებას ამ რეგიონში, ან სრულ მარცხს ავღანეთში.

რატომ დაიწყო ავღანეთში საომარი ოპერაციები, რატომაა დღევანდელობა იმაზე უკეთესი, ვიდრე თალიბების რეჟიმის დროს იყო, რატომ სჯობია დემოკრატია დიქტატურას ან თუნდაც ისლამურ ფუნდამენტალიზმს? ეს ის შეკითხვებია, რაზეც პასუხი ჯერ კიდევ გასაცემია. მაგრამ ამ პასუხს დღეს არავინ ელოდება აშშ-სგან, რომელმაც დემოკრატიული პრინციპების ეგიდით ჩაატარა ოპერაციები ავღანეთსა და ერაყში, დღეს ამ შეკითხვებზე პასუხი ავღანელებმა უნდა გასცენ.

წინასაარჩევნო პროცესი, ჯერჯერობით, დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით მიმდინარეობს. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებისაგან ყველა სახის მატერიალური დახმარება უზრუნველყოფილია. ქვეყანაში 25 ათასი საარჩევნო უბანი გაიხსნება. ხმის მიცემის საშუალება იმ 2,3 მილიონ ავღანელსაც მიეცემა, რომელიც ირანსა და პაკისტანში ლტოლვილთა ბანაკებში იმყოფება.

ქვეყნის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხმის მიცემის პროცედურა რაც შეიძლება გამარტივებული იყოს. ავღანეთის ქუჩებში გაკრული აბრები მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოუწოდებს. უხმობს არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალებსაც, რომელთა რაოდენობაც ქვეყანაში 41 პროცენტს შეადგენს და რომელთა მონაწილეობაც არჩევნებში ქვეყნის ისტორიაში კიდევ ერთი პრეცედენტია. ავღანეთის სახელმწიფო რადიო დღეში რამდენჯერმე აცხადებს არჩევნების შესახებ ინფორმაციას, ხოლო მოსახლეობას დამატებით საარჩევნო ინსტრუქციებს უტარებენ. პრეზიდენტობის თითოეულ კანდიდატს კი კვირაში 20 წუთი სახელმწიფო ტელევიზიის ეთერი შეუძლია გამოიყენოს საკუთარი საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად.

ავღანეთის არჩევნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. უსაფრთხოებას კი აშშ-სა და ნატოს 26 ათასი ჯარისკაცი უზრუნველყოფს, ავღანეთის არმიის 14 ათასკაციან კონტინგენტთან ერთად. თუმცა, როგორც ჯარების ერთ-ერთი სარდალი აცხადებს, "უსაფრთხოება შეუძლებელია, ასპროცენტიანი იყოს". თალიბების რეჟიმის დამხობის მიუხედავად, მაინც არსებობს საფრთხე, რომ გარკვეული ძალები ყველანაირად შეეცდებიან არჩევნების ჩაშლას.

პრეზიდენტობის 18 კანდიდატს შორის გამარჯვების ყველაზე რეალური შანსი ავღანეთის დღევანდელ დროებით პრეზიდენტს ჰამიდ კარზაის აქვს. თუმცა, მისთვისაც არსებობს სერიოზული პრობლემები. თალიბების გარდა კარზაისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიან ავღანეთის ადგილობრივი თემების მეთაურები, რომელთაც ოპიუმით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების საშუალებით იარაღის შეძენის შედეგად, მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვეს ქვეყანაში. ნარკოტიკებიდან მიღებული წლიური შემოსავლები დაახლოებით 2,3 მილიარდი დოლარია, რაც თითქმის რვაჯერ აღემატება მთავრობის მიერ მიღებულ შემოსავლებს. ბატონმა კარზაიმ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ თემის მეთაურებთან დაპირისპირებას, მათთან საერთო ენის გამონახვა არჩია, თუმცა, უშედეგოდ. ამიტომაც არის, რომ ქვეყნის დროებითი პრეზიდენტი "ქაბულის მერად" გადაიქცა, ხოლო ავღანეთის დანარჩენ ტერიტორიაზე გავლენა არ აქვს.

ავღანეთის რეალობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეთნიკური და კლანური იდენტურობა. ამიტომ, პრეზიდენტობის კანდიდატთა წარმატება დიდწილადაა დამოკიდებული თავისი ეთნოსის მრავალრიცხოვნობაზე და მისი კლანის გავლენაზე ავღანეთის მოსახლეობაზე.

ავღანეთის არჩევნები რამდენიმე კვირით ადრე იმართება, ვიდრე აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნები, ამიტომ პრეზიდენტ ბუშის რეიტინგის გამყარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მან წესების მაქსიმალური დაცვით ჩაიაროს. ასეთ შემთხვევაში აშშ-ს მოქმედ პრეზიდენტს კიდევ ერთხელ მიეცემა საშუალება, საფუძვლიანი განცხადება გააკეთოს თავისი ადმინისტრაციის მართებული საგარეო პოლიტიკური ინიციატივების შესახებ.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ავღანეთში განვითარებული მოვლენები და დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები გავლენას იქონიებს ერაყში მიმდინარე გარდამავალ პერიოდზეც. აქაც, ისევე როგორც ავღანეთში, დროებითი, აშშ-ს მიერ დანიშნული მთავრობა მართავს ქვეყანას, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ ერაყის მოსახლეობამაც თავისი არჩევანი უნდა გააკეთოს. და მაინც, ავღანეთში გასამართ არჩევნებს ყველაზე დიდი ინტერესით ამერიკის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ადევნებენ თვალყურს. მათი განცხადებით, ბუშის "აღმოსავლური დაპყრობები" მიუღებელია და აქცენტს პრობლემების მოგვარების ლიბერალურ მეთოდებზე აკეთებენ. ასე რომ, თეთრი სახლის დღევანდელი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის წარმატება თუ წარუმატებლობა რამდენიმე კვირაში გაირკვევა.

# დევნილები დევნილების წინააღმდეგ

*თბილისში 90 ათასამდე იძულებით გადაადგილებული ადამიანი ცხოვრობს, აქედან 47 ათასი ორგანიზებულ სექტორშია ჩასახლებული. დანარჩენებს კი ნათესავებთან ან ნაქირავებ ბინებში უწევთ ცხოვრება. გუშინ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებმა შემოირეს ყველა ის დაწესებულება, რომლებშიც კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები ცხოვრობენ. აღმოჩნდა, რომ დევნილების მიერ დაკავებული ბინების უმეტესობა გაქირავებული, დაგირავებული ან გაყიდულია. უახლოეს მომავალში ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც ლტოლვილის საბუთი არ აღმოაჩნდება, დაკავებულ ფართს იძულების წესით დაატოვებინებენ და მათ მაგივრად დევნილებს შეასახლებენ.*

თამარ დვალი

ყველასთვის ცნობილია, რომ დევნილები ძალით იჭრებიან შენობებში, შემდეგ კი ფართს ყიდიან, აქირავებენ ან აგირავებენ. ამის შესახებ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროშიც ფლობენ ინფორმაციას, მაგრამ ეს ყველაზე კარგად იცის იმ ხალხმა, ვინც მართლა დევნილია და უკვე რამდენიმე წელიწადია, ნათესავთან ან ნაქირავებ ბინაში უწევს ცხოვრება.

მზია გაბუნია მარტოხელა დედაა. მან 1992 წელს ინვალიდ შვილთან ერთად დატოვა აფხაზეთი. მას შემდეგ საკუთარი ჭერი აღარ ღირსებია.

**"15 წლის ინვალიდი გოგო მყავს და მე თვითონაც მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ. ქირით ცხოვრება აღარ შემიძლია. რატომ უნდა ვეძებდე ბინას, როდესაც ლტოლვილებისთვის განკუთვნილ ფართში სხვები ცხოვრობენ. მე თვითონ შემოვიარე კომპაქტურად ჩასახლებული ადგილები და ყველა ასეთი შემთხვევა აღვწერე. ესენია: მერვე საავადმყოფოს ლაბორატორიის ექვსსართულიანი შენობა, სადაც ერთი სართული დაკავებული აქვთ ვითომ ლტოლვილებს და ამ დროს გაქირავებული და გაყიდულია. ცოტნე დადიანის ქუჩაზე ე.წ. "ტექნიკუმის" შენობა, ნუცუბიძის მესამე პლატოზე მდებარე სასტუმრო "აკადემიური", ჯიქიას N8-ში გეოფიზიკური საწარმო, ბაგების სტუდქალაქი და სხვა. ჩვენი მოთხოვნაა, გამოასახლონ ყველა, ვინც დევნილის სახელით სარგებლობს და მათ მაგივრად ჩვენ შეგვასახლონ,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას აფხაზეთიდან დევნილმა მზია გაბუნიამ.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ბინით დაკმაყოფილების მოთხოვნით ასობით განცხადება დევს. სახელმწიფოს რეზერვი არ გააჩნია. არ არსებობს სახსრები იმისთვის, რომ აშენდეს ახალი საცხოვრებელი სახლები დევნილებისთვის. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ერთადერთ გამოსავლად კომპაქტურად ჩასახლებული ადგილების გადამოწმებას და არადევნილი ოჯახების გამოსახლებას მიიჩნევენ.

**"ჩვენმა სამინისტრომ შეისწავლა ყველა კომპაქტურად ჩასახლებული ადგილი და აღმოაჩინა, რომ ლტოლვილების უმეტესობას ბინები გაყიდული და გაქირავებული აქვთ. სასწრაფოდ უნდა ჩამოერთვათ მათ ეს ფართი და დაკმაყოფილდნენ უსახლკაროდ დარჩენილი დევნილები. რაკი ეს ხალხი იქიდან ნებით არ გამოვა, ალბათ, ძალის გამოყენება მოგვიწევს. შესაძლოა, აქ კრიმინალური ელემენტებიც აფარებდნენ თავს. გამოდის, რომ სახელმწიფო არადევნილ მოსახლეობას უხდის კომუნალურ გადასახადებს, რაც დაუშვებელია,"** - განაცხადა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ მირზა ქოჩიაშვილმა, რომელმაც გუშინ ჯიქიას №8-ში მცხოვრები დევნილები თავად მოინახულა.

შეგახსენებთ, რომ ადრე ჯიქიას რვა ნომერი გეოლოგებს ეკუთვნოდათ, თუმცა, ორი წლის წინათ იგი დევნილებმა ძალით დაიკავეს. მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, გამოესახლებინათ დევნილები, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება, შენობა კვლავ დევნილებს დარჩენოდათ. დღეს სააქციო საზოგადოება "გეოლოგების" დირექტორი ზურაბ ბაიაძე აცხადებს, რომ მას შენობის დაბრუნების იმედი აღარა აქვს.

**"მოვლენებს რეალისტურად ვუყურებ და, აქედან გამომდინარე, არა მგონია, ვინმემ ეს შენობა ისევ ჩვენ დაგვიბრუნოს. გეოლოგების პოზიცია ასეთია: თუ ეს შენობა იმიტომ ჩამოგვართვეს, რომ ლტოლვილებს გადასცემოდათ, მაშინ იცხოვრონ ლტოლვილებმა და არა სხვებმა. მე ვიცი, რომ აქ ბინები ხელიდან ხელში გადადის. თავდაპირველად შენობა სხვა ხალხმა დაიკავა და ახლა სულ სხვა ხალხი ცხოვრობს,"** - აღნიშნა ბაიაძემ.



ბესო გულაშვილის ფოტო

*მირზა ქოჩიაშვილი: "ამიერიდან მკაცრი კონტროლი დაწესდება, რათა კვლავ არ მოხდეს ბინების გაყიდვა-გაქირავება."*

გუშინ ჯიქიას რვა ნომერში მოსახლეობის უმეტესობამ მინისტრის მოადგილის დანახვისას კარი შიგნიდან ჩაკეტა. თუმცა, ამ შენობაში ათობით ბინა ვნახეთ, რომლებსაც რკინის კარი ბოქლომით აქვთ ჩაკეტილი და გასაქირავებლად ან გასაყიდად არიან გამზადებული. რამდენიმე ოჯახმა ისიც აღიარა, ზესტაფონიდან, აბროლაურიდან და სხვა რაიონებიდან ვართ ჩამოსული და აქ ახლობლების დახმარებით დავსახლდითო.

დევნილების უმრავლესობა საკუთარ მეზობლებზე საუბარს ერიდება, თუმცა, კლარა რეხვიაშვილი ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც სიმართლის თქმა გაბედა. **"რატომღაც ყველა თავს არიდებს იმაზე საუბარს, რომ ჩვენს შენობაში ლტოლვილების ნაცვლად სხვა ხალხი ჩასახლდა. მეზობლების უმეტესობას ველარ ვცნობ, გამუდმებით იყიდება და ქირავდება ბინები. კორპუსში ახლად გადმოსულები არაჯანსაღ ცხოვრებას ეწევიან და ამის გამო თანდათან გაუსაძლისი ხდება ჩვენი აქ ცხოვრება. რატომ უნდა იხადოს სახელმწიფომ დენის საფასური, როდესაც ლტოლვილების ნაცვლად სხვები მოიხმარენ ელექტროენერგიას?!"** - კითხულობს ჯიქიას რვა ნომერში მცხოვრები დევნილი.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში აცხადებენ, რომ ამიერიდან მკაცრი კონტროლი დაწესდება, რათა კვლავ არ მოხდეს ბინების გაყიდვა-გაქირავება. ახლა სამინისტროში ერთი მთავარი საზრუნავი აქვთ: როგორმე გამოასახლონ ის ხალხი, ვინც ლტოლვილის სახელს ეფარება.

# იცით თუ არა, რომ სახელმწიფო თქვენს კბილებზე ზრუნავს?

*ომის ინვალიდების ან მარჩენალდაკარგული ოჯახების უმრავლესობისთვის, ალბათ, აღმოჩენა იქნება, თუ ვეტყვით, რომ არსებობს სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც მათ ყველანაირი მომსახურება უფასოდ ეკუთვნით. ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე, N60-ში მდებარე კლინიკა "ულტრადენტი" უკვე მეორე წელიწადია სტომატოლოგიური მომსახურების სახელმწიფო პროგრამას ახორციელებს. თავად პროგრამა კი საქართველოში კარგა ხანია მოქმედებს.*

ნანა ქადაგიშვილი

ეს სახელმწიფო პროგრამა სამამულო, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ომების პირველი-მეორე ჯგუფის ინვალიდებისა და მარჩენალდაკარგულთა ოჯახების სტომატოლოგიურ მომსახურებას ითვალისწინებს (ამაში შედის ყველა სახის მომსახურება - კბილის ამოღებით დაწყებული და პროთეზირებით დამთავრებული). როგორც "ულტრადენტის" ხელმძღვანელობა აცხადებს, ექიმებს თვეში 40-მდე პაციენტის მიღება უწევთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს კლინიკა მთელ საქართველოს ემსახურება და მხოლოდ თბილისში ომის პირველი და მეორე ჯგუფის 100 ინვალიდია, სახელმწიფო შეღავათის შესახებ ბევრს არაფერი სცოდნია.

ასეთი სახელმწიფო პროგრამა თუ არსებობდა, ჩვენმა რესპონდენტმა "24 საათში" გამოქვეყნებული სტატიიდან შეიტყო და "ულტრადენტსაც" ჩვენი დახმარებით მიაკვლია. **"ნამდვილად არ ველოდი, თუ ასე კარგად მიმიღებდნენ. რიგის მიხედვით, მარტში მიწევდა მკურნალობა, მაგრამ კბილი ამტკივდა და კლინიკის დირექტორმა უყოყმანოდ მიმიღო. კბილიც ამომიღეს და სხვა საჭირო დახმარებაც გამიწიეს,"** - ექიმების ყურადღებით, ცოტა არ იყოს, გაოცებულია ჩვენი რესპონდენტი, რომელსაც "ულტრადენტში" ნაცნობი არავინ ჰყავს.

პაციენტის ასეთი რეაქცია გასაკვირი ნამდვილად არ არის, რადგან სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც სახელმწიფო პროგრამები ხორციელდება, ექიმის ყურადღებით კმაყოფილი პაციენტი იშვიათია. თუ რატომ, მშვენივრად იცის ხელისუფლებამაც, პაციენტმაც და მკითხველმაც.

ასე რომ, თუ ჩვენს რესპონდენტს დავუჯერებთ, თუ ომის ინვალიდებსა და მარჩენალდაკარგულთა ოჯახების წევრებს კბილი ასტკივდათ, უფულობამ აღარ უნდა შეაწუხოთ. მთავარია, ინვალიდობისა და მარჩენალის გარეშე დარჩენის დამადასტურებელი საბუთები ხელთ ჰქონდეთ.

ომის პირველი-მეორე ჯგუფის ინვალიდებისა და მონაწილეების კბილებზე მალე ქალაქის მთავრობაც იზრუნებს. მათი სტომატოლოგიური პროგრამის დასაფინანსებლად ქალაქის ბიუჯეტში 30 ათასი ლარია გამოყოფილი. პირველ სექტემბერს ამ პროგრამის განხორციელებაზე ტენდერიც გამოცხადდა. ხოლო რა სახის მომსახურებას შესთავაზებს მუნიციპალური პროგრამა მოქალაქეებს, ეს ტენდერში გამარჯვებული კლინიკის მიერ წარდგენილ წინადადებებზე იქნება დამოკიდებული.

# "დეზერტირების ბაზრის" ბედი გადაწყდა, რა ელის მის დირექტორს?

ნანა ქადაგიშვილი

*გუშინ თბილისის საკრებულომ ცენტრალური სუპერმარკეტის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა. ბაზრის დირექციის ბედი კი ჯერ არ დაუკონკრეტებია. მაგასაც მოვუვლითო, განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ, თუმცა, ამ "მოვლაში" რა იგულისხმა, არ განუმარტავს.*

საკრებულოს ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი მის მიერ ახლახან შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაცია გახლდათ. მართალია, ამ ინფორმაციაში არც თბილისის ხელმძღვანელობისთვის და არც ბაზრის ნებისმიერი მომხმარებლისთვის ახალი არაფერი ყოფილა, მაგრამ საკრებულოს წევრებს ღამის სამ საათზე ადგომა და "დეზერტირების ბაზარზე" თავდასხმა მაინც აიძულა. ჰოდა, იქ რაც ნახეს, იმის გამო, ერთი კვირის განმავლობაში, ალბათ, ხორცს ვერც ერთი მათგანი ვერ გაეკარება.

საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა, საკრებულოს ინტეგრაციის კომისიის წევრმა გიორგი ნიკოლაძემ და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შექმნილმა საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლებმა ღამით ვიზიტი იმიტომ არჩიეს, რომ ხორცი ბაზარში ღამით შედის. ეს ხორცი, წესით, ჯერ ლაბორატორიისკენ უნდა წაიღონ და



ბესო გულაშვილის ფოტო

*"ბაზარი მანამდე დაიკეტება, სანამ მისი ლაბორატორია შესაბამის ნორმებს არ დააკმაყოფილებს," - გადაწყვიტა ბეგაშვილმა.*

დახლებზე მხოლოდ შემოწმების შემდეგ დააწყონ, მაგრამ, როგორც საკრებულოს წევრებმა საკუთარი თვალით ნახეს, სულ პირიქით ხდება. უფრო სწორად, ხორცი ჯერ დახლებზე ეწყობა, ლაბორატორიაში კი ხან ჩააქვთ, ხან - არა. **"საშინელი ანტისანიტარია, სუნი, ბინძური ურიკები, კატები..."** - რეპლიკებს ერთმანეთს არ აცლიდნენ საკრებულოს აღშფოთებული წევრები. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საკრებულოში შარშან დაწყებული საქმე გუშინ დასრულდა. ლამის ერთი წელიწადია, ქალაქის საკანონმდებლო ორგანო "დეზერტირების ბაზრის" დირექტორს "უკანასკნელ გაფრთხილებას" აძლევს, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა. **"ბაზარი მანამდე დაიკეტება, სანამ მისი ლაბორატორია შესაბამის ნორმებს არ დააკმაყოფილებს,"** - გადაწყვიტა ბეგაშვილმა.

საინტერესოა, რა ბედი ელის ბაზრის ურჩ დირექტორს, რომელიც პრესკონფერენციაზე არც კი გამოცხადდა და საკრებულოს წევრებს ვეტერინარიის დეპარტამენტისა და საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეები შერჩათ "ხახაში". ერთსაათიანი ჭიდილის შემდეგ ყველამ აღიარა, რომ ვეტერინარებთან ერთად ბაზრის დირექტორიც დამნაშავეა. **"მაგასაც მოვუვლით"**, - განაცხადა ბეგაშვილმა. როგორ, იმედია, მალე შევიტყობთ.

# ფიქრის, განსჯისა და მონანიების დღე

კვირას, 12 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღესთან დაკავშირებით, ქართველი ინტელიგენციის ნაწილი თბილისიდან წიწამურისკენ მსვლელობას გეგმავს. "დაე, ილიას მკვლელობის დღე ფიქრის, განსჯისა და მონანიების დღედ მივიჩნიოთ," - აცხადებს ინტელიგენცია. აქციაში მონაწილეობის მსურველები პირველი სკოლის ეზოში, ილიასა და აკაკის ძეგლთან დილის 10 საათზე შეიკრიბებიან და წიწამურისკენ წავლენ. საღამოს კი მთაწმინდის პანთეონს ეწვევიან და ილიას საფლავს ყვავილებით შეამკობენ. ავტორებს სურთ, მსგავსი ღონისძიება ტრადიციად აქციონ.

*24 საათი*


## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის დაცვია-შენარჩუნებისათვის აუცილებელი პრევენციული ღონისძიებების შესრულების მიზნით

**იწვევს**
მაღალკვალიფიცირებულ სამთო-მეკლდეურებს

ვარძიის სამთო-გაწმენდითი სამუშაოებზე
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

ჩასატარებელი სამუშაოების აღწერილობა:

იგი ითვალისწინებს გამოქვაბულების ზემოთ მდებარე მთის ე. წ. კონგლომერატის ფენის გასუფთავებას კლდის ძირითადი მასიდან მოცილებული და მასთან სუსტი კონტაქტის მქონე ქვებისა და მცენარეულობისაგან. სამუშაოები უნდა შესრულდეს უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, შესაბამისი სამთო აღჭურვილობის გამოყენებით.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ წარმოადგინოთ შემდეგი ინფორმაცია:

- მსგავსი ტიპის სამუშაოებში თქვენი და ჯგუფის წევრების რაოდენობა და გამოცდილება
- აღნიშნული ტერიტორიის გაწმენდისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობა
- ბიუჯეტი

კონკურსის შედეგად შერჩეული პროფესიონალთა ჯგუფი სამთო-გაწმენდით სამუშაოებს უნდა შეუდგეს არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა
განაცხადების მიღების ბოლო ვადაა:
18 სექტემბერი, 2004 წელი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, 99 02 85, 93 21 88;


# ქალაქის გადარჩენის საშუალებები

ცნობილი ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ დიდი ქალაქების არასახარბიელო ეკოლოგიური მდგომარეობის მიზეზი ჭარბმოსახლეობაა. შენობების მჭიდროდ განლაგება, კომპაქტური დასახლება, ავტოტრანსპორტის სიმრავლე ხელს უშლის ჰაერის ბუნებრივ ვენტილაციასა და თავისუფალ ცირკულაციას. ცნობილია, რომ რაც უფრო დაბალხარისხოვანია საწვავი და მოძველებულია ტრანსპორტი, მით უფრო დიდი რაოდენობის მავნე აირებს შეიცავს გამონაბოლქვი გაზები. ამიტომ ჩვენი ავტომობილების გამონაბოლქვში მავნე ნაერთების რაოდენობა ყოველ ერთეულ გადანარბენზე 25-30-ჯერ მეტია, ვიდრე, მაგალითად, აშშ-ში. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია იქმნება ე.წ. საცობებში. ზოგიერთ ქვეყანაში შუქნიშანს აქვს დამატებითი სიგნალი, რომელიც მძღოლებს ამცნობს, რომ ძრავა მწვანე ფერის გამოჩენამდე გამორთონ, რადგან უქმი სვლისას გამონაბოლქვის აირში ყველაზე ძლიერი ტოქსიკური ნაერთებია. ამას კი ძალიან ცუდ შედეგამდე მივყავართ.

როგორც ცნობილი მეცნიერი ჯ. უილიამსი ამბობდა, არსებობს გარემოს გაჭუჭყიანების სამი ძირითადი სახეობა: ავადმყოფობის გამომწვევი, ეკომორფული და ესთეტიკური. პირველი სახის დაბინძურების შედეგად ადამიანი შეიძლება ძალიან მძიმედაც კი დაავადდეს. მეორე შემთხვევაში გარემოს ფიზიკური თვისებები იცვლება (მაგ. ტემპერატურის ზრდა). მესამე სახის დაბინძურება ანუ უშნო პეიზაჟი ქალაქსაც ამახინჯებს და მოქალაქის განწყობასაც. ჩვენს დედაქალაქში დაბინძურების სამივე სახეობა აღინიშნება. გამოსავალი კი რამდენიმე შეიძლება მოიძებნოს.

მსოფლიოს მთელ რიგ ქალაქებში ავტოტრანსპორტისგან გაათავისუფლეს ცენტრალური ქუჩები. მაგალითად, ტოკიოში 120-მდე ქუჩაზე არანაირი სახის ტრანსპორტი არ დადის.

არსებობს ჰაერის გაწმენდის სხვა საშუალებებიც. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს: თუ ცხოვრობთ სამუშაო ადგილიდან 4-5 კილომეტრის დაშორებით და სამსახურში ავტომობილით დაბრძანდებით, წელიწადში, დაახლოებით, 2000 კვადრატულ მეტრს გაივლით და 200 ლიტრ ბენზინს დაწვავთ, რითიც ჰაერს გააჭუჭყიანებთ 48-50 კილოგრამი მხუთავი გაზით, 4-5 კილოგრამი კანცეროგენური ნახშირწყლებითა და 4 კილოგრამი აზოტით. ხოლო თუ ველოსიპედით ივლით, 200 ლიტრი ბენზინის ნაცვლად "დაწვავთ" 4-5 კილოგრამ საკუთარ ქონს და დაიცავთ როგორც საკუთარ ბიუჯეტს, ისე თქვენს საცხოვრებელ გარემოს და, რაც არანაკლებ მთავარია, ჯანმრთელობასა და ლამაზ სხეულს ღიპის გარეშე. ჰოლანდიაში თითოეულ მცხოვრებზე, დაახლოებით, ერთი ველოსიპედი მოდის. ისინი მალაზიაში თითქმის ყოველთვის ველოსიპედებით დადიან.



ვახო ბასელიას ფოტო

*თუ ველოსიპედით ივლით, 200 ლიტრი ბენზინის ნაცვლად "დაწვავთ" 4-5 კილოგრამ საკუთარ ქონს.*

ქალაქის გარემოს გაჯანსაღების ყველაზე უნივერსალური საშუალება კი მწვანე საფარის გაფართოებაა, რითაც ასე ღარიბია ჩვენი ქალაქები. გამწვანებულ ტერიტორიაზე დამტვერიანება 40 პროცენტით, ხმაურის დონე კი 20 პროცენტით მცირდება. ერთი ხე, საშუალოდ, ისე ფილტრავს ჰაერს, როგორც, დაახლოებით, 10 კონდიციონერი. თუ ბალახის საფარი იკავებს 5-6-ჯერ მეტ მტვერს, ვიდრე მოტიტვლებული მიწის ზედაპირი, ხე 30-60-ჯერ მეტ მტვრის ნაწილაკებს შთანთქავს. სპეციალისტთა აზრით, მწვანე ნარგავების ეფექტიანობას ზრდის მათი გონივრული მოშენება. მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში პატარ-პატარა სკვერები არა მარტო აუმჯობესებენ ჰაერის თვისებებს, არამედ მტვრის ნაწილაკებს იზიდავენ. ამიტომ ასეთი სკვერები უფრო დეკორატიული მნიშვნელობისაა და იქ ბავშვების დიდხანს გაჩერება რეკომენდებული არ არის. დასასვენებლად ტყეები და მდელოები არჩიეთ. ქალაქში არსებული მწვანე ზონები კი პარკის მოთხოვნილებებსაც აღარ აკმაყოფილებს. არადა, ბევრი არქიტექტორის აზრით, იდეალური ქალაქი ერთმანეთის გადამკვეთი განივი და წრიული მიმართულებით უნდა იყოს გაშენებული, ხოლო მთელი ქალაქი ტყით უნდა იყოს შემოფარგლული.

*მედეა თავდიშვილი, ეკოლოგი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი*

# "მართლმსაჯულებაში არაკვალიფიციურობა უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე კორუფცია"

### ამბობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი

*დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმად სასამართლო რეფორმა მიიჩნეოდა, მაგრამ მოგვიანებით დრომ აჩვენა, რომ თითქმის ხუთი წლის წინ დაწყებული რეფორმა კორექტირებას მოითხოვდა, ანუ საჭირო იყო რადიკალური ცვლილებები, რაც, ერთი მხრივ, ქართული მართლმსაჯულების საქმიანობას (იგულისხმება საკანონმდებლო ცვლილებებიც) დახვეწდა, ხოლო, მეორე მხრივ, გაჩნდა აუცილებლობა, რომ სასამართლო ხელისუფლებას დაბრუნებოდა პირვანდელი ავტორიტეტი, რომელიც, სხვადასხვა მიზეზების გამო, ბოლო წლებში აშკარად დაკნინდა. ასეთი მნიშვნელოვანი მისიის შესრულება კი, ძირითადად, იუსტიციის საბჭოს დაევალა, რომელიც სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპის პირმშოა. იუსტიციის საბჭოში მომხდარი ცვლილებების და სამუშაო გეგმების შესახებ "24 საათმა" ინტერვიუ სთხოვა მის მდივანს პალიკო კუბლაშვილს.*

თამარ კაციტაძე

**- ბატონო პალიკო, რა არის დღევანდელი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ძირითადი მიმართულება?**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობაში რადენიმე მიმართულება უნდა გამოვყოთ. პირველი და ძირითადი მიმართულება გახლავთ მოსამართლეთა შერჩევა, მათ მომზადებების პროცესში მონაწილეობა და მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენა. მეორე მიმართულება დისციპლინური სამართალწარმოებაა, ანუ მოსამართლეთა დევნა, მასალების წინასწარ მომზადება, რომელსაც ჯერ იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს, შემდეგ კი, სახდელის დაკისრების მიზნით, იგი სადისციპლინო საბჭოში გადაიგზავნება, სადაც მოსამართლეები და არა მოსამართლე იურისტები არიან გაერთიანებულნი. და მესამე მიმართულება ეს არის სასამართლო ხელისუფლების მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა. ამ სამი ძირითადი მიმართულების განსახორციელებლად უკვე გვაქვს შექმნილი ყველა სტრუქტურა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი დებულება, საერთო სასამართლოების ახალი დებულება და სადისციპლინო საბჭოს რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მოსამართლეთა დისციპლინური დევნის წარდგენა. თავის დროზე, იუსტიციის საბჭო სასამართლო ხელისუფლების რეფორმის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი სათათბირო ორგანო იყო. დღეს კი ნელ-ნელა მივდივართ იქით, რომ შეიქმნას სრულუფლებიანი იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

**- რა საკანონმდებლო ცვლილებები მოხდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში?**

- როდესაც იუსტიციის საბჭო იქმნებოდა, არსებობდა გარკვეული პოლიტიკური კომპრომისები, რომელმაც, ფაქტობრივად, გამოიწვია ნახევარფაბრიკატი სტრუქტურის შექმნა. განვითარებულ ქვეყანებში, სადაც იუსტიციის საბჭო არსებობს, ჩადებულია ყველა ის ფუნქცია, რომელიც უკავშირდება მართლმსაჯულების განხორციელებას, სასამართლო ხელისუფლებაში ადმინისტრირებისა და მართვის საკითხებს. შესაბამისად, ლოგიკურიც იყო, რომ იუსტიციის საბჭოს საქმიანობის განვითარების პარალელურად უნდა მომხდარიყო ფუნქციონალური შევსება. სწორედ ამ მიმართულებით იქნა გადადგმული ეს ნაბიჯები. ფაქტობრივად, იუსტიციის საბჭოში დაბრუნდა დისციპლინური დევნის მომზადებისა და მატერიალური უზრუნველყოფის საკითხები. ეს იყო ის ძირითადი ცვლილებები, რაც მოჰყვა საკანონმდებლო ნოვაციებს.

**- რა შეიცვალა მოსამართლეების დისციპლინური დევნის კუთხით?**

- პროცესულური დარღვევის გამო მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის უფლება ჰქონდა ზემდგომ მოსამართლეს, ანუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს; იუსტიციის საბჭოს კი დისციპლინური დევნის აღძვრა შეეძლო მხოლოდ ვადების დარღვევის გამო, რაც, თავისთავად, ალოგიკურია. ჩვენი ამოსავალი პრინციპი იყო ის, რომ უნდა გაგვემიჯნა მართლმსაჯულება ადმინისტრირებისგან და სასამართლო ხელისუფლება უნდა აგვეგო ისეთ პრინციპზე, როცა ზემდგომი მოსამართლე არ წყვეტს ქვემდგომი მოსამართლის ბედს. ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო პარლამენტმა. მოსამართლის დისციპლინური დევნა კანონის უხეში დარღვევის გამო მთლიანად გადმოტანილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატში. თუ იუსტიციის საბჭო ჩათვლის, რომ მოსამართლეზე, რომელსაც აქვს დარღვევები, უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, საქმეს იხილავს სადისციპლინო საბჭო, რომელიც შედგება დისციპლინური საბჭოს ოთხი წევრისაგან. სწორედ ისინი გადაწყვეტენ, რა სახის სახდელი დაეკისროს მოსამართლეს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩვენ გვაქვს ვალდებულება, რომ ამ პროცესში ჩავდოთ გასაჩივრების მექანიზმი. ცვლილებები პარლამენტში უახლოეს მომავალში იქნება წარდგენილი, ანუ სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში და მას შეუძლია გააუქმოს სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილება.

სხვათა შორის, ნოვაციაა ისიც, რომ იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო საბჭოს შეუძლია დევნა განახორციელოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიმართაც. ადრე ასე არ ხდებოდა. ეს მიგვაჩნია ლოგიკურად, რადგან ისიც ისეთივე მოსამართლეა, როგორც ქვემდგომი ინსტანციის მოსამართლეები.

ადრე დავა იყო, ვინ უნდა იხილავდეს მოსამართლეთა დისციპლინურ დევნის საკითხს - თავად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები თუ დამოუკიდებელი ექსპერტები. ჩვენ ავირჩიეთ შუალედური ვარიანტი: საბჭოში ოთხი მოსამართლეა და ოთხი არამოსამართლე. ამასთან, იმისათვის, რომ მოსამართლეებს არ ეფიქრათ, რომ ეს არის გამოყენებული მექანიზმი, გადავწყვიტეთ, რვავე კანდიდატურა მოსამართლეთა კონფერენციასთან შეთანხმდეს, ხოლო კონფერენციათა შორის პერიოდში - ადმინისტრაციულ კომიტეტთან, რომელიც, ასევე, მოსამართლეთა თვითმართველობის ერთგვარი წარმონაქმნი არის.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დისციპლინური დევნის საფუძველზე უზენაესი სასამართლოს ძველმა ხელმძღვანელობამ ათზე მეტ მოსამართლეს დაატოვებინა თანამდებობა, რამდენიმეს საქმე კი გენპროკურატურაში გადაგზავნა.**

- იყო ასეთი შემთხვევები; თუ არ ვცდები, 12 მოსამართლე დაითხოვეს, მაგრამ ეს იყო ხუთი წლის განმავლობაში. არ მინდა, სკეპტიკური განცხადება გამომივიდეს, მაგრამ იმ პირობებში, რომელიც საქართველოშია, ვფიქრობ, გაცილებით მკაცრი გადაწყვეტილებები უნდა ყოფილიყო.

**- რა პრინციპით შეირჩნენ სადისციპლინო საბჭოს წევრები?**

- ეს უნდა ყოფილიყო საზოგადოებისთვისაც მისაღები პიროვნებები - ავტორიტეტული, მიუკერძოებელი და კვალიფიციური იურისტები. მოსამართლეებიდან კი შევარჩიეთ პროფესიონალები და რომელთა მიმართაც ნაკლებად ისმოდა საყვედურები.

ჩემი აზრით, დღევანდელ სადისციპლინო საბჭოში არის ძალიან პრინციპული შემადგენლობა. ეს ადამიანები უზრუნველყოფენ იმას, რომ სასამართლო სისტემა გაიწმინდოს არაკეთილსინდისიერი და არაკვალიფიციური მოსამართლეებისგან. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში მოვიდნენ კადრები, რომლებსაც გამოცდები აქვთ ჩაბარებული, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულ მართლმსაჯულებაში არაკვალიფიციურობა კიდევ უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე კორუფცია.

გარდა ამისა, მე ვერ ვიტყოდი, რომ მხოლოდ იუსტიციის საბჭოს აქვს განსაკუთრებული ინტერესი მოსამართლეთა დისციპლინურ დევნაზე. ეს არის სასამართლო კორპუსის სურვილიც. მოსამართლეები თვითონ არიან დაინტერესებულნი, რომ გაიწმინდოს მათი რიგები, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ჭორის საფუძველზე; არამედ, კონკრეტულ ფაქტზე რეაგირების შემდეგ.

**- რის საფუძველზე დაიწყება მოსამართლეზე დისციპლინური დევნა?**

- რამდენიმე საშუალებაა. ერთია განცხადებები, რომელიც იუსტიციის საბჭოში შემოდის მოქალაქეების მხრიდან; თუმცა ბოლო პერიოდში, როგორც ჩანს, საბჭომ დაკარგა ავტორიტეტი და განცხადებების რაოდენობამაც იკლო. მინდა, დავარწმუნო ყველა, რომ უახლოეს მომავალში შევეცდებით, დავიბრუნოთ ნდობა, რაც მოხდება ყველა შემოსულ ინფორმაციაზე მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილების საფუძველზე. მეორე - ეს არის მასმედია. არც ერთი შეტყობინება და ინფორმაცია რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. ყველა ფაქტზე უნდა მოხდეს რეაგირება და უნდა დავრწმუნდეთ, მართლაც მიიღო თუ არა ამა თუ იმ მოსამართლემ მიკერძოებული და არაკვალიფიციური გადაწყვეტილება. თუ იუსტიციის საბჭო და სადისციპლინო საბჭო დარწმუნდება, რომ გადაცდომას ადგილი არ ჰქონდა, ამაზეც პრესითვე უნდა გავაკეთოთ რეაგირება. არ შეიძლება მოსამართლის ტალახში ამოსვრა იმის გამო, რომ არაობიექტურმა ინფორმაციამ გაიჟღერა.

პრესაში ხშირად ისმის, თითქოს სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, მოსამართლე კორუმპირებულია და ა.შ., დამერწმუნეთ, რომ ხშირად ეს ინფორმაცია არ არის სწორი, ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გადავიტანოთ პრესასთან ურთიერთობაზე. სისტემაში უნდა იყოს პიროვნება, ვინც ყველა დასმულ კითხვას უპასუხებს და თუ საჭიროა, გამართავს ბრიფინგს. უნდა შევძლოთ რაციონალურად გავანეიტრალოთ ის აგრესია, რომელიც დღეს სასამართლო ხელისუფლების მიმართ არსებობს.

**- ხომ არ იქნება იმის საშიშროება, რომ იუსტიციის საბჭო მართლმსაჯულების "მაკონტროლებელი" ორგანო გახდება და მოსამართლეები შიშისა თუ სხვა მიზეზის გამო საბჭოზე დამოკიდებულნი იქნებიან?**

- არა მგონია, რომ იუსტიციის საბჭოს არსებობა რაიმე ფორმით საფრთხეს უქმნის მოსამართლის დამოუკიდებლოობას, თუმცა საზოგადოებაში ასეთი მოსაზრება არის და პასუხი მასაც უნდა გაეცეს. მოსამართლეთა მხრიდან არანაირ დამოკიდებულებაზე არ შეიძლება საუბარი. საფრანგეთშიც კი, რომელიც არის ხელისუფლების დანაწილების და სახელმწიფო მშენებლობის პრინციპების სამშობლო, არსებობს მაგისტრატურის საბჭო, აქ ხდება მოსამართლეთა შერჩევა, ხოლო ადმინისტრირება და ფინანსები არის იუსტიციის სამინისტროში. რომელი უფრო დემოკრატიულია - როდესაც ეს საკითხები გადატანილია პრეზიდენტის სათათბირო ორგანოში, სადაც წარმოდგენილია ხელისუფლების ყველა შტო, როგორც ეს ჩვენს შემთხვევაში ხდება, თუ იქ, სადაც ამას აკეთებს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი ელემენტი? მიმაჩნია, რომ ჩვენ გაცილებით დემოკრატიული გზა ავირჩიეთ, ანუ აქცენტი გავაკეთეთ იმ თანამდებობის პირზე, რომელიც უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტი. ეს კი არის პრეზიდენტი.

**- დღეს მოსამართლეები ხშირად ჩივიან, რომ მათზე ხდება ზეწოლა და ისინი დაუცველნი არიან. ვალდებულია თუ არა იუსტიციის საბჭო, რომ დაიცვას ისინი?**

- ყველა ასეთ შემთხვევაში მე და საბჭოს ყველა წევრი გარანტიას ვიძლევით, რომ მოსამართლეს ექნება დაცვის ის ყველა საშუალება, რაც შეიძლება იუსტიციის საბჭომ გამოიყენოს. ჩვენი მიზანი არ არის კონფლიქტში შევიდეთ სასამართლო ხელისუფლებასთან, პირიქით, ჩვენი მიზანია, უზრუნველვყოთ ამ სისტემის გამართული საქმიანობა, ამ ადამიანებს შევუნარჩუნდეთ ხელფასი, ჰქონდეთ შესაბამისი ანაზღაურება, შევქმნათ მატერიალური ბაზა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო შექმნისთანავე აქტიურად თანამშრომლობს მოსამართლეთა ასოციაციასთან, ჩვენთვის მთავარია, რომ კეთილსინდისიერმა მოსამართლეებმა პრეზიდენტის და საბჭოს მხრიდანაც კეთილგანწყობა იგრძნონ.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მოსამართლეებს სისტემიდან წასვლასთან დაკავშირებით განცხადებები დააწერინეს.**

- მართლაც, არის ასეთი შემთხვევები, მაგრამ ასეთ დროს ჩვენ ყოველთვის ვმსჯელობთ იმ მოსამართლეებთან ერთად, რომლებმაც განცხადებები დაწერეს. სიმართლე გითხრათ, ეს გამოწვეული იყო მიმაგრების სისტემის არსებობის გამო, ანუ რომელიმე რაიონის მოსამართლე მიმაგრებული იყო თბილისის რომელიმე რაიონში. ეს ალოგიკურია. ამგვარ ქაოსს სისტემაში აღარ დავუშვებთ. ჩვენ გვინდა, ყველაფერი დავალაგოთ. თუ მოსამართლე მესტიაშია დანიშნული, მან დიდუბის რაიონის მოსამართლის ფუნქცია არ უნდა შეასრულოს. მათ შევთავაზეთ, რომ წასულიყვნენ დანიშნულ ადგილას, მაგრამ სასამართლოდან წასვლა ამჯობინეს. იყო შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ მოსამართლეზე შემოსული იყო ისეთი მასალები, რომელიც მის არაკეთილსინდისიერებას ეხებოდა. მართალია, ვაპირებთ ამ მასალების პროკურატურისთვის გადაგზავნას, მაგრამ ამ ეტაპზე ის მოსამართლეებიც გავუშვით.

**- რა შეიცვალა სასამართლოებში მატერიალური უზრუნველყოფის კუთხით?**

- საერთო სასამრთლოების დეპარტამენტი, რომელიც უზენაეს სასამართლოს ექვემდებარებოდა, იუსტიციის საბჭოს დაქვემდებარებაში გადმოვიდა. საერთო სასამართლოების ბიუჯეტი უნდა დგებოდეს დეპარტამენტში, რის შემდეგაც გადმოიგზავნება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, სადაც განვიხილავთ პრეზიდენტთან ერთად და ამის შემდეგ პრეზიდენტის მიერ უნდა იგზავნებოდეს ფინანსთა სამინისტროში. ეს კი იქნება იმის გარანტი, რომ ბიუჯეტს პრობლემა არ შეექმნება. გვინდა, სასამართლოების დაფინანსება გავზარდოთ, რადგან ეს არის ის თემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა. ამის გარეშე მართლმსაჯულება ყოველთვის იქნება დამოკიდებული ფინანსთა სამინისტროზე. როდესაც ახალი ხელმძღვანელობა მოვედით, დავინახეთ, რომ უმაღლესი და საოლქოს სასამართლოს მოსამართლეების ხელფასი 200 ლარით იყო შემცირებული. როდესაც მოსამართლეს აძლევ წინა წელთან შედარებით ნაკლებ ხელფასს, ეს არის პირდაპირ საბოტაჟი. ჩვენი პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ საერთო სასამართლოების ბიუჯეტი 500 ათასი ლარით გაიზარდა. ამით აღვადგინეთ 200-ლარიანი დანამატი და რამდენიმე დღეში გავცემთ სახელფასო დავალიანებასაც. ეს არის მიზერი, მაგრამ ამ ეტაპზე, როდესაც ბიუჯეტი დაგეგმილია, ვფიქრობთ, დიდი წარმატებაა.

სამწუხაროდ, საერთო სასამართლოების ბიუჯეტში კიდევ ბევრი პრობლემა არსებობს, მაგრამ მიმდინარე წელს მათი გადაჭრა შეუძლებელი იქნება, მომავალი წლიდან კი აუცილებლად მოვაწესრიგებთ.

**- დაბოლოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის კიდევ ერთი მიმართულება გამოცდები...**

- ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომელზეც იუსტიციის საბჭო უნდა გადავიდეს, ეს არის მოსამართლეთა სპეციალიზაცია. არ შეიძლება ერთი მოსამართლე იხილავდეს ყველა სახის საქმეს; უნდა შევცვალოთ გამოცდების პრინციპიც, ანუ გამოცდები უკვე იქნება არა ზოგადად სამართალში, არამედ - სპეციალიზაციის მიხედვით. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ კვალიფიციური კადრი გვყავდეს კონკრეტული მიმართულებით. რაიონების გაერთიანება უკვე გვაძლევს იმის საშუალებას, რომ თბილისშიც გავაერთიანოთ სასამართლოები და შევქმნათ სპეციალიზებული კოლეგიები. კანონპროექტი უკვე წარდგენილი გვაქვს პარლამენტში.

რაც შეეხება ადვოკატების გამოცდას: აქ გამოცდა მხოლოდ ერთხელ ჩატარდა და დღეს სულ 800-მდე გამოცდაჩაბარებული ადვოკატი გვყავს. 18 დან 23 სექტემბრის ჩათვლით ადვოკატთა გამოცდა მეორედ და უკანასკნელად ჩატარდება იუსტიციის საბჭოში. ამის შემდეგ გამოცდები ადვოკატთა ასოციაციის კომპეტენციაში გადავა. სხვათა შორის, შემოსულია ადვოკატობის მსურველთა განცხადებების არნახული რაოდენობა - სულ 2800-მა იურისტმა მოგვმართა.

პროკურატურის გამოცდებთან დაკავშირებით კი შედარებით ვრცელი მოსამზადებელი პროცესი იყო. როგორც მოგეხსენებათ, იმისათვის, რომ საპროკურორო გამოცდები დაწინაურებულიყო, კანონში საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა, რადგან, კანონის თანახმად, პროკურატურაში მუშაობის დაწყების მსურველთ უმაღლესი სკოლა უნდა დაემთავრებინათ. რადგან აღნიშნული სკოლა, ჯერჯერობით არ შექმნილა, ხოლო პროკურატურაში მუშაობის მსურველთა რაოდენობა გაიზარდა, ამიტომ, პრეზიდენტის ბრძანებულებით, საპროკურორო გამოცდები კვლავ დაუშვეს. ამ მიმართულებით გამოცდები 27 სექტემბრიდან დაიწყება და რამდენიმე დღე გაგრძელდება - გააჩნია, რამდენი განცხადება იქნება. დღეისათვის შემოსულია 250 განცხადება, თუმცა განცხადებების მიღება 20 სექტემბრამდე გრძელდება. სიმბოლურია ისიც, რომ გამოცდები ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ჩატარდება. აქვე აღვნიშნავ, რომ გამოცდები იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე. მას დაესწრებიან ქართველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და უცხოელი დამკვირვებლები.


## პროექტი "ილია ჭავჭავაძე"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო




**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
აცხადებს კონკურსს
ვაკანტურ თანამდებობაზე

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს პროექტს "ილია ჭავჭავაძე". განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის განხორციელებაში დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი ქვეკომპონენტია პოლიტიკისა და სტრატეგიის ჯგუფი (ქვეკომპონენტი B1). პოლიტიკისა და სტრატეგიის ქვეკომპონენტს ესაჭიროება საკონსულტაციო მომსახურება.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ქვეყანაში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები) უნდა ჩამოყალიბდნენ, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები. სუბიექტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მთელი რიგი იურიდიული პროცედურების გავლა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავება (წესდება, საგადასახადო რეესტრში აღრიცხვა და სხვა).

იმისათვის, რომ სკოლის ფუნქციონირება აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს, როგორც განათლებაზე, ასევე მაქსიმალურად მიესადაგებოდეს საჯაროობისა და დემოკრატიის პრინციპებს, სკოლას ასევე ესაჭიროება კონტრაქტები თანამშრომლებთან და სხვა. საქართველოს სკოლების ადმინისტრაციას დღემდე არ ჰქონია მსგავსი დოკუმენტების შემუშავების გამოცდილება, ამის გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა დაიქირაოს ექსპერტი (ექსპერტთა ჯგუფი), რომელთა ამოცანა იქნება სწორედ აღნიშნულ დოკუმენტთა ნიმუშების შემუშავება, რომელთა მიხედვითაც ყველა სკოლის ადმინისტრაციას შეეძლება აუცილებელი დოკუმენტაციის პაკეტის შემუშავება.

ექსპერტთა (ექსპერტთა ჯგუფმა) უნდა ჩაატაროს მსოფლიო მასშტაბით სკოლების მიერ წარმოებული დოკუმენტაციის ანალიზი და მოახდინოს მათი ადაპტირება საქართველოს სკოლებისათვის. შემუშავებულ სტანდარტულ ფორმებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაურიგებს საქართველოში არსებულ ყველა სკოლას. არაქართულენოვანი სკოლებისათვის შემუშავებული ნიმუშები ითარგმნება შესაბამის ენაზე.

ექსპერტმა (ექსპერტთა ჯგუფმა) მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის "ილია ჭავჭავაძე" პოლიტიკისა და სტრატეგიის ჯგუფთან (B1 ქვეკომპონენტი) და განათლების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

**ექსპერტი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის ნიმუშების შემუშავების სფეროში**
**(3 ვაკანსია)**

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

- შესაბამისი ლიტერატურისა და მსოფლიოში გავრცელებული პროცედურების ანალიზი;
- სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო დოკუმენტთა ნუსხის შედგენა, არსებულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით;
- ნუსხის განხილვა - შეთანხმება დაინტერესებულ მხარეებთან;
- აუცილებელი დოკუმენტაციის ნიმუშების შემუშავება;
- დოკუმენტაციის ნიმუშების განხილვა - შეთანხმება დაინტერესებულ მხარეებთან;
- მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით ნიმუშების საბოლოო ვარიანტის შემუშავება;
- დოკუმენტების განხილვა-დამტკიცება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

კონსულტანტს მოეთხოვება მოამზადოს:

- სკოლის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის ნუსხა, და
- აუცილებელი დოკუმენტაციის ნიმუშები.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**

- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში (იურიდიული);
- სასურველია განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პრინციპების ცოდნა;
- საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ცოდნა;
- ქართული და ინგლისური (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი) ენების კარგი ცოდნა;
- კომპიუტერის კარგი ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

**ანგარიშვალდებულება**

კონსულტანტი ანგარიშვალდებულია პოლიტიკისა და სტრატეგიის ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

ხელშეკრულების ხანგრძლივობა იქნება ორი (2) თვე.

ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
**ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **სოფო გორგოძე**

წარსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 20 სექტემბერი.**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

# პოლიტიკური კოზირი თუ ...

დღის შეკითხვა: **უნდა არსებობდნენ თუ არა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოები დღევანდელი სახით ან შეცვლილი ფორმატით?**

**გიგა ბოკერია,** *საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი:*

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოები აუცილებლად უნდა არსებობდნენ, მაგრამ ბუტაფორიული ხასიათის არ უნდა იყვნენ. ფორმატის შეცვლა აუცილებელია. სიმბოლური ხასიათის მქონე აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოების მთავარი ფუნქცია უნდა იყოს საზოგადოებასთან აქტიური მუშაობა, საზოგადოების მობილიზაცია.

**დავით ბერძენიშვილი,** *რესპუბლიკური პარტია, პარლამენტარი:*

აფხაზეთის დღევანდელი ლეგიტიმური ხელისუფლება ანაქრონიზმის სახეს იღებს. იგი აკმაყოფილებს აფხაზეთის ქართული ნომენკლატურის ინტერესებს. საინტერესოა, რას განკარგავს აფხაზეთის პრივატიზაციის სამინისტრო? არც აფხაზეთის დეპუტაცია ასახავს დევნილთა დღევანდელ პრობლემატიკას, მათ გემოვნებას.

ჩემი აზრით, დევნილებმა უნდა შექმნან თავიანთი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც სახელისუფლებო ფუნქციებით არ იქნება დატვირთული და დევნილთა განწყობას გამოხატავს.

აფხაზეთის დღევანდელმა უზენაესმა საბჭომ და მთავრობის სტრუქტურებმა შეუძლებელი გახადეს ახალი საზოგადო მოღვაწეების წარმოჩენა დევნილთა მხრიდან. ეს არის გარკვეული გამოწვევა. ვიმეორებ, დევნილებმა აუცილებლად უნდა იფიქრონ ახალი ორგანოს შექმნაზე, თუკი მათი შესაძლებლობები საამისოდ საკმარისი აღმოჩნდება.

დევნილთა ორგანო კვალიფიციურ თანამშრომლობას უნდა აწარმოებდეს როგორც ქართულ საზოგადოებასთან, ასევე საქართველოს ხელისუფლებასთან.

**ნოდარ ნათაძე,** *სახალხო ფრონტის თავმჯდომარე:*

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოები უეჭველად უნდა არსებობდნენ, მინიმუმ, დღევანდელი ფორმატით, თბილისსა ან ზუგდიდიში. გაბერილი შტატები ზოგადი პრობლემაა ქვეყნის მასშტაბით. შესაძლოა, საშტატო ერთეული სხვაგან უფრო მეტად გაბერილი იყოს, ვიდრე აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურებში.

**მამუკა კაციტაძე,** *საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი:*

დევნილობაში მყოფი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოებიდან საჭიროა საკანონმდებლო ხელისუფლების არსებობა და ისიც - პოლიტიკური დატვირთვის გამო. აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესებში. უპირველესად, მხედველობაში მაქვს აფხაზეთთან დაკავშირებული დადგენილებები და ხელშეკრულებები.

დღეს არსებობენ აღმასრულებელი ხელისუფლების ისეთი სტრუქტურები და თანამდებობები, როგორებიცაა, მაგალითად, გაგრის მერია, ოჩამჩირის დასუფთავების სამსახური... ამაზე იტყვიან - სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო. სასურველია, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოები განთავსებული იყვნენ აფხაზეთთან ახლოს, მაგალითად - ზუგდიდში ან ფოთში.

**ზვიად ძიძიგური,** *პარლამენტარი:*

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება აუცილებლად უნდა არსებობდეს, ვინაიდან მას ოფიციალურად გააჩნია ნდობის მანდატი. რა თქმა უნდა, გაბერილი შტატების არსებობას არ ვგულისხმობ. უნდა დარჩეს ის კონტინგენტი, რომელიც საკმარისი იქნება დოკუმენტაციაზე სამუშაოდ, დადგენილებების მისაღებად.

აფხაზეთის ხელისუფლების თბილისში ყოფნა იგივეა, რაც სამგლოვიარო გვირგვინი მიცვალებულზე.

**ელენე თევდორაძე,** *საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი:*

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა არსებობდეს - ეს საქართველოს ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად მომგებიანია. რა თქმა უნდა, საჭიროა ხელისუფლების ორგანოების რეფორმა. მოდელი, რომელსაც რეფორმის შედეგად შევიმუშავებთ, იქნება თვალსაჩინო ნიმუში როგორც აფხაზებისთვის, ასევე მსოფლიო საზოგადოებისთვის; ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის დაბრუნების შემდეგ ეს მოდელი იქნება ერთგვარი მაკეტი იმისა, თუ როგორ მოხდება რეგიონის ინტეგრაცია საქართველოს იურიდიულ სივრცეში.

ჩემი აზრით, ამ ეტაპზე შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, სად იარსებებენ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოები.

***მოამზადა ვერიკო თევზაძემ***

# აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება და რუსული მედია

შექმნილი ვითარების ფონზე ერთ-ერთმა რუსულმა საინფორმაციო საშუალებამ გუშინ ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან რაულ ხაჯიმბასთან. იგი თამამად იყენებს მიცემულ შესაძლებლობას, მთელი მონდომებით იხრის ქედს რუსეთის წინაშე და მკაცრად აკრიტიკებს საქართველოს ხელისუფლებას.

"დღეს ასეთი ვითარებაა: რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამასთანავე, იგი აღნიშნავს, რომ თავის მოქალაქეებს დაიცავს. აფხაზეთში კი მოსახლეობის თითქმის 80 პროცენტს რუსეთის მოქალაქეობა აქვს; ასე რომ, აფხაზეთის საზოგადოება საკუთარ თავს რუსეთის დაცვის ქვეშ მიიჩნევს. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენს რესპუბლიკაში რუსული რუბლი ტრიალებს, აფხაზეთის ათასობით მოქალაქე რუსულ პენსიას ღებულობს. ერთი სიტყვით, ჩვენ რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროში ვრჩებით. ცვალონ ჩვენმა მეზობლებმა მეგობრები მფარველებზე, ჩვენ კი არჩევანი საკმაოდ დიდი ხნის წინ გავაკეთეთ. არ ვუღალატებთ არც ჩვენს სიტყვას და არც რუსეთს, მით უმეტეს, როდესაც მას საკმაოდ რთული პერიოდი უდგას," - ამბობს პუტინის რჩეული და მომავალი დე ფაქტო პრეზიდენტი.

აქვე ხაჯიმბა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასაც ეხება და აცხადებს, რომ ეს აფხაზეთისთვის ლოკომოტივია, რომელმაც რეგიონს სერიოზული ეკონომიკური განვითარება უნდა მოუტანოს. ამასთან, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთის რკინიგზაში ახალი, კვალიფიციური მუშახელი იმუშავებს, ხოლო კადრები რუსეთიდან იქნება მოზიდული.

ყველაზე "სენტიმენტალური" ფრაზა, რომელსაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ინტერვიუში ამბობს, არის ის, რომ მას არ სურს ომი, თუმცა თუ საქართველოს მხრიდან აგრესია დაფიქსირდება, ადეკვატურ რეაგირებას მოახდენს.

"სიმართლე გითხრათ, მენანება კიდეც ის მილიონობით დოლარი, რომელსაც საქართველო თავისი ბატალიონების მომზადებაზე ხარჯავს. ეს თანხები მას საკუთარი ეკონომიკის აღმავლობისთვის გამოადგებოდა," - ირონიული ტონით დასძენს ხაჯიმბა.

***24 საათი***

# "ჩვენ აფხაზეთში სიყვარულით დავბრუნდებით, და არა ომით"

## საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრაზე

პირველი გვერდიდან

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შექმნა და მოდერნიზაცია ჩვენი ამოცანაა.

საქართველო უნდა გაძლიერდეს ყველა მიმართულებით - ეს საქართველოს ბიუჯეტსაც ეხება.

წელს, შარშანდელთან შედარებით, ბიუჯეტი გაორმაგებულია, მომავალ წელს იგი მილიარდ 100 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტს შეადგენს, მაშინ როცა შევარდნაძის ხელისუფლების დროს ბიუჯეტის რეალური შესრულება ყოველ წლიურად მხოლოდ 300 მილიონი დოლარი იყო.

გარწმუნებთ, რომ ჩვენი ბიუჯეტის ნამატის დიდი ნაწილი, ზოგადად, ჩვენი მთავარი მიზნის განსახორციელებლად იხარჯება.

ეს არის ჩვენი თავდაცვისუნარიანობის პოტენციალის - ჩვენი ეკონომიკის, საზოგადოების მორალის გაძლიერება და ყველაფერი კეთდება საგარეო აგრესიის მოსაგერიებლად,.

მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ არმიას ვქმნით და ვაძლიერებთ, შესაძლო სხვადასხვა ჯგუფების შემოჭრის აღსაკვეთად, რადგან საქართველოს უსაფრთხოებისთვის სწორედ ეს არის მთავარი საფრთხე.

ჩვენ არ ვაპირებთ ომის წარმოებას ჩვენს მოსახლეობასთან.

არასოდეს გვიომია ოსებთან და არც ახლა ვაპირებთ ამას.

თქვენ ნახეთ, რომ ზაფხულში ჩვენ კომუნიკაციების დაცვის ოპერაცია განვახორციელეთ, მაგრამ დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე შეიარაღებული ნაწილების შეყვანის ბრძანება საქართველოს ხელისუფლებას არასოდეს გაუცია.

ამას კონკრეტული მიზანი ჰქონდა - მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ მას არ ვესვრით და არ ვეომებით, ჩვენი სამიზნე სულ სხვა რამ არის.

ზუსტად ასევე - თითოეულმა აფხაზმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მათ მტრებად არ აღვიქვამთ.

აფხაზებს, სომხებს და ყველას, ვინც აფხაზეთში ცხოვრობს, ჩვენი საზოგადოების ნაწილად მივიჩნევთ და მათთან ომს არ ვაპირებთ, იმის მიუხედავად, თუ რას ეუბნებიან მათ ადგილობრივი პოლიტიკოსები.

ეს გაკვეთილია, რომელიც ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

თუმცა, ჩვენ საქართველოს გამთლიანებას ვაპირებთ და კარგი იქნება, თუ ეს ორმხრივად მოხდება, ამით ყველა მოგებული დარჩება.

ეს არის ჩვენი მთავარი კონცეფცია, რაც აფხაზეთს და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეეხება.

ამავე დროს, მინდა ვთქვა, რომ ვგმობ, რაც ტერორისტებმა რუსეთში გააკეთეს.

ისინი არა მარტო რუსეთის, არამედ ჩვენი და მთელი კაცობრიობის მტრებიც არიან.

ამ ხალხის დიდ ნაწილს ჩვენ და თქვენ სახელებით, გვარებით და სახეებითაც კი ვიცნობთ - პირველად მათ თავის სახე გამოაჩინეს გაგრის სტადიონზე, სოხუმში, გალში...

რუსეთში მათ იმ დროს ცუდად არ უყურებდნენ, მაგრამ ჩვენ მათი სახე უკვე ვიცოდით.

ამ მხრივ, ტერორისტების სახით საქართველოს და რუსეთს საერთო მტრები გვყავს.

ამავე დროს, მოგეხსენებათ, ბოლო დღეებში რუსეთში დაიწყო კამპანია, რასაც არა მარტო პრესისა და დუმის წარმომადგენლები, არამედ ზოგიერთი ოფიციალური პირიც აჰყვა, რომ არსებობს კავშირი საქართველოში განვითარებულ მოვლენებსა და ბესლანში მომხდარ კატასტროფულ ფაქტს შორის.

მე მოგახსენეთ, რომ კავშირი არსებობს მხოლოდ იმ მხრივ, რომ ჩვენ საერთო მტერი გვყავს, რომელიც ადრე თავს ესხმოდა საქართველოს.

ჩვენ ისინი მოვაშორეთ, სხვათა შორის, ყველა ზომა მივიღეთ იმისათვის, რომ არც ერთმა მათგანმა საქართველოს საზღვარი არ გადმოლახოს და მაშინ, როცა ცხინვალში შემოდიოდნენ სხვადასხვა ჯგუფები, იმ პერიოდშიც კი ჩვენ ჩეჩნეთის საზღვარი ჩაკეტილი გვქონდა, რადგან კარგად ვიცით, რა ნაძირლებთან გვაქვს საქმე ბასაევისა და მისი "ძმების" სახით.

იმ ადამიანებს, ვისაც რუსეთში გეოგრაფია ეშლება (ზოგიერთი დუმაშია, ეტყობა სახელმწიფო აპარატშიც არიან ასეთები და არიან პრესაშიც), მსურს ვუთხრა, რომ გროზნო და ვლადიკავკაზი არის რუსეთი, ხოლო თბილისი, სოხუმი და ცხინვალი არის საქართველო.

ჩვენ გვინდა, რომ რუსეთი ძლიერი და მთლიანი იყოს რუსეთში, მაგრამ ხელები შორს საქართველოსგან!

სოხუმი, ცხინვალი და თბილისი



*"სოხუმი, ცხინვალი და თბილისი საქართველოა და თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ! როდესაც ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი დალაგდება, ჩამობრძანდით, როგორც ტურისტები."*

საქართველოა და თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ! როდესაც ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი დალაგდება, ჩამობრძანდით, როგორც ტურისტები.

სხვათა შორის, თებერვალში, მოსკოვში ვიზიტისას, პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი დამეთანხმა, რომ ჩეჩნების გარკვეულმა ჯგუფებმა, მათ შორის ბასაევის ხალხმა, პირველად აფხაზეთში დაღვარეს ქართველების სისხლი და მან ეს მშვენივრად იცის.

იმედია, რომ იმას, რაც რუსეთის პრეზიდენტმა იცის, გაიაზრებს რუსეთის სახელმწიფო კიბის ყველა დონე.

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენსა და პრეზიდენტ პუტინს შორის მიღწეულ შეთანხმებებს, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და შეიარაღებული ხალხის საზღვარზე მოძრაობას ეხებოდა, ორივე მხარე დავიცავთ.

ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან საქართველო ისტორიულად, უძველესი დროიდან იყო დაინტერესებული, რომ რუსეთმა თავის ტერიტორიაზე დაამყაროს წესრიგი, მათ შორის საქართველოს საზღვრებთან. რუსეთში წესრიგის დამყარება ჩვენთვის ძალზე დადებითი პროცესია, თუმცა წესრიგის დამყარებისას ასევე მნიშვნელოვანია გესმოდეს, სად მთავრდება რუსეთის ტერიტორია და სად იწყება მეზობელი ქვეყანა, რომელსაც რუსეთთან მეგობრობა სურს.

ეს არის ის, რაზეც მათ ყურადღება უნდა გაამახვილონ.

ჩვენ გვყავს საერთო მტერი ტერორისტების, კონტრაბანდისტებისა და ყველა უკონტროლო შეიარაღებული ელემენტის სახით და საქართველოში არ გვყავს არც ერთი პოლიტიკოსი, რომელიც, კლოუნი ჟირინოვსკის მსგავსად იტყვის, რომ მეზიზღება რუსეთი ან ერთი რუსი მაინც.

ქართველებს უყვართ რუსეთი, ქართველებს რუსების მიმართ არ გააჩნიათ მტრული გრძნობები და ეს ჩვენი სიძლიერეა.

თუმცა ჩვენ ყველაზე მეტად საქართველო გვიყვარს და ყველაზე მეტად მისი გაერთიანება გვინდა.

ამიტომ ჩვენი და რუსეთის ურთიერთობებზე საუბრისას, ამოსავალი სწორედ ეს უნდა იყოს.

კიდევ ერთი, რაც მიმაჩნია, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ამ განსაცდელის პერიოდში (საქართველო რთულ საერთაშორისო გარემოებაში იმყოფება), ჩვენი საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია გვჭირდება.

აქ აღარ არის ლაპარაკი პოლიტიკურ შეხედულებებზე.

რა თქმა უნდა, ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი, დებატები უნდა გაიმართოს, მას-მედია უნდა იყოს თავისუფალი და ეს მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ძირითად საკითხებზე კამათი არ შეიძლება.

კერძოდ: კამათს არ ექვემდებარება ის, რომ საზღვრები უნდა იყოს დაცული, შეიარაღებული ძალების სამსახური თითოეული მოქალაქის უწმინდესი მოვალეობაა, საზოგადოება გაერთიანებული უნდა იყოს.

წარმოიდგინეთ, დღეს საქართველოში ელექტროენერგიის დეფიციტი იმის გამოა, რომ ჩვენი მთელი მთავარი ენერგოსიმძლავრეები გალის რაიონის ტერიტორიაზეა განლაგებული.

იქ მდებარე ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ნახევარს მოიხმარს აფხაზეთი, ე.ი. იმდენს, რამდენსაც მოიხმარს დანარჩენი საქართველო.

ამ ელექტროენერგიას აფხაზეთი ყიდის რუსეთში და შემდეგ ჩვენ ვყიდულობთ უკან.

როდესაც აფხაზი სეპარატისტები, ჩეჩნები და თუნდაც რუსული შეიარაღებული ფორმირებები გალს მოადგნენ, მათ დიდხანს არ სჯეროდათ, რომ ქართველები წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, მაგრამ იმ დროს საქართველო იყო დაცლილი, დაქუცმაცებული და ერთმანეთზე გადაკიდებული.

ასე რომ, ჩვენ ჩავაბარეთ ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვანი ბასტიონი, სადაც მთელი ქვეყნის ენერგეტიკული სიმძლავრეების 90 პროცენტი იყო კონცენტრირებული.

ბოლო 12 წლის განმავლობაში კორუფციის გარდა, ვიმკით იმასაც, რომ ვერ ვიპოვეთ ელემენტარული ერთიანობის გრძნობა და ამის გამო, ამ ხნის მანძილზე მთელი ქვეყანა ჩაბნელებულია.

ეს საკითხი არ არის უბრალოდ რაღაც კონკრეტულ პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობასთან დაკავშირებული.

მაშინ თბილისიდან თვითმფრინავის საშუალებით დავდიოდით სოხუმში იმის გამო, რომ ვერ გავდიოდით არა მარტო სამეგრელოში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

ასე იყო, რადგან იმ დროს სამოქალაქო ომი იყო.

სწორედ ამან დაგვამარცხა.

ჩვენ ეს აღარასოდეს აღარ უნდა დავუშვათ.

გადამწყვეტ მომენტში, როცა ცხინვალში, პრაქტიკულად, სამხედრო კრიზისი შეიქმნა, როდესაც ჩვენს სოფლებს დაცლის სრულიად რეალური საფრთხე დაემუქრა, მთელმა საზგადოებამ თქვა, რომ ახლა ერთმანეთის "ჭამის" დრო აღარ არის და მე ყველას მადლობელი ვარ.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო უკვე დადგა ფეხზე, ე.ი. უკვე სხვა დონის სიმწიფეა საზოგადოებაში.

ეს ჩემთვის ყველაზე მთავარი იმედის მომცემი იყო.

თუ საქართველო არის ერთიანი, ჩვენი დამარცხება ძალიან რთულია.

ამაში მე დარწმუნებული ვარ.

თუმცა, ვიმეორებ, ამაზე კიდევ მოგვიწევს მუშაობა.

თქვენს გარეშე აფხაზეთი არ იარსებებს, ეს ჩვენთვის ტერიტორია არ არის, აფხაზეთი არის ჩვენი ხალხი.

ზუსტად ისე, როგორც თქვენ, აფხაზეთს მეც სიზმარში ვხედავ და ჩემთვის ყველაზე დიდი მამოძრავებელი ძალა ეს არის.

მე არ მოვითმენ, საქართველოში იყოს ტერიტორია, სადაც ქართველებს არ უშვებენ, მაგრამ, მეორე მხრივ, მე კარგად ვიცი თითოეული თქვენგანის გრძნობა.

აფხაზეთში არასოდეს მქონია სახლი, თუმცა წარმომავლობა იმ რეგიონიდან მაქვს, რომელიც აფხაზეთის მახლობლად მდებარეობს.

არც ხშირად მიმოგზაურია იქ, მაგრამ ის, რომ აფხაზეთი ხშირად მესიზმრება, იმის ნიშანია, რომ ყველა ქართველისათვის ის სულის შემადგენელი ნაწილია.

გუშინწინ, ეუთო-ს ელჩებთან შეხვედრისას, ერთ-ერთმა ხუმრობით მითხრა: სოხუმში მივდივართ და ხომ არ გსურთ ვარდები გაგვატანოთო.

ეს თითოეული ქართველის ოცნებაა.

რაც შეეხება თქვენ მიერ წამოყენებულ საკითხებს:

პირველი: მსურს განვაცხადო, რომ ჩვენი ამოცანა დღეს ერთია - არ დავუშვათ უკანონო ქმედებების განხორციელება ჩვენი ტერიტორიების და, კერძოდ, აფხაზეთის მიმართ. აფხაზეთში ოქტომბერში დაგეგმილი არჩევნები სრულიად უკანონო და მიუღებელია.

აქედან გამომდინარე, მასში მონაწილეობაც უკანონოა და ამ არჩევნების შედეგად არჩეული ხელმძღვანელობა არ შეიძლება იყოს რაიმე სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი.

ეს საქართველოს ხელისუფლების ურყევი პოზიციაა, რომელსაც ჩვენ საერთაშორისო არენაზე დავიცავთ.

მეორე: ნებისმიერი ქონება, რომელსაც შეისყიდის იქ ნებისმიერი თანამდებობის თუ არათანამდებობის პირი, თუ ეს ქონება არ დარეგისტრირდება და არ იქნება შესაბამისობაში საქართველოს კანონებთან, ამ ქონების უდიდესი ნაწილი არის მიტაცებული და მოპარული ქონება, არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ შენაძენად.

ეს უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერმა თანამდებობის პირმა - ლუჟკოვი იქნება ეს თუ სხვა, ეს ქონება არ იქნება მათი, ისე, როგორც ლუჟკოვს არაფერი შერჩა ბათუმში.

მას შეძენილი ჰქონდა საცხოვრებელი კომპლექსები, უზარმაზარი ტერიტორიები ზღვისპირა პარკში, ამ ქონებიდან არც ერთი არ იყო შეძენილი თბილისში დარეგისტრირებული ქონების შესაბამისად და ეს ქონება აღარ არის მისი საკუთრება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმში უცხოელებსაც (მაგალითად თურქებს, რუსებს) ჰქონდათ შეძენილი ქონება, რომელიც დარეგისტრირებული იყო საქართველოს ყველა კანონის დაცვით და ის ტერიტორია დღესაც იმ უცხოელებს ეკუთვნის.

და მესამე - აუცილებელია დიალოგი აფხაზ ხალხთან, ხიდების გადება - ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს.

ჩვენ აფხაზეთში სიყვარულით დავბრუნდებით და არა ომით, დავბრუნდებით აფხაზებთან დასამეგობრებლად და დასამოყვრებლად, თუმცაღა ბევრი მათგანი არის კიდეც ჩვენი მეგობარი და მოყვარე.

და მაშინ ველარავინ შეძლებს ჩვენს დაშორებას.

სწორედ ეს არის ჩვენი კონცეფცია.

ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ მშვიდობიანი გზით გვსურს.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების, მათ შორის თქვენი სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ შოვინისტები არ ვართ და გახსნილნი ვართ სხვა ერების მიმართ.

საქართველო ჩვენთვის წარმოუდგენელია აფხაზის, აზერბაიჯანელის, სომეხის, ოსის, რუსის და მათ გარეშე, ვინც აქ ცხოვრობდა ოდითგან.

ჩვენი ერის სიძლიერე და ერთობლიობა სწორედ ეს არის.

ჩვენ დავზარალდით იმით, რომ ვყოფდით ერთმანეთს ქართველებად და არაქართველებად, ვყოფდით ერთმანეთს გურულებად, მეგრელებად და კახელებად.

ბოლოს იქამდე მივედით, რომ ერთმანეთის დაყოფა ვერელებად, ვაკელებად და საბურთალოელებად დავიწყეთ.

ჩვენ საქართველოს ვაწყობთ არა ეთნიკური, არამედ სახელმწიფოებრივი ნიშნებით - ჩვენ სახელმწიფოებრივი იდეოლოგია გვაქვს.

მსურს გითხრათ, რომ თქვენ ხართ მოქმედი, ბრძოლისუნარიანი ორგანო, რომელსაც სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ.

ეს ორგანო ჩემი პირადი მოკავშირეა იმაში, რომ ჩვენ შევძლოთ ყველა საკითხის სახელმწიფოებრივი ლოგიკიდან გამომდინარე გადაწყვეტა.

საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი აფხაზური სტრუქტურის ლეგიტიმურობა არათუ არ უნდა შესუსტდეს, არამედ კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და, მეტიც, მიმაჩნია, რომ მშვიდობიანი პროცესის ასაგებად თქვენი გამოყენებაა აუცილებელი.

თქვენ მშვიდობის წარგზავნილები ხართ.

მშვიდობა ადამიანური კონტაქტებით, თქვენი მეშვეობით უნდა დავამყაროთ და მხოლოდ ამ გზით უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული საკითხები.

თუ გვსურს, რომ სოხუმში ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა აფრიალდეს აფხაზურ დროშასთან ერთად, რომელიც, ასევე, ქართული სიმბოლიკის მატარებელია, აუცილებელია, მოვნახოთ გზა თითოეული ადამიანის გულისკენ.

***საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური***

ინგლისური კინორეალიზმი ვენეციაში



B2

დღეს FINLANDIA უნდა დავლიოთ



B5

პანკის დედა



B8

# ფინალისტები



ია ჩაჩუა



სალომე ჩიკვილაძე



ანი გარაყანიძე

## ია ჩაჩუა:
### ყველა საქმე ბოლომდე მიმყავს

21 წლის; სიმაღლე 181 სმ; 88-61-93

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი.

გატაცება - ფოტოგრაფია, ენების შესწავლა, ცურვა და ჩოგბურთი;

კრედო - ყველა წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

ოცნებობს, დააარსოს უპატრონო ცხოველთა თავშესაფარი.

მომავლის გეგმაა, გახდეს ცნობილი მოდელი.

**- დიდი ხანია, რაც ფოტოებს იღებ?**

- სამი წელიწადია. შარშან საკუთარი ნამუშევრების გამოფენაც მქონდა.

**- ძირითადად, რისი გადაღება გიყვარს?**

- ყველაფერს ვიღებ.

**- რომელ ენებს ფლობ?**

- ვიცი ინგლისური, იტალიური, ესპანური, ფრანგული. ბავშვობიდან მიტაცებდა ენების შესწავლა და ახლაც ვსწავლობ.

**- არ გიჭირს ბევრი საქმის პარალელურად კეთება?**

- პირიქით, მიყვარს. ყველა საქმე ბოლომდე მიმყავს. ან არ წამოვიწყებ, ან ბოლომდე მივიყვან.

**- ყოველთვის გამოგდის?**

- წინასწარ ვგრძნობ, შევძლებ თუ არა ამ საქმის ბოლომდე მიყვანას და ისე ვიწყებ.

**- ესე იგი, წინასწარ გეგმავ...**

- წინასწარ ყველაფერს ვერ დაგეგმავ. ძალიან ბევრი მოულოდნელობა მხვდება ცხოვრებაში, რაც ჩემზე კარგად მოქმედებს. ცუდია თუ კარგი, ვცდილობ, გავუმკლავდე.

**- კონკურსზე გამარჯვების იმედი გაქვს?**

- მაქვს. ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს გავაკეთებ იმისთვის, რომ ათეულში მოვხვდე. დანარჩენი უკვე ჩემი გადასაწყვეტი არაა.

**- მსოფლიოში ცნობილი მოდელი გინდა გახდე თუ საქართველოში პოპულარობა დაგაკმაყოფილებს?**

- რა თქმა უნდა, მსოფლიოში. მინდა, საზღვარგარეთაც ვცადო ბედი. როდესაც დამთავრდება ჩემი, როგორც მოდელის კარიერა (მოდელი დიდხანს ვერ იქნები), მერე ჩემს პროფესიას დავუბრუნდები.

## სალომე ჩიკვილაძე:
### მოდელობა მრავალფეროვანი, შრომატევადი და საინტერესო საქმიანობაა

19 წლის. სიმაღლე 182 სმ; 85-60-90

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკური მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტი.

ოცნებობს, იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო. განსაკუთრებით ტიბეტი აინტერესებს.

გატაცებულია კალმებისა და ქვების შეგროვებით.

**- კალმებს რა პრინციპით არჩევ?**

- ყველანაირ კალამს ვაგროვებ, რაც არ უნდა იაფფასიანი იყოს.

**- დაახლოებით რამდენი გაქვს?**

- ბოლოს რომ დავითვალე, 150 ცალი იყო.

**- რატომ მაინცდამაინც კალამი?**

- ძალიან მიყვარს. საერთოდ, პასტებით ვხატავ. ვწერ კიდეც. იმდენად მიყვარს, ისე არ ჩავუვლი მაღაზიას, თუ ერთი კალამი არ შევიძინე.

**- ქვებსაც ყველანაირს ინახავ?**

- არა, მხოლოდ ფერითა და ფორმით განსხვავებულებს.

**- უბრალოდ ინახავ, თუ იყენებ რამეში?**

- ამ ქვებით ჩარჩოები გავაკეთე.

**- თქვი, რომ წერ. მაინც რას - პროზას თუ ლექსებს?**

პროზას.

**- აქვეყნებ კიდეც?**

- არა, ჩემთვის ვწერ.

**- არავინ კითხულობს?**

- ჩემს მეგობარს ვაკითხებ.

**- სამოდელო საქმიანობაში რა გხიბლავს ყველაზე მეტად?**

- მოდელობა მრავალფეროვანი, შრომატევადი და საინტერესო საქმიანობაა, ძალიან ბევრ ადამიანს ხვდები.

**- ადამიანებთან ურთიერთობა მოგწონს?**

- კი, მიყვარს. აქაც იმდენი მეგობარი შევიძინე...

**- როგორ ფიქრობ, ფინალში კონკურენციის ფაქტორი ამ ურთიერთობებს გააფუჭებს?**

- დარწმუნებული ვარ, რომ არა.

**- რატომ? ძირითადად ხომ ასე ხდება?**

- იმიტომ, რომ საქართველოა. პატარა ერი ვართ, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. სხვებისგან განსხვავებით, გულცივები არ ვართ.

## ანი გარაყანიძე:
### "ვოცნებობ, ვიმოგზაურო ეგზოტიკურ ქვეყნებში"

18 წლის; სიმაღლე 178 სმ. 87-64-92

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი.

ჰქონდა ოცნება, გამხდარიყო მოდელი, რომელიც აუსრულდა. ახლა მისი მიზანია იმუშაოს მოდების ქალაქ პარიზში.

**- იოლად აიხდინე ოცნება?**

- ალბათ, კი. მივედი "იმიჯ ცენტრში" და დღესაც ამ სააგენტოს მოდელი ვარ.

**- შარშან "მის საქართველოზე" არ გიცდია ბედი?**

- შარშანდელ კონკურსს თვალს ვადევნებდი, ძალიან მომეწონა და მომინდა, მეც მიმეღო მონაწილეობა.

**- ფინალისთვის მოსამზადებელ პროცესში განსაკუთრებით რა მოგეწონა?**

- საერთოდ, მიყვარს პოზირება, ფოტოგადაღება. ამიტომაც ყველაზე სასიამოვნო ფოტოგადაღებები იყო.

**- თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

- ესკიზებს ვხატავ.

**- ურთიერთობაში რამდენად დიპლომატიური ხარ?**

- ვსწავლობ.

**- რაზე ოცნებობ?**

- ჩემი ოცნებაა, ვიმოგზაურო ეგზოტიკურ ქვეყნებში.

**- ყოფილხარ რომელიმეში?**

- არა და ძალიან მინდა.

**- ჩინეთი თუ არის ერთ-ერთი, სადაც გინდა მოგზაურობა?**

- უფრო ინდოეთში მინდა.

**- თუ "მის საქართველო" გახდები, ჩინეთში წახვალ, მაგრამ ათეულში გასვლისას უცხო ენებში ჩაირიცხები. რომელი ენის შესწავლა გსურს?**

- გერმანული ვიცი. ახლა ძალიან მინდა, ინგლისური ვისწავლო.




ნინია კაკაბაძის სვეტი

# ნამგალი და ურო

## იმპერიალიზმი როგორც ჩვევა ან "პრივიჩკა"



**რუსეთი, რუსეთისათვის.** არსებობს სახელმწიფო, მასჰყავს ხელისუფლება, მთავრობა და მას ყავს საზოგადოება. საზოგადოება, რომელიც გრადაციებით არის დაყოფილი. სულ რამდენიმე ტიპია და ყველას საკუთარი მოთხოვნა აქვს. ზოგი მინიმუმს ითხოვს და ზოგიც, მაქსიმუმს. მაგრამ, მოდით, ერთ მოთხოვნაზე დავკონკრეტდეთ და არ გავიბნეთ ზოგადსაკაცობრიო მოთხოვნილებებში. რას უნდა თხოვდეს საზოგადოება სახელმწიფოს, გარდა სოციალურ-ეკონომიკური თუ სასიცოცხლო პირობებისა.

ჩემი ყურადღების ეპიცენტრი არ ვიცი, სასიხარულოდ თუ სამწუხაროდ, მაგრამ ისევ რუსეთია. მე არ ვარ პოლიტიკური მიმომხილველი და ჩემს სვეტს არ გავაპოლიტიზირებ. ვეცდები, მხოლოდ საზოგადოების მნიშვნელობაზე ვისაუბრო, როგორც ჩემი ქვეყნის საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა.

ჩვენ ხომ ნამდვილად ვიცით და დარწმუნებული ვარ რუსეთის საზოგადოებაც ხვდება, რომ დღევანდელი შედეგის მიზეზი თავად ისინი არიან. მე ვგულისხმობ, არა მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებას, არამედ შესაძლებელია, პირველ რიგში, საზოგადოებასაც კი. რიგით მოქალაქესაც კი არ უჩნდება ეჭვი, იქნებ შესაძლებელი იყოს ჩეჩნების გათავისუფლება, ან სხვა გზების ძიება. ან იქნებ, უბრალოდ, მოითხოვოს მშვიდობა ნებისმიერი სახით. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დამოკიდებულება ამერიკის მიმართ იდეალური არ არის, მაშინ როდესაც ერაყში ადამიანები კვდებიან, ამერიკას მაიკლ მური ჰყავს და არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე მილიონი. ომის საწინააღმდეგო აქციების კადრები, ვფიქრობ, ყველას უნახავს, ამიტომ ამაზე ყურადღებას აღარ შევაჩერებ. მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ ამერიკული საზოგადოება გაცილებით განვითარებულია ვიდრე რუსული და არც ამაშია არაფერი ახალი. თუმცა, ამერიკას იმ რაოდენობის დოსტოევსკები თუ პუშკინები არ ჰყავს, რამდენიც რუსეთს.

და მიუხედავად ამისა, უკვე დიდი ხანია რუსული თუ საერთაშორისო მედიის საშუალებით ველი ინფორმაციას: მოსკოვში (თუ რუსეთის ნებისმიერ ქალაქში) გაიმართა საპროტესტო აქცია, მოთხოვნით შეწყდეს ომი ჩეჩნეთში. თუმცა, ომს ისინი უკვე დიდი ხანია, შეწყვეტილად მიიჩნევენ. მაშინ: შეწყდეს ჩეჩნების, როგორც ერის განადგურების პროცესი. ამაზეც, ბუნებრივია, "დიდ რუსეთს" თავისი პასუხი აქვს, მაგრამ ყველაფერს, რაც ხდება, შეუძლებელია თავი აარიდონ და ეს მხოლოდ მაჰმადიანურ-ქრისტიანული სამყაროს დაპირისპირებად მონათლონ. მაგრამ ზემოხსენებული ტრანსფარანტით ქუჩაში არავინ გასულა, ჩემი მოლოდინი უკვე რამდენი წელია, არ ასრულებულა. შემიძლია ვთქვა, რომ პირიქით, არამც თუ ნაბიჯი იდგმება ამ მიმართულებით, არამედ პირიქით - საპროტესტო აქციები თუ მიტინგები ყოველდღიურად უფრო და უფრო აგრესიულ სახეს იღებს. უბრალო ადამიანების მოთხოვნა კიდევ და კიდევ უფრო იმპერიალისტურია. იმპერიალიზმი უკვე ჩვევაა, ეს მენტალურად ზის ყოველ მათგანში და სწორედ ამიტომ მათი ტირილიც კი აგრესიულ ხასიათს ატარებს. რუსული საზოგადოება, ინტელიგენცია, რომელიც ასე უყვარს ქართულ "ინტელიგენციას" და რომელსაც ჩვენ, ქართველები დღემდე მივტირით, აგრესიულად განვითარებული და ჰუმანურად განუვითარებელია. დამპყრობელი თუ მფლობელი ყველა რუს ადამიანში ზის, და მას სხვაგვარად არ წარმოუდგენია და ამიტომაც არცერთი მათგანი არ ცდილობს, ადგეს ფეხზე და ხმამაღლა მოითხოვოს სისხლისღვრის შეწყვეტა.

**საქართველო რუსეთისათვის.**

ჩვენ კი ისინი გვენატრებიან, ჩვენ ისინი გვიყვარს, ქართველი კაცები რუს ქალებზე დღემდე ოცნებობენ და, ალბათ, ფულსაც აგროვებენ მათ "დასაპყრობად". ჩემმა მეგობარმა ისიც მითხრა, რომ ბაზრობაზე, ასეთი შინაარსის სიმღერებსაც კი უკრავენ: **ვაი, ჩემო ტანია, ვაი, ჩემო მანია, როგორ დაგვაცილეს, თორემ ვინ იკადრებდა გულნაზის და ციცინოს**. მე ვიზიარებ მათ მწუხარებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი პატარა პრობლემაა. დღეს "სვეტსკი" ქართველი ჯერ კიდევ ქართულ-რუსულად მეტყველებს და არა აქვს მნიშვნელობა, რას მეტყველებს, მთავარია, რომ სუფთა რუსული აქცენტით მუსაიფობს. დღეს ყველაზე ხშირად მოსკოვში ვაწყობთ ქართული კულტურის დღეებს, შესაძლებელია სხვა ქვეყნებს არ აინტერესებთ, მაგრამ ჩვენი სწრაფვაც აშკარაა. დღეს, როდესაც რუსეთმა ღია ომი გამოგვიცხადა, ჩვენ მაინც სითბოთი და მეგობრული ტონით მოვიხსენიებთ მათ. რუსი როგორც იმას ვერ შეეჩვია, რომ შესაძლებელია ჩეჩნეთმა მის გარეშე იარსებოს, ისევე ვერასდროს დაიჯერებს, რომ საქართველო და "ქართული კულტურა" თუ "შინაგანი კულტურა", როგორც ბოლო დროს ხშირად მხვდება ყურში, რუსული კულტურის გარეშე იარსებებს. მე არ ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენც ომი უნდა გამოვუცხადოთ და ისეთივე აგრესია გამოვავლინოთ მათი მისამართით, როგორსაც ისინი ჩვენსკენ მომართავენ, მაგრამ...

მაგრამ არ გავუგზავნოთ ასეთი მესიჯები: Я все знаю, что было и что будет, и уверен, что дружба нас разбудит. В одиночку не найти ответа, как добраться до добра и света. Шлагбаум, виза, откуда граница? ეს ერთი პოპულარული ქართველი მომღერლის სიმღერის ტექსტია, რომელსაც, სხვათაშორის, კრიტიკას არიდებენ. მე გული მწყდება, რომ, ალბათ, ერთ-ერთი პირველი ვიქნები, ვინც საკუთარ მოკრძალებულ აზრს გამოთქვამს მისი ამ კონკრეტული სიმღერის მიმართ: სადაც რუსულად ვაგონი მიქრის. გია გაჩეჩილაძე, იგივე "უცნობი", დარწმუნებული ვარ, გაუაზრებლად მღერის ამ სიმღერას მოსკოვში და თუკი გაცნობიერებული აქვს მისი ტექსტი, მაშინ რატომ აკვირვებს "შლაგბაუმი" თუ "ვიზა", რატომ არ მოსწონს?! Жили как братья, дрались для счастья, фашисты предались, все враги пали, но поезд промчался, надо бы все сначала. ჩემთვის და დარწმუნებული ვარ კიდევ ერთი მილიონი ჩემნაირისთვის, "უცნობს" არ უკითხავს надо все сначала, или не надо? მიუხედავად იმისა, რომ "უცნობის" საწინააღმდეგო არაფერი მაქვს პიროვნულად, მისი შემოქმედების არც მსმენელი ვარ და არც დიდი თაყვანისმცემელი, ეს უკანასკნელი უცაბედად მანქანაში რადიოს მეშვეობით მოვისმინე და ყურში აი, ეს ფრაზა მომხვდა და გამაკვირვა: Остались без слова, остались без воли да и без дома. Но нам все знакомо, в Грузии кома, мы вынырнем снова, приветик вам скоро. საქართველოს სახელით "პრივეტის" შეთვლა მგონი არამართებულია.

ერთხელ და საბოლოოდ, მგონი, უკანასკნელი მოვლენები განსაკუთრებით მიგვანიშნებს იმაზე, რომ რუსეთის ჯერ კიდევ უნდა გვეშინოდეს და მეგობრობა მოსალოდნელი საშიშორებიდან გამოსავალი არ არის და, მით უმეტეს, ამ ფორმით.

ეს ერთი პატარა მაგალითია უზარმაზარი სიიდან, სადაც ქართველები თუ ქართველი "ხელოვანები" რუსულ-ქართულ მეგობრობას უმღერიან, რაც, მერწმუნეთ, ძალიან დიდი საბაბია იმისათვის, რომ რუსეთმა თავისი იმპერიალისტური ნამგალი საბოლოოდ ჩაარჭოს ქართულ მიწაზე და თავში დიდი ურო ჩაგვარტყას.

# ინგლისური კინორეალიზმი ვენეციაში

## მაიკ ლის "ყველაფერი ან არაფერი"

ქეთევან ჯანელიძე

წლევანდელი ვენეციის კინოფესტივალი ჰოლივუდის პომპეზურობით გამოირჩეოდა, რაზეც ფესტივალის გახსნის პირველივე დღე მეტყველებს: პირველ სექტემბერს ვენეციას ეწვივნენ ტომ ჰენკსი და სტივენ სპილბერგი, რომელთაც სპილბერგის არასაკონკურსო ფილმი "ტერმინალი" წარადგინეს. მომდევნო დღეებში კი ვენეციის ქუჩებში გამოჩნდნენ რობერტ დე ნირო, ანჯელინა ჯოლი, ჯონ ტრავოლტა, ტომ კრუზი, მერილ სტრიპი, დენზელ უოშინგტონი და გვინეტ პელტროუ. ერთი სიტყვით, ჰოლივუდის ოსკაროსანი გმირები...

ვენეციის 61-ე კინოფესტივალის მთავარი პრიზისთვის ერთდროულად სამი ამერიკული ფილმი იბრძოლებს: მისტიკური კინოსურათი "დაბადება", რომელშიც მთავარ როლს ნიკოლ კიდმანი ასრულებს, ტოდ სოლონდზის ფილმი "პალინდრომები" და "ამბიციების გამოფენა" რის უიზერსპუნის მონაწილეობით.

მათ კონკურენციას გაუწევს 18 სურათი (1892 სურათიდან ფესტივალისთვის 21 შეირჩა), რომელთა შორის სამი იაპონურია (ხოუ სიაოსიენას "კაფე ლუმიერი", ხაო მიაძაკის ანიმაციური სურათი "ბუს მოძრავი სასახლე" და იაპონურ-ჩინური "შიჯიე"), სამი იტალიური (ჯანი ამელიოს "სახლის გასაღები", მიკელე პლაჩიდოს ფილმი მოჩვენებებზე "Ovunque sei"და გუიდო კიეზის "ნელა მუშაობა"), ასევე სამი ფრანგული ფილმი, რომელთა შორის აღსანიშნავია ფრანსუა ოზონის "5X2".

ერთი სიტყვით, წლეულს ვენეციაში ფილმები წარადგინეს რეჟისორებმა, რომლებიც კინომანებისთვის განსაკუთრებულ წარდგენას არ საჭიროებენ: ჯანი ამელიო, კლერ დენი, მირა ნაირი, ვიმ ვენდერსი, ნიკოს პალაიოდოპულოსი... თუმცა, ფესტივალზე წარდგენილ ფილმებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ესპანელი ალეხანდრო ამენაბარის "ღია ზღვაში", ვიმ ვენდერსის "მოცულობის ქვეყანა" და ბრიტანელი მაიკ ლის "ვერა დრეიკი".

ამჯერად სწორედ მაიკ ლიზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. მართალია, ის ყოველთვის ფესტივალების სასურველი სტუმარია, მაგრამ იგივე ფესტივალებზე ხშირად ბედი არ სწყალობს.

2002 წლის კანის კინოფესტივალზე მაიკ ლიმ წარადგინა "ყველაფერი ან არაფერი". 1996 წლის მსგავსად (როცა "საიდუმლო და ტყუილები" აჩვენა), მისმა ფილმმა ბევრ მაყურებელში აღფრთოვანება გამოიწვია, ზოგიერთში კი - ირონია. მაგალითად, ამერიკულმა კინოგაზეთმა ფილმზე რეცენზიას უწოდა "არაფერი ახალი ლისგან", თუმცა, 1996 წლისგან განსხვავებით, ევროპელი მემარცხენეების ფავორიტს ჯილდოები არ ერგო... და მაინც, ჯილდოების არქონის მიუხედავად...

*"უბრალოდ, ასეთი გამოთქმაა: თქვენ გაქვთ ყველაფერი ან არაფერი. და აი, ცვლილებები, ადამიანის წინ უცებ ჩნდება მოსახვევი, რომლის მიღმაც რაღაც ამოუცნობი, ახალი იმალება. და ის წირავს ყველაფერს, რაც გააჩნია. როცა სათაურზე ვფიქრობდი, სიტყვები "ყველაფერი ან არაფერი" შთამბეჭდავად მომეჩვენა, ნუთუ არავის არაფრისთვის არ დაურქმევია ეს სახელი? სათაური ხომ საკმაოდ შექსპირულია და წარმოვიდგენ ხოლმე - უილიამ შექსპირის "ყველაფერი ან არაფერი" - მაიკ ლი.*

"ვერა დრეიკის" წინამორბედი "ყველაფერი ან არაფერი" არაფრით გამორჩეული ერთი ოჯახის ამბავს მოგვითხრობს, თუმცა, პარალელურად, "ახალი ღარიბების" კოლექტიურ ისტორიასაც წარმოადგენს: მარტოხელა დედა - მოზარდი, ორსული შვილის პრობლემებით, ლოთი ცოლქმრის ოჯახი, რომლებსაც შვილიც კი აღარ ახსოვთ, ახალგაზრდები, რომლებიც "ბოლდებიან" ან კაფებარებში უაზროდ დაეხეტებიან, მარტოხელა მოხუცები, რომელთაც ფუმფულა გოგონები იზიდავთ. ამ ადამიანების ისტორია ტაქსისტის ოჯახის ამბავს "ჰარმონიულად" ერწყმის და საკმაოდ ძლიერ ფონს უქმნის.

ფილმში, ამ ადამიანების სიცოცხლის მსგავსად, თითქმის ყველაფერი მონოტონური, მუქი და სევდიანია. ნაცრისფერია ამ ადამიანების საცხოვრებელი კორპუსი და ყავისფერი კარი, რომელიც ფონს ვერ ცვლის. კინოსურათი ვიოლინოს სევდიანი ჟღერით იწყება და შემდეგ მთელი ორკესტრი, ფილმის განმავლობაში ვიოლინოს ამ ხმას გასდევს. სევდას და მუქ ფერებს კიდევ უფრო აღრმავებს და ამძაფრებს მთავარი გმირების ახლო ხედები.

ლი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დიალოგებს. ალბათ, ამიტომაც თითქმის ყოველთვის, მშვიდი შემზარაობით სავსე საუბრისას, მუსიკა წყდება, რითაც ამ ერთი შეხედვით უბრალო საუბრებს მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

სოციალური იერარქიის სხვადასხვა წარმომადგენლის დროებითი გაერთიანება, ერთობა კი მოჩვენებითია, სადაც რეჟისორის ირონიაც და ტკივილიც ერთდროულად იჩენს თავს.

მაიკ ლი თავის გმირებს ოდნავ შესამჩნევი ირონიითაც ამკობს, თუმცა, კადრების ყოველ მონაცვლეობაზე, ყოველი გულისამაჩუყებელი ახლო ხედისას იგრძნობა, რომ უყვარს თავისი გმირები და ეცოდება ისინი. ალბათ, ამიტომაც უტოვებს იმედის შანსს.

მაიკ ლი გვთავაზობს გარემოს, რომელსაც ეკრანზე ყოველდღიურად ვერ იხილავ: აქ არ არიან არც ლამაზმანი ვარსკვლავები, არც ახოვანი ჯეიმს ბონდები, მაგრამ, სხვების მსგავსად, მათაც აქვთ ეკრანზე გამოჩენის უფლება, აქვთ სიყვარულის უფლება, მათაც აქვთ უფლება, ჰქონდეთ სექსი, და რადგან შვილების სრულფასოვნად აღზრდის შესაძლებლობა არა აქვთ, დაორსულება უპატიებელ შეცდომად არ უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად იმისა, რომ ლი პატარა კორპუსის მცხოვრებთა ამბავს მოგვითხრობს, უშუალოდ ამ ადამიანების ინდივიდუალიზმზე აკეთებს აქცენტს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არაფერს კითხულობენ, უმიზნოდ დაეხეტებიან და მიზანდასახულობა აკლიათ, აღარ ჰყოფნით ძალა, უფრო "მაღალ იდეალებს" დაეპატრონონ, სხვების მსგავსად, მათაც აქვთ ღრმა განცდის, წუხილის უნარი, ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და არა ტერმინ "სოციალური უმცირესობის" ქვეშ მოქცეული გარკვეული ჯგუფი. მათ სრულფასოვნად არსებობის ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ნებისმიერ სხვას. მათი სოციალურ უმცირესობად მიჩნევა აბსურდულია, როცა მსოფლიოს 6 მილიარდი მცხოვრებიდან 4 სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

**დაბოლოს...**

მაიკ ლის ამ სურათისადმი ინტერესი, პირველ რიგში, სწორედ იმან განაპირობა, რომ განვითარებული და ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს მკვიდრი რეჟისორი, ლონდონის ნაცრისფერ გარეუბნებში პოულობს იმ ადამიანებს, რომლებსაც ინგლისური კინემატოგრაფი ჰარი პოტერის, აშშ-სთან ერთად ბლოკბასტერების წარმოების, ინგლისური კოლორიტით გაჟღენთილი შუასაუკუნეობრივი სასიყვარულო რომანების ეკრანიზაციის პროცესში სადღაც კარგავს.

ეს ფილმები, როგორც თავად ლი აღნიშნავს, "უნივერსალურია". ნებისმიერი ეროვნების ადამიანი, როგორც "ყველაფერი ან არაფერში", ისე "საიდუმლო და ტყუილებში", საკუთარ, პატარა რეალობას, ამ რეალობის დეტალებს პოულობს. ეს გულწრფელი, სევდიანი, ნაცრისფერი, მაგრამ ირონიული და, ამავე, დროს სიყვარულით სავსე კადრები - ტკივილის გარეშე თვითკრიტიკის შესაძლებლობას გვაძლევენ.

მისი თანამედროვის და თანამოაზრის, კენ ლოუჩისგან განსხვავებით, ლი დამნაშავეს არ ეძებს, ფილმის სიუჟეტში ის თავისთავად იძერწება. მაიკ ლი მაყურებელს ღიმილისა და იმედის აღმოჩენის შესაძლებლობას აძლევს და მათ რეაქციას ელოდება. "თითოეულ ადამიანში უნდა იყოს პროტესტისა და დახმარების სურვილი და შემდეგ უკვე თუნდაც მცდელობა", - ამბობს ის.

ვნახოთ, როგორ განვითარდება დღეს საღამოს მოვლენები. ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების დროს უამრავი და საკმაოდ ზუსტი პროგნოზი კეთდება ხოლმე როგორც პროფესიონალი კრიტიკოსების, ისე უბრალო კინომანების მხრიდან, რასაც ვერ ვიტყვით ვენეციის კინოფესტივალზე, მიუხედავად იმისა, რომ წლეულს მას ჰოლივუდის პომპეზურობაში ადანაშაულებდნენ.

ამიტომ დაველოდოთ მოვლენების განვითარებას...




*ვენეციის კინოფესტივალს წელს ჰოლივუდის პომპეზურობაში ადანაშაულებენ. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას...*

# გაცილება სამშობლოდან

ვერა ნეფარიძე

*გუშინ გიორგი გაბაშვილმა ინგოლშტატის ქართული კამერული ორკესტრის მუსიკოსები მიიღო. სამშობლოში ხანმოკლე სტუმრობის შემდეგ ქართველმა მუსიკოსებმა ორკესტრის გერმანელ ხელმძღვანელებთან ერთად დღეს დატოვეს თბილისი.*

"დღეს ოფიციალური ნაწილი არ გვექნება, ამიტომ გთხოვთ, პირდაპირ არაოფიციალურზე გადავიდეთ", - მინისტრი დარბაზში შეკრებილ სტუმრებს თავიდანვე სუფრისკენ ეპატიჟებოდა. სტუმრებს შორის იყვნენ: ორკესტრის ქართველი წევრები, გერმანელი ხელმძღვანელები - შეფდირიჟორი მარკუს პოშნერი, დირექტორი იურგე კიოლერი და რამდენიმე ჟურნალისტი. საპატიო სტუმრებს გაბაშვილთან ერთად მისივე მოადგილეები და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირებიც მასპინძლობდნენ.

"ინგოლშტატი არაჩვეულებრივი ქალაქია, არაერთხელ ვყოფილვარ ინგოლშტატში და ყოველთვის გქომაგობდით", - უთხრა სტუმრებს მინისტრმა. პასუხად, მუსიკოსებმა სამინისტროს დარბაზი მოიწონეს და აღნიშნეს, რომ საკონცერტოდ მშვენიერი ადგილი იქნებოდა. გიორგი გაბაშვილის თქმით, სამინისტროში ამ დარბაზის აქტიურად ამოქმედებაა დაგეგმილი და "მერე თქვენც აუცილებლად მოგიწვევთ საგასტროლოდ", - თქვა მინისტრმა. შეკითხვაზე, ხომ არ არის დაგეგმილი უახლოესი მომავლისთვის ორკესტრის გასტროლები თბილისში, წევრებმა გვიპასუხეს: "ასე იოლი არ არის. ეს კონცერტებიც, რომელიც ახლა გავმართეთ, ერთი წლის წინათ იყო დაგეგმილი. ფინანსური მხარე რომ გვქონდეს მოგვარებული, დიდი სიამოვნებით ვივლიდით საქართველოში".

როგორც ცნობილია, ინგოლშტატის ქართულ კამერულ ორკესტრს ფირმა "აუდი" აფინანსებს. მართალია, ბოლო დროს დაფინანსება შემცირდა, მაგრამ, როგორც მუსიკოსებმა გვითხრეს, ადგილზე მათ ცხოვრებას სრულიად ჰყოფნის. ორკესტრის ძირითად შემადგენლობაში ჩვიდმეტი მუსიკოსია (ყველა ქართველი). საჭიროების შემთხვევაში, ინგოლშტატში ორკესტრს დამხმარე მუსიკოსებიც ჰყავს. მას შემდეგ, რაც ლიანა ისაკაძე ორკესტრიდან წავიდა (2000 წელს), მთავარ დირიჟორად მარკუს პოშნერი დაინიშნა. ახალგაზრდა თაობის მოწინავე დირიჟორი (ეს ტიტული პოშნერს შერ კოლინ დევისთან, კშიშტოფ პენდერეცკისთან თუ აბიო ლუიზთან ასისტენტობის შემდეგ მიანიჭეს) ორკესტრის წევრებთან ერთად თბილისს სტუმრობდა და გუშინდელ მიღებაზეც ბრძანდებოდა.

ინგოლშტატის ქართულმა კამერულმა ორკესტრმა თავისი მონაწილეობით კიდევ უფრო საზეიმო ელფერი შესძინა ტრადიციულ ფესტივალს, "შემოდგომის თბილისს". ორკესტრი თბილისის მუსიკალურ ცენტრში ორჯერ გამოვიდა - პირველად ფესტივალის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე, მომდევნო გამოსვლა კი თბილისში გოეთეს ინსტიტუტის მეათე წლისთავს მიუძღვნა. ამ უკანასკნელზე ორკესტრი თბილისელმა მსმენელმა კლარნეტისტ გიორა ფაიდმანთან ერთად იხილა.

გერმანიაში მოღვაწე ქართველ მუსიკოსთა ორკესტრის მოკლე ისტორია ასეთია: 1964 წელს საქართველოში დაფუძნებული სახელმწიფო კამერული ორკესტრი თოთხმეტი წლის წინათ ორკესტრის მაშინდელ სამხატვრო ხელმძღვანელთან, ლიანა ისაკაძესთან ერთად, ფირმა AUDI-ს მიწვევით გერმანიაში გაემგზავრა. გასტროლებიდან ორკესტრი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ქალაქ ინგოლშტატის ხელმძღვანელობამ ქართველ მუსიკოსებს ყველა პირობა შეუქმნა იქ დასარჩენად და მოღვაწეობის გასაგრძელებლად. წლეულს, მაისში ორკესტრმა 40 წლის იუბილე ინგოლშტატში ქართული კულტურის კვირეულით აღნიშნა. თბილისში მათი კვლავ გამოჩენა და თუნდაც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გამართული მიღება იმედს იძლევა, რომ თუ ქართველი მუსიკოსები საქართველოში სამუშაოდ არ დაბრუნდებიან, უფრო აქტიურად მაინც გამართავენ ჩვენთან კონცერტებს.



*"ინგოლშტატი არაჩვეულებრივი ქალაქია, არაერთხელ ვყოფილვარ ინგოლშტატში და ყოველთვის გქომაგობდით", - უთხრა სტუმრებს მინისტრმა.*

# ადრეული „მოძრავი სურათები" საქართველოსა და კავკასიაზე

საქართველოსა და კავკასიის შესახებ არსებული "ცოცხალი ფოტოგრაფიული სურათებიდან" ან უბრალოდ "მოძრავი სურათებდან" - კინემატოგრაფიის ადრეული პერიოდის კინომასალიდან ჩვენთვის უაღრესად მცირე ნაწილია ცნობილი. არადა კინემატოგრაფიის დაბადებიდანვე ინტერესი მსოფლიოს სხვადასხვა ეგზოტიკური კუთხეებისადმი, მათ შორის კავკასიისადმი დიდი იყო. იმდროინდელი ფილმების უდიდესი ნაწილი აღარ არსებობს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მსოფლიოს უამრავ კინოარქივში ჯერ კიდევ ბევრი ახალი და უცნობი მასალის აღმოჩენა უნდა იყოს შესაძლებელი.

გერმანულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ დისერტაციაზე მუშაობის დროს ვიზუალური მასალაც მაინტერესებდა. ერთ მშვენიერ ფოტოს წავაწყდი: ორი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გერმანელი გორაკიდან კინოაპარატით 1918 წელს თბილისის ხედს იღებს. სხვადასხვა კატალოგების თუ ნარკვევების გამოყენებით (ჰერბერტ ბირეტ, ჰანს ბერკჰაუზენ და სხვ.) ორმოცდაათამდე დოკუმენტურ ფილმს მივაკვლიე, რომლებიც საქართველოს ან კავკასიას ეხება და 1910-1918 წლებში გერმანიის კინოეკრანებზე გადიოდა.

გადაუღიათ უამრავი რამ, რაც შეიძლება იმდროინდელი მაყურებლისთვის საინტერესო ყოფილიყო - კავკასიის ხედები, ქალაქები - მრავალგზის, ხალხთა ტიპები (1912), წეს-ჩვეულებები (1910), ხელოსნები (1913), კავკასიური ჯირითი (1911), ამიერკავკასიის რკინიგზა (1913) ან მაგალითად, ჩრდილოეთ გერმანიის ლლოიდის კავკასიური მოგზაურობა 1911 წელს (1911). 1911 წელს გადაუღიათ ფილმი სათაურით "ქართული სტუმართმოყვარეობა" - პრინც ალექსანდერ ოლდენბურგის ჩასვლა გემით "შლეზვიგი" გაგრაში (გაგრა ოლდენბურგებს ეკუთვნოდათ და მათ მიერაა აშენებული და კეთილმოწყობილი), იქ გამართული მიღება და ცეკვები. ეს და ზოგიერთი სხვა ომამდე გადაღებული დოკუმენტური კადრები პირველი მსოფლიო ომის დროს პროპაგანდის მიზნით გერმანიაში შექმნილმა კინოკომპანია "ბუფა"-მ (ბილდ უნდ ფილმამტ - ფოტო-კინო სამსახური) გამოიყენა და ახლიდან დამონტაჟებულს აჩვენებდა 1918 წელს კინოთეატრებში.

1918 წელს გერმანიის ხელშეწყობით საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, გერმანიის ჯარის ნაწილები საქართველოში იდგნენ. საქართველოსა და კავკასიისადმი ინტერესი გერმანიაში ძალიან გაიზარდა. კინოკომპანია "დოიჩე ლიხტბილდგეზელშაფთ"-მა (გერმანული კინოსაზოგადოება) მოამზადა მთელი სერია სათაურით Naturbilder aus dem Kaukasus (სურათები კავკასიიდან), რომელშიც 8 პატარა ფილმი შედიოდა (91 მეტრიდან 196-მდე: დაახლოებით ასეთი მეტრაჟის ფილმები იყო იმ დროს სტანდარტული). საქართველოში, ალბათ, სხვა გერმანული კინოფირმებიც აქტიურობდნენ, მაგრამ გერმანიის მარცხმა ომში, საფიქრებელია, ბევრი კინოპროექტი ჩაშალა.

ასეთი შინაარსის ორმოცდაათამდე ფილმი გადიოდა და ისიც მხოლოდ 1910-1918 წლებში და მხოლოდ გერმანიის კინოეკრანებზე!

სამწუხაროდ, ვერ ცერთ ფილმს გერმანიის კინოარქივში ვერ მივაკვლიეთ. იქ შენახულ პირველი მსოფლიო ომის დროინდელ გერმანულ კინოჟურნალებშიც (მაგ.: მესტერ-ვოხე) მასალა უაღრესად მწირია. ერთი ფილმი, რომელიც არაა რესტავრირებული და რომლის ნახვაც ჯერჯერობით არ შეიძლება, ბერლინის კინემათეკაში მოვიძიეთ.

მაგრამ ევროპასა და ამერიკაში სხვა ბევრი კინემათეკა და კინოარქივია, სადაც ამ და სხვა ფილმების პოვნა შესაძლებელი იქნება.

რამდენი სხვა ფილმი გადიოდა საფრანგეთის, იტალიის ან ამერიკის კინოეკრანებზე? რამდენი პატარა სიუჟეტია საქართველოზე იმ დროს უკვე არსებულ კინოქრონიკის ჟურნალებში?

## კინოჟურნალები

ძმები ლუმიერები ჯერ კიდევ კინოს ისტორიის გარიჟრაჟზე კინოსეანსებზე ხალხის მოსაზიდად ხშირად ერთ ოინს მიმართავდნენ: წარმოდგენის წინა დღეს ქალაქის ქუჩებში კინოაპარატს დააყენებდნენ და გამვლელებსა და კამერის წინ მდგომ დოყლაპიებს იღებდნენ. მეორე დღეს ხალხი თავისი თავის დასანახად სეანსზე მიდიოდა. ეს უბრალო ოინი გვირგვინოსნებზეც ჭრიდა და უბრალო მეეზოვეზეც.

თბილისში, როგორც ცივილიზირებულ ქალაქში, 1896 წელს, პირველი პარიზული კინოსეანსიდან სულ რამდენიმე თვეში "იქნა ნაჩვენები კინემატოგრაფი". ალბათ, მე-19 საუკუნის ბოლოს, თბილისის ქუჩებშიც იღებდნენ კინომექანიკოსები, რომლებიც ხშირად კინოოპერატორებიც იყვნენ, თუნდაც სარეკლამო მიზნებით, თბილისსა და მის მოქალაქეებს. ჩვენში, სადაც ქაღალდზე დაწერილ დოკუმენტებსაც კი ცუდად ინახავენ, რაღა გასაკვირია, რომ მაშინდელი ადვილადაალებადი ნიტროფირები შემონახული არაა.

კინოში უცხო ქვეყნებისა და ხალხების, ისევე როგორც აქტუალური მოვლენების ნახვის სურვილი ყოველთვის დიდი იყო. იმდენად დიდიც, რომ თუ რაიმე მოვლენის ადგილზე გადაღებას ვერ ახერხებდნენ, ინსცენირებას, დადგმულ სცენებს არ ერიდებოდნენ. ასე შეცვალა 1904 წელს იაპონია-რუსეთის ომით დაინტერესებული პუბლიკისათვის ფრანგულმა მდინარე მარნამ მანჯურიის მდინარეები. ამავე სერიაში, "ხომალდ "პეტროპავლოვსკის" დაღუპვა პორტ-არტურის რეიდზე" მაკეტებით იყო "აღდგენილი". იმისდა მიხედვით თუ რომელი პუბლიკის წინაშე აჩვენებდნენ ამ ფილმებს, კინოგამშვებებს ასარჩევად ჰქონდათ ფილმის ბოლოსთვის ტიტრები: "გაუმარჯოს იაპონიას!" ან "გაუმარჯოს რუსეთს!". 1905 წლის მთელი რუსული რევოლუციაც "აღადგინეს" ფრანგებმა, თავისი "ჯავშნოსანი პოტიომკინით". 1905 წლის შემდეგ, იმ დროისათვის მსოფლიოში ყველაზე დიდმა და გავლენიანმა კინოფირმამ "პატემ" ხელი აიღო გაყალბებული დოკუმენტური ფილმების გადაღებაზე და მხოლოდ ნამდვილ კინოქრონიკაზე გადავიდა. 1908 წელს "პატემ" დაიწყო "პატე-ჟურნალების" გადაღება, რომელიც 1908 წლიდან რეგულარულად, ყოველკვირეულად გამოდიოდა 40 წლის განმავლობაში საფრანგეთის, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ეკრანებზე.

"პატე" ათიანი წლების დასაწყისში მონოპოლისტი იყო რუსეთის ბაზარზე (ის რუსეთის კინობაზრის 75% აკონტროლებდა). თბილისში, ათიან წლებში, უკვე რამდენიმე კინოთეატრი ("აპოლო", "მულენ-ელექტრიკ", "მოდერნ", "ილუზიონი" და სხვ.), რომლებიც ყოველკვირეულად ცვალებად კინოსეანსებზე (რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ გასართობი პროგრამის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენდა) უჩვენებდნენ დადგმულ ფილმებთან ერთად "პატე-ჟურნალს" და სხვა დოკუმენტურ და, სხვათაშორის, სამეცნიერო-დოკუმენტურ თუ შემეცნებით ფილმებსაც. ქართულენოვანი პრესა დიდ ყურადღებას არ აქცევდა კინოს, მაგრამ რუსული გაზეთი "კავკაზი", მაგალითად, 1911 წელს უკვე რეგულარულად აქვეყნებდა რეცენზიებს სხადასხვა თეატრების კინოპროგრამებზე. "კავკაზი" 9(22) ივნისს იტყობინება, რომ "პატე-ჟურნალის" 112 ნომერში თბილისის ცხოვრებიდან ორ სურათს უჩვენებენ - "მუხრანის ხიდის კურთხევა" და "საზოგადოება "განათლების" მიერ მოწყობილი სეირნობა მუშტაიდის ბაღში, 30 მაისს". უფრო ადრე იმავე გაზეთში ვხვდებით ცნობას, რომ ს.ივანიცკაიას თეატრი "ილუზიონი", რომელიც "მუდმივად აჩვენებს რაიმეს ადგილობრივი ცხოვრებიდან" აპრილში უჩვენებდა "დოღს თბილისში". ბევრს საინტერესოს იპოვის კაცი, თუ იმდროინდელ გაზეთებს თვალს გადაავლებს ან პატეს მიერ რუსეთში გამოცემულ კინოჟურნალს "სინემა-პატეს" (1910-1914) წაიკითხავს.

ზემოხსენებულ ივანიცკაიას საკუთარი ფირმა ჰქონდა და, მართლაც, დიდ ყურადღებას აქცევდა თბილისისა და საქართველოს მნიშვნელოვან მოვლენათა კინოფირზე აღბეჭვდას. მასთან მუშაობდა ქართული კინოს პიონერი ალექსანდრე დიღმელოვი, რომელიც 1910 წლიდან მოყოლებული პატეს აპარატით იღებდა "ილუზიონისათვის" და როგორც თვითონ წერს, მისი გადაღებული მრავალი კადრი "პატე-ჟურნალშიც" შევიდა (იხ.: გურამ ჟვანია, ქართული დოკუმენტური კინო, თბილისი 1990). ამავე დროს იწყებს მოღვაწეობას ქუთაისში მეორე ქართველი კინოპიონერი ვასილ ამაშუკელი, რომელსაც ეკუთვნის პირველი ქართული და შეიძლება მსოფლიოშიც პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წ." ეს ფილმიც მრავალი წლის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა. მისი ნაწილი მხოლოდ 1952 წელს იქნა აღმოჩენილი. "აკაკის მოგზაურობის" თითქმის ნახევარი დღეს კინოფოტოდოკუმენტების სახელმწიფო არქივშია დაცული, ისევე როგორც საქართველოში გასაბჭოებამდე გადაღებული და ჩვენამდე მოღწეული თითზე ჩამოსათვლელი სხვა კინოდოკუმენტები, რომელთა შორის ყველაზე ძველი კინოფირი 1909 წლით თარიღდება.

სწორედ 1909 წლიდან - "პატე-ჟურნალის" უცხოეთში გასვლიდან მოყოლებული, ჯერ პატეს და შემდეგ სხვა კომპანიებისა და ქვეყნების კინოჟურნალებში შეიძლება მოიძებნოს საინტერესო მასალა საქართველოსა და კავკასიის შესახებ. განსაკუთრებით გამოსადეგია ასევე ვენიამინ ვიშნევსკის მიერ 1947 წელს შედგენილი და მოსკოვში 1996 წელს გამოცემული "რევოლუციამდელი რუსეთის დოკუმენტური ფილმები, 1907-1916 წ.წ.".

1909 წელია ყველაზე ადრეული თარიღი დოკუმენტური ფილმებისა, რომელსაც მე კატალოგების საშუალებით მივაგენი: "კავკასია" (ფირმა "ლიონ", პარიზი) და "კავკასიური წეს-ჩვეულებები" (ძმები პატეები).

კინოოპერატორები იყვნენ როგორც ადგილობრივები, ისე ჩამოსული უცხოელებიც, ზოგჯერ ძალიან სახელმოხვეჭილნიც.

## ჯოვანი ვიტროტი (1882-1966)

უცხოელთა შორის, რომლებიც საქართველოში მუშაობდნენ განსაკუთრებით საყურადღებოა იტალიელი - ჯოვანი ვიტროტი. დღემდე მასზე ჩვენი საზოგადოების ყურადღება მხოლოდ მაია ხვედელიძემ გაამახვილა (ჟურნალი "ხელოვნება" 1/1990, 4/1991). ჯოვანი ვიტროტი იტალიური კინოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, - ის იყო თავის დროზე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კარგი ოპერატორი, გახმაურებული გრანდიოზული ფილმების - "გრენადერი როლანი" (1910), "დანტე და ბეატრიჩე" (1912), "პომპეის უკანასკნელი დღეები" (1913), "ვიდრე ჰხვალ?" (1924) ოპერატორი, ბევრი სხვა ფილმის რეჟისორიც. ცნობილი იტალიური კინოფირმის - "ამბროზიოს" მსოფლიო ბაზარზე წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ვიტროტიც იყო. მან ფირმის დაარსების წელს - 1906 წელს, გადაიღო რამდენიმე დოკუმენტური და რამდენიმე "უაღრესად პიკანტური" ფილმი, რომლებმაც "ამბროზიოს" მაშინვე გაუთქვეს სახელი და დიდი შემოსავალიც მისცეს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იგი წლების განმავლობაში გერმანიაშიც მუშაობდა. ვიტროტის კინოსთვის 50-იან წლებამდე არ დაუნებებია თავი, მაგრამ მისი საუკეთესო პერიოდი მუნჯი ფილმის ეპოქა იყო. (ვიტროტის ბიოგრაფია და სრული ფილმოგრაფია იხ.: Griffithiana, Vol. IX, nr. 26-27 (Pordenone, Sept. 1986))

ფრანგული ფირმების "პატესა" და "გომონის" გარდა, ათიანი წლების რუსეთში სეროზულ როლს თამაშობდა კინოფირმა "გლორია". ის დააარსეს წარმოშობით გერმანელებმა პაულ ტიმანმა, რომელიც ადრე "გომონის" თანამშრომელი იყო და ფრიდრიხ რეინგარტმა (გერმანულად: რაინჰარტ), მოსკოველმა თამბაქოს ფაბრიკანტმა. რუსეთის ბაზარზე ის რამდენიმე უცხოურ ფირმას წარმოადგენდა, მათ შორის დანიურ "ნორდისკს", ამერიკულ "ვაიტაგრაფს" და იტალიურ "ამბროზიოს". "ამბროზიოს"გადაღებული ისტორიული ფილმების გაქირავებამ ტიმანსა და რეინგარტს დიდი მოგება მოუტანა. მათ საკუთარი პროდუქციის შესაქმნელად "ამბროზიოსგან" გამოიწვიეს კინოს ოსტატები: სერანო და ვიტროტი. საინტერესოა, რომ მათ თარჯიმნად მიუჩინეს იაკოვ პროტაზანოვი, რომელიც შემდეგში დიდი რუსი რეჟისორი გახდა. პროტაზანოვს იტალიელების ჩამოსვლისთანავე მიეცა საშუალება რეჟისორობაში ეცადა ბედი - მან 1909 წ. "ბახჩისარაის შადრევანი" (პუშკინის მიხედვით) გადაიღო ვიტროტისთან ერთად.

1911-1913 წწ. ვიტროტიმ რუსეთში ცხრა მხატვრული ფილმი გადაიღო, მათ შორის ორის რეჟისორიც იყო - "ღალატისა" (სუმბატოვ-იუჟინის პიესის მიხედვით) და "დემონის" (ლერმონტოვის პოემის მიხედვით შექმნილი რუბინშტეინის ოპერის კინოვერსია). 1911 წელს დადგმული "ღალატი", "დემონი", "კავკასიის ტყვე" (პუშკინის მიხედვით), პირველი მხატვრული ფილმებია, რომლებიც საქართველოში გადაიღეს (შემორჩენილი ფოტოების მიხედვით აშკარაა, რომ "დემონი" და "ღალატი" მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეზოშია გადაღებული).

შეიძლება ითქვას, რომ იტალიელმა ჯოვანი ვიტროტიმ რუსული კინოსთვის კავკასია აღმოაჩინა. მანამდე რუსები მოსკოვსა და მის შემოგარენში იღებდნენ ფილმებს, ძალიან გაბედულები ყირიმზე თუ ფიქრობდნენ. რუსული კინოს ერთ-ერთ დამაარსებელს, ცნობილ კინოპროდიუსერსა და რეჟისორ ხანჟონკოვს ეკუთვნის სიტყვები: "ცა და მზე ყველგან ერთნაირია".

ჯოვანი ვიტროტი 1910 და 1911 წლებში იყო საქართველოში. 1911-ში მას თბილისში პატარა კინოსტუდია ჰქონდა. მან მთელი კავკასია მოიარა და უამრავი დოკუმენტური ფილმი გადაიღო: ბათუმი (250 მ.), ერევანი (124 მ.), ვლადიკავკაზი (119 მ.), ანი, ათასი ეკლესიის ქალაქი (120 მ.), ეჩმიაძინი (138 მ), ვაღარშაპატი, სომეხთა დიდი პატრიარქი (112მ), თბილისი კავკასიის დედაქალაქი (142 მ), თბილისიდან მლეთამდე (165 მ), მლეთიდან ვლადიკავკაზამდე (140 მ.), ექსკურსია ყაზბეგის მთაზე (172 მ.), არარატის რეგიონი (82 მ.), დამახასიათებელი ყოველწლიური დღესასწაული მცხეთაში (ალბათ მცხეთობა) (141 მ.), სამხედრო აღლუმი თბილიში (116 მ.), კაზაკების ვარჯიში (127მ.), თათრული აბანოები (80მ.), სპარსთა რელიგიური კოსტიუმები (85 მ.), კავკასიის ადათ-წესები და კოსტიუმები (142 მ.), სპარსთა ადათწესები და კოსტიუმები (99 მ.), სპარსთა ადათ-წესები და კოსტიუმები კავკასიაში (125მ.).

როგორც ჩანს, პატარა ნაკუწების გარდა, რომელიც ნანა თუთბერიძეს თავის გადაცემაში "მრავალსახეობა ეკრანისა" 1990 წელს უჩვენებია, არაფერი არაა გადარჩენილი, არც მხატვრული და არც დოკუმენტური ფილმებიდან. ამას ჩივის და კინოარქივებს დახმარებისკენ მოუწოდებს გოსფილმოფონდის თანამშრომელი იულია პროკოპენკოც სტატიაში "ჯოვანი ვიტროტი და სხვა ეგზოტიკის ესთეტები (ან კავკასია ადრეულ რუსულ კინოში)" კინოარქივების საერთაშორისო ფედერაციის "Journal of Film Preservation"-ში (N53, ნოემბერი 1996).

აკაკი ბაქრაძე უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი, როცა წერდა: "ფრანგი კინომრეწველის პატეს წარმომადგენლები საქართველოში იღებდნენ დოკუმენტურ სურათებს. გადაღებულია დიდძალი მასალა. ყველაფერი ეს არის პარიზში. ... საქართველოში მუშაობდნენ იტალიური კინოფირმების "ამბროზიოსა" და "ჩინესის" წარმომადგენლებიც. ამ კინოფირმების არქივებშიც უამრავი ქართული მასალაა." (აკაკი ბაქრაძე, "კინო. თეატრი", თბილისი 1989, გვ. 110).

ამ ფირების დიდი ნაწილი ჟამთა სიავემ გაანადგურა. მაგრამ, გერმანიის ფედერალურ კინოარქივში პირველი წარუმატებლობის შემდეგაც, კვლევის გაგრძელება სხვა არქივებში ღირს - უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთში, იტალიაში, მერე შვეიცარიაში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში.

რაც შეეხება ვიტროტის - მას უამრავი ფოტოც გადაუღია კავკასიაში, რომლებიც მის არქივში ინახება და ვფიქრობ, ერთ კარგ გამოფენას იმსახურებს.

## ჰაინც-კარლ ჰაილანდ (1876-1932)

მხატვრული ფილმების ეგზოტიკურ გარემოში გადასაღებად საქართველოში სხვებიც ჩამოდიოდნენ. 1912 წელს თბილისსა და თბილისის სანახებში გადაუღია თავისი პირველი ფილმები "თავდასხმა კავკასიაში" და "ქალის მოტაცება" გერმანელ პრედიუსერს, რეჟისორსა და ოპერატორს ჰაინც-კარლ ჰაილანდს. იგი ვიტროტისგან განსხვავებით, განსაკუთრებული ნიჭით არ გამოირჩეოდა და კინოს ისტორიაში დიდი კვალი არ დაუტოვებია. ის ცდილობდა ეგზოტიკური გარემოთი და დრამატულ-ფოლკლორისტული შინაარსით მაინც მოეხდინა თავისი ფილმების უხარისხობის კომპენსაცია. იგი იღებდა ფილმებს ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში. წარუმატებლობის გამო 1926 წლიდან ფილმების გადასაღებად ფულს ვეღარ შოულობდა. ყველასგან დავიწყებულმა, გაღატაკებულმა და ტროპიკული ავადმყოფობებისგან დასუსტებულმა ჰაილანდმა 1932 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სამწუხაროდ, მისი "ქართული" ფილმები აღარსად ჩანს. სამწუხაროდ, რადგან ამ ფილმებთან ერთად დაიკარგა თბილისისა და მისი შემოგარენის ხედები და ერთერთი პირველი ქართველი კინომსახიობი ქალის - ჩვენთვის დღემდე უცნობი, ვინმე ელენე ვაჩნაძის ამსახველი კადრები, რომელიც მთავარ როლს თამაშობდა ფილმში "თავდასხმა კავკასიაში".

ის, რომ გერმანელებს კავკასიური ეგზოტიკა იზიდავდა, ცხადყოფს გერმანიაში გადაღებული მხატვრული ფილმების სახელებიც: "კავკასიელის შურისძიება" (1914), - ქმარი კლავს ცოლს ღალატის გამო - ან "კავკასიელი ქალი" (ჯო მაისა და უვე იენს კრაფტის დადგმა, 1917/1918), "ჯო დეებსის" ცნობილი კრიმინალური სერიალიდან (ეს უკანასკნელი ფრიდრიხვილჰელმ მურნაუს ფონდში ინახება.)

საკვლევი და საძიებელი ბევრია. კინოს ისტორიის დასაწყისი საქართველოში კარგადაა შესასწავლი. და არა მარტო კინოსი, რასაკვირველია.







ათეულები

## კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ალენ კარი | [illegible] - მარტივი გზა | [illegible] | 5.2 |
| ავთანდილ არაბული | ქართული მეტყველების კულტურა | უნივერსალი | 4.0 |
| [illegible] მანველიძე | [illegible] | თბილისელები | 2.8 |
| [illegible] მანველიძე | მორიელი | თბილისელები | 2.4 |
| პაულო კოელიო | ალქიმიკოსი | | 2.4 |
| ჯ. კ. როულინგი | ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 1.6 |
| ჯიბრან ხალილ ჯიბრანი | იესო, ძე კაცისა | საარი | 1.6 |
| აკა მორჩილაძე | სანტა ესპერანსა | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 1.2 |
| აკა მორჩილაძე | მოგზაურობა ყარაბაღში | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 1.2 |
| [illegible] | მე შემიძლია ცხოვრების ხატვა | გია ქარჩხაძის გამომცემლობა | 1.2 |

## თანამედროვე როკის საუკეთესო ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| შემსრულებელი | სიმღერის სათაური | წინა კვირის მაჩვენებელი | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
|---|---|---|---|
| "ლინკინ პარკი" | Breaking The Habit | 1 | 12 |
| "გრინ დეი" | American Idiot | 3 | 4 |
| "3 დორს დაუნ" | Just Like You | 2 | 21 |
| ფრანც ფერდინანდი | Take Me Out | 4 | 17 |
| "ქილერს" | Somebody Told Me | 5 | 16 |
| "სლიფნოთი" | Duality | 6 | 19 |
| "ბრეიქინგ ბენჯამინ" | So Cold | 8 | 16 |
| Chevelle | Vitamin R (Leading Us Along) | 9 | 4 |
| "ფუშბოქსი" | Confessional Vindicated | 7 | 15 |
| "ლოსტ პროფეტს" | Wake Up (Make A Move) | 10 | 12 |

## ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "გმირი" | ჟანგ იმუ | [illegible] | 11,014,779 | 35,237,282 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 9,014,918 | 39,884,910 |
| "ანაკონდები: სისხლიანი ორქიდეის ძიებაში" | [illegible] | [illegible] | 8,888,188 | 23,860,466 |
| "პაპარაცი" | პოლ აბასკალი | [illegible] | 7,855,111 | 7,855,111 |
| "პრინცესის დღიურები 2: სამეფო ნიშნობა" | გარი მარშალი | ენ ჰეთევეი, ჯული ენდრიუსი, ჰექტორ ელიზონდო | 7,537,330 | 85,520,894 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 6,819,393 | 6,819,393 |
| [illegible] | მაიკლ მანი | ტომ კრუზი, ჯეიმი ფოქსი, [illegible] | 6,480,801 | 88,897,193 |
| "ამაოების ბაზარი" | მირა ნაირი | [illegible] | 6,268,929 | 7,406,640 |
| Cookout | [illegible] | [illegible] | 6,219,794 | 6,219,794 |
| Bourne Supremacy | პოლ გრინგრასი | მეტ დეიმონი, [illegible] | 5,314,115 | 164,769,215 |



## განცხადება

შპს "მერანიდან" საქართველოს მწერალთა კავშირის კუთვნილი წილის გამოყოფის შემდეგ - შპს. "მერანის" წიგნის საფირმო მაღაზია "მერანი" - სხვა ფართთან ერთად გადაეცა საქართველოს მწერალთა კავშირის შპს. "ეროვნულ მწერლობას".

დაინტერესებულმა პირებმა, გამომცემლებმა, ავტორებმა წიგნის გავრცელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართონ საქართველოს მწერალთა კავშირის შპს "ეროვნულ მწერლობას" ხელმძღვანელობას.

*შპს. "მერანის" დირექტორი - გივი ალხაზიშვილი.*

მოკლედ

## შურისძიება

### რუნის მოკვლით ემუქრებიან



ლივერპულის "ევერტონიდან" "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შემდეგ ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი უეინ რუნი საფრთხეში აღმოჩნდა. პოლიციას დადასტურებული ინფორმაცია აქვს, რომ "ევერტონის" ფანები შურისძიებას გეგმავენ და ამ მიზნის განსახორციელებლად არაფრის წინაშე უკან არ დაიხევენ.

ამას გარდა, ცნობილი გახდა, რომ რუნის სერიოზულად ემუქრებიან ლივერპულის კრიმინალური ავტორიტეტები, რომლებმაც ტოტალიზატორში 750 ათასი გირვანქა სტერლინგი დადეს იმისთვის, რომ რუნი "მანჩესტერ იუნაიტედში" არ გადავიდოდა. ავტორიტეტები გეგმავენ, რუნი ისე დაასახიჩრონ, რომ მან ფეხბურთის თამაში ვერასოდეს შეძლოს.

საიდუმლო აგენტების ინფორმაციის შესწავლის შემდეგ "სკოტლანდ იარდმა" 18 წლის უეინ რუნის მიანიჭა თავდასხმის ობიექტის ხარისხი "ნომერი ერთი". ეს იმას ნიშნავს, რომ 24 საათის განმავლობაში რუნის საიმედოდ დაიცავს პირად მცველთა ჯგუფი, რომელსაც ბრიტანეთის ელიტარული სპეცდანიშნულების რაზმში სამსახურის გამოცდილება აქვს. ეს ის ხალხია ("Special Airborne Service"), ვინც სამეფო ოჯახისა და მთავრობის წევრებს იცავს. სამართალდამცავები ვალდებულნი არიან, პირადი მცველების ნებისმიერ სიგნალზე საფრთხის შესახებ რეაგირება მოახდინონ.

"მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტმა 25 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით, უეინ რუნი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ძვირად ღირებულ ფეხბურთელად აქცია. საფრთხის სერიოზულობიდან გამომდინარე, რუნის მიეცა აუცილებლად შესასრულებელი ინსტრუქციები. ლივერპულიდან რაც შეიძლება შორს დაიჭიროს თავი, ჩამოსცილდეს ძველ ახლობლებს, მუდმივად იცვალოს ვარჯიშზე მისვლის გზები, არ შეჩერდეს ავტოგრაფების დასარიგებლად, მოერიდოს ხალხმრავლობას და მუდმივად ჩართული ჰქონდეს მობილური ტელეფონი.

ჭორების თანახმად, რუნიმ უკვე დატოვა თავისი სახლი ლივერპულში და ახლა "მანჩესტერ იუნაიტედის" სტადიონთან ახლოს ცხოვრობს. ახალ ბინაში დამონტაჟებულია საიდუმლო ღილაკები, რომლებიც საფრთხის შესახებ პირდაპირ პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში იძლევა სიგნალს.

ამ ფონზე ფეხბურთელის ცხოვრება შეიძლება მეტისმეტად მოსაწყენი გახდეს. პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავი თამაშის შემდეგ უეინ რუნი ინგლისის გმირი გახდა, მაგრამ მან მშობლიურ ქალაქ ლივერპულში დაკარგა ავტორიტეტი - იქ მას "იუდად" მოიხსენიებენ.

TV-სპორტი

### შაბათი. 11 სექტემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - სტრიტბოლი - Entertainers Basketball Classic
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2002. პირველი წრე. "NEW JERSEY NETS" - "INDIANA PACERS".მე-5 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. შეხვედრა მე-3 ადგილისთვის. ურუგვაი - კოლუმბია
14:00 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. ფინალი. არგენტინა - ბრაზილია
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. "ასტონ ვილა" - "ჩელსი". პირდაპირი ტრანსლაცია
17:40 თავისუფალი დარტყმა
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ფულჰემი" - "არსენალი". პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ატლეტიკო" - "ვალენსია". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (20:45) - თავისუფალი დარტყმა
21:55 პორტუგალიის ჩემპიონატი. "ბრაგა" - "პორტუ". პირდაპირი ტრანსლაცია
23:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. "რენი" - "ლიონი". შესვენებისას (00:40) - თავისუფალი დარტყმა
01:50 01:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1980. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "SEATTLE SUPERSONICS" - "MILWAUKEE BUCKS". მე-7 მატჩი

**НТВ+СПОРТ**

09:00 "ფორმულის ჰარმონია"
10:00, 12:40, 15:45, 20:00 პრესცენტრი
10:20, 20:15 "ოლიმპის შვილები"
10:25 ჰოკეი. მსოფლიო თასი. ნახევარფინალი. აშშ - ფინეთი
12:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. ქალები. ერთეულთა ნახევარფინალი
14:40 ველოსპორტი-მაუნთინბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში. ქალები. ელიტა. სწრაფდაშვება. პირდაპირი ტრანსლაცია
15:15 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
16:00 "ნადირობის სეზონი"
16:30 ველოსპორტი-მაუნთინბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში. ვაჟები. ელიტა. სწრაფდაშვება. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
18:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი ჩილეში
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
21:25 ველოსპორტი-მაუნთინბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში. ვაჟები. ქალები. კროსი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ბილიარდი. "ჩემპიონთა მატჩი" სანკტ პეტერბურგში. შესვენებისას (00:00) - ახალი ამბები
01:15 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
02:15 ჰოკეი. მსოფლიო თასი. ნახევარფინალი. ჩეხეთი - კანადა. პირდაპირი ტრანსლაცია
05:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. მიგელ კოტო - კელსონ პინტო. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ფეხბურთი. დანონის თასი
11:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩი
12:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. სეზონის მიმოხილვა
14:00 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური თამაშები ათენში
16:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი ირლანდიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 მოტორბოლები. Master of Endurance 24 საათი საფრანგეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 ველოსპორტი. ესპანეთის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 მოტორბოლები. Master of Endurance 24 საათი საფრანგეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. ვაჟები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
03:45 ახალი ამბები

კრივი

## ვიტალი კლიჩკო დენი უილიამსს შეხვდება



*ვიტალი კლიჩკოზე ამბობენ, ტექნიკა არ უვარგაო.*

7 სექტემბერს პრომოუტერულ კომპანიებს K2 Promotions და Sports Network-ს შორის მოხდა საბოლოო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მსოფლიო ჩემპიონი WBC-ის ვერსიით ვიტალი კლიჩკო ჩემპიონის ქამარს 31 წლის ბრიტანელ დენი უილიამსთან შეხვედრაში დაიცავს.

გუშინ დილით ვიტალი და უილიამსის პრომოუტერი ფრენკ უორენი ერთმანეთს შეხვდნენ და ხელი მოაწერეს კონტრაქტს ბრძოლაზე, რომელიც დეკემბრის დასაწყისში, სავარაუდოდ, ნიუ იორკის Madison Square Garden-ში უნდა გაიმართოს.

ძმებ კლიჩკოების ოფიციალურ საიტზე კი ნათქვამია: 24 აგვისტოს კომპანია Sports Network-მა პირველად განაცხადა იმის თაობაზე, რომ მიმდინარეობს მუშაობა ვიტალი კლიჩკოს დენი უილიამსთან შეხვედრის თაობაზე. რაც შეეხება თავად უილიამსს, მან ტაისონის დამარცხებით ფრთაშესხმულმა დაახასიათა ვიტალი კლიჩკო: "ვიტალი მაღალი მოკრივეა და მასთან ჩხუბი საინტერესო და უაღრესად დამაინტრიგებელი უნდა გამოდგეს. სინამდვილეში მხოლოდ მისი სიმაღლე და ძალა ხდის ამ მოკრივეს სახიფათოს. მისი ტექნიკა საერთოდ არ იმსახურებს რაიმე კომენტარებს. ის რომ ჩემი სიმაღლის იყოს, მასზე არავინ არასდროს არაფერს გაიგონებდა. სიმართლე რომ ვთქვა, ვიტალი ჩვეულებრივი მოკრივეა. მან არ იცის ახლო დისტანციაზე ჩხუბი. ამასთან, მას დიდი პრობლემები აქვს გამძლეობასთან დაკავშირებით. ის არ იყენებს კომბინაციებს, ხოლო როცა უკან იხევს, დარტყმებს საერთოდ არ ახორციელებს. ასე რომ, ვიტალი მხოლოდ თავისი სიმაღლისა და ძალის წყალობით გახდა ჩემპიონი. არა მგონია, რომ მას უფრო ძლიერი დარტყმა აქვს, ვიდრე მაიკ ტაისონს. თუ მაიკის დარტყმებს გავუძელი, ვფიქრობ, ვიტალის დარტყმებსაც გადავიტან. კლიჩკოსთან ბრძოლაში გამარჯვება მე დამრჩება".

თავისი აღსაზრდელის ძალებში ასევე დარწმუნებულია დენი უილიამსის მწვრთნელი ჯიმი მაკდონელი: "დენის ტექნიკური თვალსაზრისით უდიდესი უპირატესობა ექნება. ის სისწრაფეშიც და გამძლეობაშიც დაჩაგრავს მეტოქეს. სწორედ გამძლეობას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა ბრძოლაში, რომელსაც უილიამსი კლიჩკოს წინააღმდეგ გამართავს, - შენიშნა მაკდონელმა იმავე პრესკონფერენციაზე, - ლენოქსთან შეხვედრაში, ექვსი რაუნდის შემდეგ, ვიტალი მთლიანად გამოიფიტა. კორი სანდერსთან პაექრობაში კი იმდენად დაიღალა, რომ მატჩის დამთავრებიდან ათ წუთის შემდეგაც კი ვერ იღებდა ხმას. არადა, ბრძოლა არც ისე მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. მენდეთ მე და ჩემს გამოცდილებას. დენი ნამდვილი მებრძოლია. ის 120 კგ. იწონის, მაგრამ 100 მეტრს 13 წამში გაირბენს. მე მის გამძლეობაზე ვიმუშავებ. ჩვენ თუ შევძლებთ, კლიჩკოს მაღალი ტემპი შევთავაზოთ, ის ამას ვერ გაუძლებს. დენი ვიტალის ცხრა რაუნდში მოუგებს".

უილიამსის პრომოუტერ ფრენკ უორენსაც დენის გამარჯვების დიდი იმედი აქვს: "ის მაიკ ტაისონის წინააღმდეგ გამოვიდა რინგზე და გაანადგურა. მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ დიდი გული აქვს. ეჭვი არ მეპარება, კლიჩკოსთან შეხვედრაშიც დენი მსოფლიოს დაანახებს, რომ ღირსია, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ატარებდეს".

ვიტალი კლიჩკო ამ ხმამაღალ განცხადებებს ჩვეული სიმშვიდით შეხვდა: "მე ყოველთვის ვოცნებობდი მაიკ ტაისონთან შეხვედრაზე, მაგრამ უილიამსმა ჩემი ოცნება დაამსხვრია. მან ტაისონთან შეხვედრაში, მართლაც, მებრძოლი სული წარმოაჩინა და ამიტომ მასთან ჩხუბი საინტერესო იქნება. რაც შეეხება თვითონ დენისა და მისი გუნდის განცხადებებს, ვნახოთ. ქაღალდზე და რინგზე ჩხუბი სხვადასხვა რამეა. მე არ ვაპირებ, არ შევაფასო უილიამსის ძალა, გამოცდილება და მას პატივს ვცემ. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულთან დამშვიდობებას არ ვაპირებ".

ფორმულა 1

## მე რომ შუმახერი ვყოფილიყავი, დავიცდიდი

*ფორმულა 1-ის სამყაროში მოფუსფუსეთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მიხაელ შუმახერმა სულსწრაფობა გამოიჩინა, როდესაც "ბელგიის დიდ პრიზზე" ანუ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ეტაპით ადრე დაიდგა ჩემპიონის გვირგვინი, რადგან ამან 2004 წლის სეზონს ინტრიგა მოაკლოო. თუმცა, რა ინტრიგაზეა ლაპარაკი, როდესაც ისედაც ყველამ იცოდა, რომ მიხაელი ყველა შემთხვევაში ჩემპიონი გახდებოდა.*



*იქნება თუ არა მონცაზე სანახაობა, ამას ისევ მონცა გვიჩვენებს.*

ექსპერტთა ვარაუდით, ის, რომ მიხაელი "სპაზე" ვითარებას არ ამწვავებდა, ეს წინასწარგანზრახული, შეგნებული ნაბიჯი იყო. "შუმიმ" თავი არ მოიკლა გამარჯვებისთვის და რბოლა მეორე შედეგით დაასრულა მხოლოდ იმიტომ, რომ დროზე ადრე გაენაღდებინა ტიტული. სხვათა შორის, იგივე დაადასტურა "ფერარის" ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმაც.

შუმახერის ნაადრევად გაჩემპიონებაზე საკუთარი აზრი აქვს "უილიამსის" კოლუმბიელ პილოტს ხუან-პაბლო მონტოიასაც: "მარკეტინგული თვალსაზრისით შუმახერს ჩემპიონატში გამარჯვება უნდა გადაევადებინა. "სპა" არასწორად იქნა შერჩეული გამარჯვებისთვის, რადგან იმხანად, საითაც არ უნდა გაგეხედათ, ყველგან ოლიმპიური თამაშები იყო. მე რომ შუმახერი ვყოფილიყავი, "მონცამდე" მოვიცდიდი, რადგან ტიფოზები მისი გამარჯვებით მეტად დატკბებოდნენ და ა.შ. და თუ "მონცაზე" ვერ დაეუფლებოდა ტიტულს, მაშინ იგივეს მოგვიანებით შეეცდებოდა".

სხვათა შორის, ხუთშაბათს, როდესაც მიხაელ შუმახერი "მონცაზე" გამოცხადდა, კეპი შვიდი ზოლით ჰქონდა დამშვენებული, მაგრამ ირკვევა, რომ მიხაელის შვიდგზის ჩემპიონის აღმნიშვნელი სიმბოლო ფორმულა 1-ის ბოსს ბერნი ეკლსტოუნს თვალში არ მოსვლია. უფრო სწორად, სეზონის დამთავრებამდე ახალი საჩემპიონო სიმბოლოს გამოყენების უფლება არც ერთ პილოტს არა აქვს, მაგრამ ეკლსტონის აკრძალვა ყურად არ იღო მიხაელმა: "თუ დააკვირდებით ჩემპიონატის მსვლელობას და იმას, რაც ჟურნალისტებმა უკვე დაწერეს, ვფიქრობ, შემიძლია, თავი ისე ვიგრძნო, როგორც მსოფლიო ჩემპიონმა. არ ვიცი, ახლა რას ამბობს ბერნი, მაგრამ ეს ადრეც არაერთხელ აუკრძალავს".

და მაინც, როგორც უნდა იყოს, ბევრს მიაჩნია, რომ დარჩენილი ოთხი ეტაპიც ლამაზი სანახაობა იქნება სამეფო რბოლების მოყვარულთათვის და, შესაძლოა, ახალი გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ, რადგან ახლა მეორე ადგილისთვის ბრძოლა იწვევს ინტერესს. თუმცა, ამ მოსაზრებას არ იზიარებს ფორმულა 1-ის ექსპერტი და ყოფილი პილოტი, ბრიტანელი მარკ ბლანდელი. მისი თქმით, ტიფოზები "ფერარისგან" ახლა უფრო მეტს მოითხოვენ, რადგან საკვირაო რბოლას იტალია მასპინძლობს. შინაურ კედლებში კი სკუდერიელებმა აუცილებლად უნდა გაიმარჯვონო. "იტალიის დიდი პრიზი" მნიშვნელოვანი რამაა სკუდერიისთვის და, რა თქმა უნდა, ისინი შეეცდებიან, ბევრად უკეთ გამოვიდნენ. მეტიც, "ფერარი" ყველაფერს ილონებს იმისთვის, რომ დარჩენილი რბოლებიც მოიგოსო.

"მიხაელ შუმახერის მეშვიდე ტიტული - ეს ფანტასტიკური შედეგია. იმაზე ლაპარაკი, რომ ამგვარი შედეგი აღტაცებას იწვევს, არასწორი შეფასება იქნებოდა. განსაკუთრებით მაშინ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყველა ეს ტიტული შედარებით მოკლე დროში იქნა მოპოვებული. ეს ბიჭი თავიდან წერს ფორმულა 1-ის ისტორიას. ვეჭვობ, იგივე ოდესმე კიდევ გამეორდეს. ვერც იმას წარმოვიდგენ, რომ ოდესმე ასეთი გუნდი გამოჩნდეს ასპარეზზე. მარტო მიხაელ შუმახერი კი არ მყავს მხედველობაში, არამედ ყველა ის, ვინც მასთან ერთად "ფერარიში" მუშაობს".

რაკი იტალიურ საჯინიბოზე ვსაუბრობთ, ბარემ აქვე გეტყვით, რომ სკუდერიამ სამწლიანო კონტრაქტი გააფორმა სპორტული სამოსისა და ფეხსაცმლის მწარმოებელ გერმანულ ფირმა "პუმასთან". შეთანხმება 2005 წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში (მანამდე ფერარელები "ფილასთან" თანამშრომლობდნენ).

"პუმასთვის" "ფერარი" ერთადერთი საჯინიბო როდია, რომელთანაც საქმიანი ურთიერთობა აინტერესებს. გერმანელები თანამშრომლობენ "BMW-უილიამსთან", "იაგუართან", "ზაუბერთან", "რენოსთან", "ტოიოტასთან" და "მინარდისთან". ასე რომ, გაისად "ფერარის" სიმბოლიკიანი საქონელი "პუმას" მიერ იქნება დამზადებული.

კალათბურთი

# დღეს ``FINLANDIA`` უნდა დავლიოთ

პაატა თოთაძე

სამწლიანი შესვენების შემდეგ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები დღეს თავის პირველ მატჩს გამართავს ევროპის 2007 წლის საკვალიფიკაციო ტურნირზე. საქართველოს ნაკრები 2 სექტემბრიდან შეკრებაზეა. "მოსამზადებლად იმდენი დრო არ არის, რამდენიც მინდოდა, რომ მქონოდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მაქსიმალურად გავაკეთებთ ყველაფერს. ასე რომ, შაბათს მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ", - განაცხადა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა. მიუხედავად იმისა, რომ კალათბურთის ფედერაცია ზაფხულში ირწმუნებოდა, საშემოდგომოდ თბილისში უკლებლივ ყველა ლეგიონერი ჩამოვაო, მთლად ასე არ გამოვიდა. პრობლემა ისევ და ისევ ვოვა სტეფანიას ჩამოსვლა გახდა. რატომღაც ისე ხდება ხოლმე, რომ პრობლემები მუდამ მას ექმნება. ახლაც სადაზღვევო კომპანიამ მისი ნაოპერაციევი ფეხის დაზღვევაზე უარი განაცხადა, ფედერაციის მიერ ნაპოვნ კომპანიასთან კი, რომელიც თანახმა იყო, დაეზღვია ფეხი, რატომღაც კლუბი არ გავიდა კონტაქტზე. ასეა თუ ისე, საქართველოს ნაკრებს ვოვა სტეფანიას გარეშე მოუწევს საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყება. კიდევ ერთი დანაკლისი ვიქტორ სანიკიძეა. მას ფეხი აწუხებს და ნაკრებს ვერც მაკედონიასთან და ლუქსემბურგთან მატჩში დაეხმარება. ვატო ნაცვლიშვილის ამბავი კი საყოველთაოდაა ცნობილი - ფილტვზე გადატანილი ოპერაციის გამო მას კიდევ მოუწევს დასვენება. სხვა მხრივ, ნაკრებში ყველაფერი რიგზეა - ბრაიკოვიჩის განკარგულებაში მყოფები ჯანმრთელად არიან.

ფინელებთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრებს ორი გასვლითი მატჩი ელის - 15 სექტემბერს მაკედონიასთან და 18 სექტემბერს ლუქსემბურგთან. ქართველები ვენის გავლით გაემგზავრებიან სკოპიეში, იქიდანაც ვენის გავლით ლუქსემბურგში და უკანაც იმავე გზით დაბრუნდებიან. განმეორებითი მატჩები ერთი წლის შემდეგ გაიმართება. დღესვე მაკედონიელები ლუქსემბურგს უმასპინძლებენ. კენჭისყრის შემდეგ ქართველები უმთავრეს კონკურენტად მაკედონიელებს მიიჩნევდნენ, თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, იოლად გადასალახავი ბარიერი არც ფინეთის ნაკრები იქნება. ფინელები საკვალიფიკაციო ეტაპისთვის დიდი ხანია ემზადებიან და მოსამზადებელ ეტაპზე ყველა მატჩი მოიგეს. მოიგეს ბალტიის თასიც და მათ მიერ დამარცხებულთა შორის შვედეთის გუნდიც ურევია, ის შვედეთი, რომლებიც ქართველებმაც დაამარცხეს იტალიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე.

ფინელები ჩარტერული რეისით დღეს ჩამოფრინდნენ თბილისში და სასტუმრო "ვარაზში" დაბინავდნენ. საღამოს სპორტის სასახლეში ივარჯიშეს. ფინელთა გერმანელი თავკაცი ჰენრიხ დეტმანი ქართველთა უდავო ფავორიტობას აღიარებს, თუმცა, თავისი მოსაზრებები აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ



ჰენრიხ დეტმანი ქართველთა დამარცხებას ფიქრობს.

როგორ უნდა მიაღწიოს მისმა გუნდმა სასურველ შედეგს: "ქართველებს ძალიან კარგი გუნდი გყავთ. ახალგაზრდა, პერსპექტიული. თქვენთან მაღალი კლასის ბევრი მოთამაშეა, მაგრამ კალათბურთი გუნდური თამაშია. ასე რომ, ჩვენ ვაპირებთ, შევაჩეროთ ქართველთა გუნდი და არა კონკრეტულად რომელიმე მოთამაშე. ამ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, სასურველ შედეგს მივიღებთ".

დეტმანი შარშან "მიტელდოიჩერის" მთავარი მწვრთნელი იყო. ეს ის გუნდია, რომლის შემადგენლობაშიც მანუჩარ მარკოიშვილი თამაშობდა. ამდენად, მას სხვებზე უკეთ იცის, რას წარმოადგენს ქართველი. "მანუჩარი ძალიან კარგი ბავშვია, ძალიან კარგი. უდიდესი ნიჭის პატრონი. უბრალოდ, მას სწორი მიმართულება უნდა მიეცეს", - ასე დაახასიათა გერმანელმა სპეციალისტმა მარკოიშვილი.

ფინელთა წარმატების მთავარ შემოქმედად ქვეყნის კალათბურთის ფედერაცია სწორედ დეტმანს მიიჩნევს. გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის საუკეთესო შედეგი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ადგილია. "მეტის მიღწევა შევძლო, მაგრამ მოთამაშეთა ტრავმებმა თავისი შედეგი გამოიღო, უარყოფითი, რა თქმა უნდა. თუმცა, ალბათ, ურიგო შედეგისთვის არ მიგვიღწევია", - აღნიშნა დეტმანმა.

როგორც ზემოთ ვთქვით, მოსამზადებელ ეტაპზე ფინელებმა ერთობ შთამბეჭდავად ითამაშეს. "უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. უკმაყოფილო ვარ გათამაშების სისტემით. საქართველო, ფინეთი და მაკედონია ერთ ჯგუფში მოხვდნენ. არადა, სამივე მათგანი B დივიზიონის ფავორიტია. სამაგიეროდ, სხვა ჯგუფებში გაცილებით სუსტები მოხვდნენ. მოკლედ, ცუდად ვართ გადანაწილებულნი. აქედან გამომდინარე, სამივე მათგანი ჯგუფის ფავორიტია. მოსამზადებელ ეტაპზე ჩვენ დავამარცხეთ შვედეთი. მათ თქვენც მოუგეთ. დავამარცხეთ ესტონეთი, სამაგიეროდ თქვენ მოუგეთ რუსეთს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ასეთი დონის გუნდები ერთ ჯგუფში არ უნდა ხვდებოდნენ, თუმცა, სხვა რა გზაა. უნდა ვებრძოლოთ ერთმანეთს", - განაცხადა დეტმანმა.

პირველი ბრძოლა დღეს, საღამოს რვა საათზე გაიმართება სპორტის სასახლეში და მასზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ჯგუფიდან მხოლოდ ერთი გუნდი აგრძელებს ბრძოლას, ასე რომ, წაბორძიკების უფლება არა გვაქვს.

ჩოგბურთი

# კრიტიკასაც გავუძლებ და...

*"24 საათში" რამდენჯერმე გამოქვეყნდა ინტერვიუ ქალბატონ ლეილა მესხთან, მაგრამ ამჯერად ჩემი ვიზიტის მიზანი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან სულ სხვა რამ იყო. მე არ მიცდია გამეგო, თუ რა პრობლემები აქვს ქართულ ჩოგბურთს და, საერთოდ, რა ხდება ამ სფეროში. ჩემი ვიზიტის ერთადერთი მიზანი იყო, გამეგო, რითი შეგვიძლია ჩვენ, ჟურნალისტებს, დავეხმაროთ ქართულ ჩოგბურთს.*

სანდრო ნავერიანი

**- ქალბატონო ლეილა, ჩვენ რითი შეიძლება დავეხმაროთ ქართულ ჩოგბურთს, რათა ის, ასე ვთქვათ, გადავარჩინოთ?**

- რაც შეიძლება ხშირად უნდა გააშუქოთ ის, რაც დღეს საჩოგბურთო სამყაროში ხდება, მაგრამ ყველაზე დიდი ყურადღება უნდა დაუთმოთ შიდა ტურნირებს - საერთაშორისო იქნება ეს თუ საქართველოს მასშტაბით. სამწუხაროდ, ქართული პრესა ჩოგბურთთან დამოკიდებულებაში ძალზე პასიურია. ძალიან ვთხოვ ყველა იმ ჟურნალისტს, რომლებმაც არ იციან რა ხდება ქართულ ჩოგბურთში, ნუ იქნებიან არაკორექტულები, ნუ დაწერენ იმას, რაც სინამდვილეში არ ხდება. ამას წინათ გამოქვეყნდა წერილი, რომლის ავტორი მკაცრად აკრიტიკებდა ჩოგბურთის ფედერაციას და ჩოგბურთელებს. კრიტიკას ავიტან, თუ ის სამართლიანია, მაგრამ თუ არ ვიმსახურებ, მაშინ რა ვქნა, ჩემი ნერვები შევწირო ვიღაც უცოდინარი ჟურნალისტის ნაჯღაბნს? თავად განსაჯეთ: საქართველოში სულ სამი საერთაშორისო ტურნირი იმართება, რომელთაგან ერთ-ერთი, "ბორჯომის თასი", ახლა მიმდინარეობს. ასი გაზეთი რომ გადაშალოთ, შეიძლება მხოლოდ ორში იყოს რაიმე ინფორმაცია ამ ტურნირის შესახებ.

**- რა შეგიძლიათ გვითხრათ "ბორჯომის თასის" ტურნირზე, აგრეთვე "ქართუ ბანკისა" და ბათუმის ტურნირებზე?**

- დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა იმისთვის, რომ "ბორჯომის თასის" წლევანდელი გათამაშება შემდგარიყო. რასაკვირველია, ყველაზე დიდი პრობლემა საკმარისი თანხის უქონლობა იყო, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა და დღეს უკვე ნახევარფინალები გაიმართება. რაც შეეხება დანარჩენ ორ ტურნირს, ისინიც აუცილებლად ჩატარდება. უკვე ცნობილია "ქართუ ბანკის" ტურნირზე მოასპარეზე ჩოგბურთელთა ვინაობა. ბათუმის ტურნირი კი 19 სექტემბერს დაიწყება.

**- დიღომში მშენებარე კომპლექსი რა ფაზაშია და როდისთვის ვარაუდობთ მის დამთავრებას?**

- ალბათ, ექვს-შვიდ თვეში უნდა დასრულდეს. ვფიქრობ, ახალი კორტების გახსნაც ხელს შეუწყობს საქართველოში ჩოგბურთის პოპულარიზაციას. კორტების გახსნის შემდეგ გვინდა ჩავატაროთ ტურნირი, რომელიც სისტემატურ სახეს მიიღებს და საქართველოში ყველაზე მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირი გახდება.

**- როგორ გამოდიან ქართველი ჩოგბურთელები "ბორჯომის თასის" ტურნირზე, არის თუ არა რაიმე წინსვლა?**

- რასაკვირველია, არის. მეოთხედფინალებში ოთხი ქართველი ჩოგბურთელი თამაშობს. სულ არც ერთი ქართველიც რომ არ იყოს მეოთხედფინალში გასული, ამ ტურნირზე მონაწილეობა მათ მხოლოდ წაადგებათ. წარმოიდგინეთ, ქვეყნიდან გაუსვლელად შეუძლიათ ითამაშონ მაღალი დონის ჩოგბურთელებთან, ამასთან, ქულებიც დაიწერონ და მსოფლიო რეიტინგში ადგილი დაიმკვიდრონ. ეს საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ საქართველოში მაღალი დონის ჩოგბურთელები გაიზარდონ.

# ამერიკა ამერიკელების გარეშე

სანდრო ნავერიანი

ამერიკის ღია პირველობაზე ყველა ნახევარფინალისტი გაირკვა. თუმცა, ქალთა ნახევარფინალები ისედაც ცნობილი იყო. გასარკვევი მხოლოდ კაცების ნახევარფინალები გახლდათ.

როგორც გახსოვთ, ფედერერ-აგასისა და ჰენმან-ჰრბატის შეხვედრები წვიმის გამო შეწყდა. ოთხივე მეოთხედფინალური მატჩი გუშინ, გამთენიისას შედგა. აგასიმ და ფედერერმა, როგორც იქნა, დაასრულეს თავიანთი შეხვედრა. ალბათ, გახსოვთ, ანგარიში ფედერერის სასარგებლოდ - 2:1 იყო. მეოთხე სეტი აგასიმ მოიგო - 6:3, მაგრამ მეხუთე, გადამწყვეტ სეტში შვეიცარიელი ჩოგბურთელი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ორდღიანი მატჩის შემდეგ საბოლოო ანგარიში ასეთია - 6:3, 2:6, 7:5, 3:6, 6:3 ფედერერის სასარგებლოდ.

კიდევ ერთი შეწყვეტილი შეხვედრა, რომელშიც ბრიტანელი ტიმ ჰენმანი და სლოვაკი დომინიკ ჰრბატი თამაშობდნენ, ჰენმანის გამარჯვებით დასრულდა. სლოვაკმა მესამე სეტი კი მოიგო, მაგრამ აშკარა იყო, რომ მან ამოწურა თავისი შესაძლებლობები და მეოთხე სეტში ვეღარაფერი შეძლო. ჰენმანმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 6:1, 7:5, 5:7, 6:2.

რაც შეეხება დანარჩენ ორ მეოთხედფინალს, ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა გერმანელი ტომი ჰაასი ადვილად, სამ სეტში დაამარცხა - 6:2, 6:2, 6:2. როგორც ჩანს, ჰიუიტმა ბოლომდე აღიდგინა სპორტული ფორმა და ისევ იმ ჩოგბურთს თამაშობს, რამაც მას დიდება მოუტანა. მეოთხე მეოთხედფინალური მატჩი კი ყველაზე საინტერესოდ წარიმართა. აქ ამერიკელი ენდი როდიკი და შვედი იოაჰიმ იოჰანსონი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. როდიკი, რომელმაც შარშანდელი ამერიკის ღია პირველობა მოიგო და წლეულსაც იგივეს უწინასწარმეტყველებდნენ, შვედი ჩოგბურთელისთვის გადაულახავი ბარიერი ვერ ყოფილა. შეხვედრის დაწყებამდე ყველა ამბობდა, როდიკი ადვილად გაიმარჯვებსო. იმასაც კი ამბობდნენ, მატჩი სამ სეტში დამთავრდებაო, მაგრამ ახალგაზრდა შვედმა პირველი ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით - 6:4, 6:4 მოიგო. ამის შემდეგ როდიკი, შეიძლება ითქვას, გამოცოცხლდა და მომდევნო



ენდი როდიკის გამოვარდნით ამერიკის ღია პირველობა ჩემპიონის გარეშე დარჩა.

ორი სეტი მოიგო - 6:3, 6:2, მაგრამ გადამწყვეტ სეტში იოჰანსონმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და ამერიკის ნომერ პირველ ჩოგბურთელს შანსი არ დაუტოვა. საბოლოოდ, შეხვედრა იოჰანსონის გამარჯვებით დასრულდა. ასე რომ, ამერიკის ღია პირველობას არც ერთი ამერიკელი არ შემორჩა.

ნახევარფინალურ მატჩებში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ლეიტონ ჰიუიტი და იოაჰიმ იოჰანსონი, ხოლო მეორე წყვილს როჟე ფედერერი და ტიმ ჰენმანი შეადგენს.

**მეოთხედფინალები**

როჟე ფედერერი (შვეიცარია) - ანდრე აგასი (აშშ) 6:3, 2:6, 7:5, 3:6, 6:3
ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) - დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:1, 7:5, 5:7, 6:2
ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) - ტომი ჰაასი (გერმანია) 6:2, 6:2, 6:2
იოაჰიმ იოჰანსონი (შვედეთი) - ენდი როდიკი (აშშ) 6:4, 6:4, 3:6, 2:6, 6:4

**ნახევარფინალები**

როჟე ფედერერი - ტიმ ჰენმანი
ლეიტონ ჰიუიტი - იოაჰიმ იოჰანსონი

ბოულინგი

# ფიზიკურ-ემოციური განტვირთვისთვის

ბოულინგი მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა. ქართული ბოულინგის ხუთწლიანმა ისტორიამ აჩვენა, რომ ჩვენმა საზოგადოებამაც შეიყვარა ეს გასართობი. სხვისი არ ვიცი და, მე იმდენად კარგად ვერთობი სპორტის ამ არაორდინარული სახეობით, რომ დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებაც კი მომინდა. ხუმრობა იქით იყოს და, რაც მე ბოულინგის შესახებ ჟურნალისტურ ნარკვევებს ვაქვეყნებ, მართლა შემიყვარდა ასეთი გართობა. სხვათა შორის, დავინტერესდი, ნეტავ სხვა მოთამაშეები რა აზრის არიან ბოულინგის შესახებ.

როგორც კლუბის მასშტაბით ჩატარებული კვლევით გამოვლინდა, მათი უმეტესობა ბოულინგს საკმაოდ აზარტულ თავშესაქცევად და ფიზიკურ-ემოციური განტვირთვის საშუალებად მიიჩნევს. მეც ვეთანხმები და, თუ დამიჯერებთ, მეტსაც გეტყვით: ისეთი გახალისებული გამოვდივარ ბოულინგცენტრიდან, ასე მგონია, მთებს გადავაბრუნებ. არა, ამას ნამდვილად არ ვაპირებ, უბრალოდ, თამაშის შემდეგ ენერგიის მოზღვავებას ვგრძნობ და უფრო დიდი ენთუზიაზმით ვაგრძელებ ჟურნალისტურ საქმიანობას.

რაკი ჩემი სპორტულ-ჟურნალისტური ეპოპეა, გარკვეულწილად, ბოულინგცენტრთან შეხებაშია, ცნობისმოყვარეობამ მძლია და დაწვრილებით გავეცანი ბოულინგის მოყვარულთა შეხედულებებს. მათი აზრით, ბოულინგის პოპულარიზაციას დიდად წაადგება სხვადასხვაგვარი ღონისძიებების მოწყობა და ნაირგვარი წამახალისებელი პრიზები. მედიის მხრიდან მხარდაჭერასაც დიდ როლს აკისრებენ. რაც შეეხება სპორტულ ღონისძიებებს, მედიის წარმომადგენელთა ტრადიციული ტურნირი სულ მალე გაიმართება. ჩვენ სულმოუთქმელად ველით ჩემპიონთა ჩემპიონატის დღის დადგომას. ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ ჩვენი გაზეთის გუნდი პრესის ტურნირის გამარჯვებულია და უნდა შეერკინოს ტელეკომპანიათა შორის პირველი ადგილის პრიზიორს - რუსთავი 2-ის გუნდს. მათთან საასპარეზოდ ასევე ემზადება რადიოტურნირის ლიდერი - რადიო 105. აბა, ეს შეჯიბრება იქნება ხალისითა და იუმორით სავსე, თანაც, ისეთი აზარტული, რომ ბოულინგცენტრის მასშტაბებს გასცდება. იმედია, ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი გულშემატკივრობას გაგვიწევს და ჩვენც შევეცდებით, არ გავაწბილოთ.

მოკლედ, თვალი ადევნეთ ჩვენს გაზეთს და გაიგებთ ასპარეზობის შედეგებს. მანამდე კი, თუ თქვენც ესტუმრებით ბოულინგცენტრს და ცოტას წაივარჯიშებთ, საიდუმლოდ გაგიმხელთ: ოქტომბერში იგეგმება ტურნირი პროფესიონალ ბოულერთათვის. როგორც შევიტყვე, კარგი პრიზებიც გველოდება საუკეთესო თამაშისთვის. აბა, ვივარჯიშოთ და ვნახოთ, ვინ როგორ გააგორებს ბურთს ბილიკზე. ჰო, მართლა, ბურთებზე გამახსენდა, სულ ცინცხალი ბურთები, ფერად-ფერადები და, თქვენ რომ გაგიხარდებათ, ისეთი ზომა-წონის. სხვა რაღა გითხრათ, შემოგვიერთდით. თუ თამაშის წესებში გარკვევა დაგჭირდებათ, ინსტრუქტორი დაგეხმარებათ. მისი რჩევები ნამდვილად გამოგადგებათ სროლის ტექნიკის დახვეწაში. მთავარია, ბურთი შეარჩიოთ თქვენი სხეულის წონასთან თანაფარდობით. ფეხსაცმლის გამოცვლაც არ დაგავიწყდეთ. ხომ იცით, როგორ მნიშვნელოვანია ამ ელემენტარული წესის დაცვა. დანარჩენი თქვენს მონდომებაზეა დამოკიდებული.

მე, ჩემი მხრიდან, ბოულინგურ სიახლეებს არ მოგაკლებთ. ძალიან ბევრი დამიგროვდა სათქმელი. მთელი აგვისტოს განმავლობაში, ვიდრე კლუბში რემონტი მიმდინარეობდა, მე ოლიმპიადის ცქერით ვტკბებოდი, მაგრამ თან ბოულინგზე მეფიქრებოდა. ჯერ ერთი, მაინტერესებს, როდის გახდება ოლიმპიურ სახეობათა ოჯახის წევრი. იქნებ მომდევნო ოლიმპიური თამაშების ჩამონათვალში ბოულინგიც ვიხილოთ. რა იცი, რა ხდება. ამიტომ შევეცდები, თქვენც შეგაყვაროთ ეს თამაში და მერე, სპორტულ ლიგაში ან ფედერაციაში გაწევრიანებულები, ალბათ, ჩვენც შევუერთდებით საერთაშორისო ასპარეზობათა მონაწილეებს.

მომავალ ოლიმპიადამდე საკმარისი დროა. გართობისა და რეიტინგის ამაღლებისთვის კი ნუ დააყოვნებთ. ბოულინგცენტრი გელით.



თემურ სუხიტაშვილის ფოტო

ბოულინგის თამაში განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მინისტრებო, გუბერნატორებო, დეპუტატებო, თეზისები საზეპიროდ!





**"კაცის დაწინაურება ბევრს გეტყვის მასზე, რადგან ძალაუფლება ადამიანს ისევე ექცევა, როგორც კიბო. ის ზრდის მასში საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნებას და აკნინებს სხვა, უკეთეს თვისებებს, რომელიც მას აქამდე ჰქონდა. საბოლოოდ იგი საკუთარი მნიშვნელობითა და ყოვლისმომცველი ეგოთი ხდება სავსე."** *(უინსტონ ჩერჩილი, "ათი თეზისი ტირანიის წინააღმდეგ")*

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერ თქვენგანს ერთი ისეთი ნაცნობი ან მეგობარი მაინც გყოლიათ, რომელიც თანამდებობაზე დანიშვნის, დაწინაურების, დამატებითი პრივილეგიების გაჩენის შემდეგ შეიცვალა. ასეთი ადამიანისთვის კარიერაში ოდნავი წარმატებაც კი საკმარისი ყოფილა, რომ მისი სალამი თავშეკავებული, ცივი, ხალხთან, ნაცნობებთან ურთიერთობა - ზედაპირული, ფორმალური, მასთან შეხვედრა, საუბარი კი შეუძლებელი გამხდარიყო. სამწუხაროდ, ეს მე საკუთარი გამოცდილებიდანაც ვიცი. ერთი ასეთი, მეგობარი თუ არა, კარგი ნაცნობი მყავდა, რომლის დანიშვნა-დაწინაურებას მისი შეგრილებული სალმით მივხვდი. არადა, სად დანიშნეს? რომელიღაც გამგეობაში, რომელიღაცა გამგებლის რომელიღაც მოადგილედ! მაგრამ მისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ელემენტარულ ცხოვრებისეულ გამოცდაში დიდი ორიანი მიეღო. დანიშნავენ თუ არა ადამიანს რომელიმე თანამდებობაზე, მისი კონტაქტი გარესამყაროსთან უცაბედად წყდება. მანქანის მინები მუქდება. საჭესთან მძღოლი ჯდება, მობილური ტელეფონი უცხო ნომრებს არ პასუხობს, სამსახურში მდივანი, სახლში კი მთელი ოჯახი "ზეპერსონის" ხელშეუხებლობას მონდომებულად იცავს. ნებისმიერ გაწყენებულ თემაზე საუბარიც კი ამბიციური, ამპარტავანი, ოდნავ შენელებულ-დაფასებული უხდება. მე მგონი, ყველანი დამეთანხმებით, რომ ის, რაც მე არასრულად აღვწერე, თანამდებობის პირთა, მთავრობის წევრთა ზედაპირული, მაგრამ ძალიან ნაცნობი და საკმაოდ ტიპური პორტრეტია.

მაღალჩინოსანი, ხელისუფალი არც ერთი ოჯახის წევრი არ მყოლია. პრივილეგიებითა და თავბრუდამხვევი ძალაუფლებით გამორჩეული თანამდებობა არც მე დამიკავებია ოდესმე. ამიტომ ამ ერთ სიტყვაში "ძალაუფლება" თუ რა ცდუნებაა, ნამდვილად ვერ გეტყვით. თუმცა, ძალიან კი მაინტერესებს, რა იმალება ცნებაში, რომელსაც მხოლოდ ერთეულები თუ უძლებენ.

**"შეუზღუდავ ძალაუფლებას აქვს ძალა, რომელიც იმათ არსებასა და გონს რყვნის, ვისაც ასეთი ძალაუფლება ხელთ უპყრია."** *(უილიამ პიტი, "ათი თეზისი ტირანიის წინააღმდეგ")*

რატომ არის, რომ ადამიანთა უმრავლესობა ძალაუფლებასთან მარცხდება? მის მაცდურობას ვერ უძლებს? რატომ არის, რომ ძალაუფლების სწორად აღქმა და გამოყენება გადაუჭრელი ამოცანაა? რატომ კარგავს საკუთარ სახეს, თუნდაც, მინიმალური ძალაუფლების მქონე ადამიანთა დიდი ნაწილი? თუნდაც ელემენტარული პრივილეგიები რატომ უქვეითებს რეალობის შეგრძნებას ადამიანს? საზოგადოებაში საკუთარ ადგილს რატომ აკარგვინებს? ადამიანი, რომელიც, ერთი შეხედვით, მაღალ თანამდებობას იკავებს, უამრავი შეღავათი, უპირატესობა აქვს ხელთ, საზოგადოებისთვის პატივსაცემი კი არა, პირიქით, საბრალო, უბადრუკი და სასაცილო რატომ ხდება? ალბათ იმიტომ, რომ გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად, საკუთარი პიროვნებით აღფრთოვანებაში, ილუზორულ განდიდებაში ეფლობა, იხრჩობა და ფიზიკურად თუ არა, პიროვნულად იღუპება. კარიერის მაღალ საფეხურზე ათასი ტანჯვა-წამების ფასად აფორთხებული, ძლივს მიღწეული სავარძლის სიმაღლიდან ქვემოთ ველარაფერს ხედავს, სიმაღლისაგან ნელ-ნელა თავბრუ ეხვევა, ნადაგი ეცლება და ბოლოს ძირს ენარცხება. აუცილებლად ენარცხება! თანაც, უმეტეს შემთხვევაში, საკმაოდ მტკივნეულად.

**"მთავრობა ყოველთვის უნდა რჩებოდეს მიზნის მისაღწევ საშუალებად. მაგრამ როდესაც მთავრობა თვითონ იქცევა მიზნად, მაშინ იგი სწრაფად განიცდის ძალაუფლების კორუმპირებაში დეგენერაციას და იქცევა ტირანად."** *(ბერნარდ ბარუხი, "ათი თეზისი ტირანიის წინააღმდეგ")*

როგორ ხდება, რომ სავარძლის, თანამდებობის დაკავების პარალელურად ზრდილობა, თავაზიანობა, თავმდაბლობა, ტაქტი, გულისხმიერება, მომხიბვლელობა, მეგობრობა, მშვიდი ძილი, უმეტესად, უცბად ქრება? სად იკარგება? რას ეწირება? იყო კი მანამდე? ან არის რამე, რაც ამ თვისებების ანუ ადამიანური ცხოვრების, ადამიანური სახის დაკარგვად ღირდეს? ნეტავ, ჩინოსანს დაცვით სიარული, ესკორტი, გზების გადაკეტვა, ხალხის მიწევ-მოწევა, დისკომფორტი, უკმეხი, სიტყვაძუნწი საუბარი, საზოგადოების, პრესის ინტერესის, აზრის იგნორირება რას ჰმატებს? ძლიერებს ამა ქვეყნისა სიარულის, ჯდომის მანერა, ღიმილი, მიხვრა-მოხვრა რატომ ეცვლებათ? პატარა, მოგონილი მიკრო VIP სამყაროში შეღწევა და იქ ადგილის შენარჩუნება, ნეტავ, რა ღირს? ნუთუ აუცილებელია, ძალაუფლებას სული მიჰყიდო?

რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომელიც მაღალ თანამდებობაზე ინიშნება, ხვალ მთავრობის წევრი უნდა გახდეს და ძალაუფლების მაცდურ ჭაობში ჩაფლობის ეშინია? რა კითხვები უნდა დაუსვას თავის თავს გონიერმა, მოაზროვნე ჩინოსანმა, რომ ილუზორული VIP სამყაროს მსხვერპლი არ გახდეს? რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფალმა, რომ საზოგადოების პატივისცემა არ დაკარგოს?

**"ერთადერთი ჯილდო, რომელიც არ მსურდა მქონოდა გადადგომის ჟამს, საზოგადოებაში უნდობლობა იყო."** *(თომას ჯეფერსონი, "ათი თეზისი ტირანიის წინააღმდეგ")*

ბოლო ათწლეულებში, საქართველოში გამძვინვარებული განუკითხაობის, ხელისუფლების ხელშეუხებლობის, უმორალობის, კორუფციის, მთავარი ღირებულებებისა და კრიტერიუმების აღრევის ფონზე ეს საკითხები განსაკუთრებით აქტუალური იყო და, სამწუხაროდ, ნაწილობრივ დღესაც არის. რა არის პოლიტიკა - არაფერი სამშობლოს სიყვარულის გარდა. ასე თვლიდა დოსტოევსკი და თუ ჩვენს დღევანდელ პოლიტიკოსებს, ხელისუფალთ, მთავრობის წევრებს საქართველოს ჭეშმარიტ დემოკრატიულ, ცივილურ სახელმწიფოდ აშენება გულწრფელად უნდათ, მაშინ ნიკოლოზ რურუას მიერ სწორედ მათთვის, ხელისუფალთათვის და ჩვენთვის, საზოგადოებისთვის ასე დროულად ნათარგმნი "ათი თეზისი ტირანიის წინააღმდეგ" წაიკითხონ. ვაცლავ ჰაველის მიერ კოპენჰაგენის უნივერსიტეტში წარმოთქმული სიტყვის და ათი გენიალური პოლიტიკოსისა და ფილოსოფოსის თეზისების მაგალითზე დარწმუნდებით, რომ პოლიტიკა სუფთა ხელებით კეთდება. დემოკრატიული ქვეყანა, საზოგადოება კი მხოლოდ აზროვნების, ანალიზის, საკუთარი თავისადმი დასმული შეკითხვების, თვითკრიტიკის, ერუდიციისა და გულწრფელობის ხარჯზე იქმნება.

**"გამარჯვების შემდეგ უფრთხილდით ორ რამეს - გამარჯვებით გამოწვეულ ეიფორიას და გამარჯვების მიერ მოტანილი ძალაუფლების მაკორუმპირებელ ტენდენციას."** *(ჯონ ადამსი, "ათი თეზისი ტირანიის წინააღმდეგ")*

ქართველი მინისტრები, დეპუტატები, გუბერნატორები და მთავრობის სხვა მაღალჩინოსანი წევრები ველოსიპედის გამოგონებას თუ არ დაიწყებენ და ამ პატარა ბროშურას წაიკითხავენ, ჩაუფიქრდებიან, გააანალიზებენ და ამოკითხულს საკუთარ თავთან, ქვეყანასთან გააიგივებენ, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა უფრო რეალური, დამაჯერებელი, და, ამავე დროს, იოლი გახდება. თუ რომელიმეს გაანალიზება გაუჭირდება, მაშინ გამრავლების ტაბულასავით მაინც დაიზეპიროს და შედეგად კი საზოგადოებას პასუხი უფრო დაუზარლად, პასუხისმგებლობით აღსავსემ გასცეს, აღარ შეიგინოს, მის ხელთ არსებული პრივილეგიებით ზომიერად ისარგებლოს, დაცვა, ისევე როგორც ესკორტის შემადგენელი მანქანების რაოდენობა და სიჩქარე, შეამციროს. ნაცნობებს ძველებურად მიესალმოს. კაბინეტში შემოსულ სტუმარს ფეხზე წამოდგომით შეხვდეს. ნებისმიერი რიგითი მოქალაქის პრობლემა გაითავისოს, გულთან ახლოს მიიტანოს. მოკლედ, ჩვეულებრივ, რიგით, გულისხმიერ, თავმდაბალ ადამიანს დაემსგავსოს, რომელიც საზოგადოების, რიგითი მოქალაქის სამსახურში იმყოფება და მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობითა და ნდობით ბედნიერია. თორემ, რეალურ ცხოვრებაში, სამწუხაროდ, უმეტესად პირიქით ხდება. თითქოს ცალკეული ჩინოსანის მადლიერი, მისი გვირგვინოსანი პერსონის დამფასებელი საზოგადოება უნდა იყოს.

"ათი თეზისი ტირანიის წინააღმდეგ" იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ სრულიად შესაძლებელია, პიროვნება იყო, დიდ პოლიტიკაში მონაწილეობდე, სამშობლოს ემსახურებოდე და VIP პერსონის მავნე სინდრომი თავიდან აიცილო. მაგალითებზე ხომ სწავლობენ. ჰოდა, რა მოხდება, რომ ჩვენც, ჩვენმა ხელისუფლებამაც ამ გენიალურ და მარტივ მაგალითებზე ვისწავლოთ. პასუხისმგებელ თანამდებობებზე მხოლოდ ვაცლავ ჰაველის სიტყვის ზეპირად ჩაბარების შემდეგ დავნიშნოთ. დანიშვნის ბრძანებაზე ხელი არ მოვუწეროთ, სანამ ათივე თეზისს ზეპირად არ ჩაგვაბარებენ, და დავაზუსტოთ, რა გაიგეს და რა - ვერა. ნებისმიერ მომავალ ჩინოსანს, რომელსაც ჰგონია, რომ მომგებიან სამსახურს იწყებს და ერთი სული აქვს, VIP პერსონა როდის გახდება, თუნდაც იძულებით გავათავისებინოთ დიდი პოლიტიკოსებისა და ფილოსოფოსების ასეთი მარტივი სიბრძნეები.

საქართველოში თითოეული ადამიანის პოტენციალი ღირებულია და ცალკეული პიროვნების დეგრადირებისა და დაკნინების გულგრილად ცქერის უფლება არ გვაქვს. ერთ დაღუპულ VIP ჭაობში ჩამხრჩვალ პიროვნებას, დაღუპული საზოგადოება, საზოგადოებას კი ქვეყანა მოჰყვება!

მსოფლიო პოლიტიკაში, აზროვნებაში ვაცლავ ჰაველი, უინსტონ ჩერჩილი, ტომას ჯეფერსონი ან ჯონ ადამსი ერთეულები იყვნენ, მაგრამ ის ერთეულები, რომელთა მიბაძვა, მათ მიერ განვლილი გზის გაანალიზება, მათ მიერ გაკეთებულ რეზიუმეებზე დაფიქრება არავის აწყენს, მითუმეტეს კი ჩვენ მთავრობას, რომელსაც საკუთარი ქვეყნის უახლოეს წარსულში მისაბაძი ერთი მაგალითიც არ ჰყავს. ბოლო წლების საქართველოში ცნება "მთავრობა", სამწუხაროდ, დისკრედიტებული იყო და უამრავი ზნეობრივი, მორალური კანონის წინაშე კომპრომისს გულისხმობდა. თუ დღეს გამოსწორებას, ხელისუფლების გატეხილი სახელის აღდგენას მართლა ვცდილობთ, საბედნიეროდ მაგალითებიც და "ათი თეზისიც" გვაქვს, ანუ აზროვნების სტილი, მორალი, ინტელექტი, ხედვა, პასუხისმგებლობა.

**"პოლიტიკა ადამიანური მცდელობის ის ასპარეზია, რომელშიც უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება მორალურ მგრძნობელობას, საკუთარი თავისადმი კრიტიკულ აზროვნებას, ჭეშმარიტ პასუხისმგებლობას, გემოვნებასა და ტაქტს, თანაგრძნობას, ზომიერებასა და თავმდაბლობას. ეს არის საქმიანობა თავმდაბალი ადამიანისათვის, ანუ მათთვის, ვისი ცდუნებაც შეუძლებელია.**

**მე არ ვიცი, ვარ თუ არა ასეთი ადამიანი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ვალდებული ვარ, ვიყო ასეთი."** *(ვაცლავ ჰაველი. "ათი თეზისი ტირანიის წინააღმდეგ")*

**P.S.** ამ კვირაში ლიტერატურულ კაფეში ახალი ბროშურის - "ათი თეზისი ტირანიის წინააღმდეგ" - პრეზენტაცია შედგა, რომელზეც, ხალხმრავლობის მიუხედავად, თვალში სწორედ ის, ე.წ. "ცნობადი სახეები", ხელისუფალნი დამაკლდა. არადა, როგორ მოუხდებოდათ თუნდაც სხვის მიერ ხმამაღლა წაკითხული ჰაველის სიტყვის მოსმენა!

იმედის დაკარგვა არ მინდა და ვფიქრობ, კაბინეტებში მაინც დარიგდეს მათთვის და ჩვენთვის ასეთი აქტუალური, პატარა, მაგრამ ყოვლისმთქმელი გამოცემა.





# კიდევ ერთხელ სვანეთის გადაღებებისა და ქართული ფოლკლორის შესახებ

ნაწილი II

სალომე კიკალეიშვილი

*სვანეთის ექსპედიციაში, სადაც ქართულ ფოლკლორზე დოკუმენტური ფილმის გადაღებები მიმდინარეობდა, ანსამბლ "ლაშართან" ერთად მონაწილეობდა მუსიკოსი ზაზა კორინთელი (იგივე "ზუმბა").*



*ხალხური სიმღერის შემსრულებლები, რაიონიდან ჩამოყვანილი ოჯახები თავად ორგანიზატორებმა სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს შეარჩიეს.*

ივნისში ეთნოგრაფიულ მუზეუმში "თემის დაცვისა და კულტურული განვითარების კავშირმა" (რომლის ერთ-ერთი მონაწილე ზაზა კორინთელიცაა) ფოლკლორის ფესტივალი "Art-გენი" გამართა. ფესტივალი, რომელიც როგორც თანამედროვე, ისე ხალხური მუსიკის თუ, უბრალოდ, გართობის მოყვარულ ახალგაზრდებს დიდი ხნით დაამახსოვრებდა თავს, შეიძლება მომავალ წელსაც გაიმართოს. "შეიძლება" იმიტომ, რომ ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული. თუმცა, თუ ზაზას დავუჯერებთ, "მთავარი სწორად მიმართული ენერგიაა, თორემ ფულის შოვნას ყოველთვის შევძლებთ".

ხალხური სიმღერის შემსრულებლები, რაიონიდან ჩამოყვანილი ოჯახები თავად ორგანიზატორებმა სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს შეარჩიეს. ამ დღეებში ზაზა თანამოაზრეებთან ერთად ისევ მოგზაურობს, ამჯერად კახეთში, სადაც ოქტომბრის დასაწყისში "ვაზის ფესტივალი" გაიმართება.

- ძველი ტრადიციების შენარჩუნება, ფოლკლორისა თუ ეთნოგრაფიის, უფრო შინაგანი, მორალური მოთხოვნაა. როგორც მუსიკოსებს, პირველი შეხება ფოლკლორთან გვაქვს. ქართული ფოლკლორი ცხოვრების ნაწილია; მასში ფორმულების სახითაა ჩადებული ცხოვრების წესი. სიმღერა - ეს ხომ ურთიერთობის ხელოვნებაა. თუ ეს წესი და ხელოვნება არ გაითავისე, არ შეიყვარე, ვერც სიმღერას ისწავლი და ვერც გაიგებ, ვინ ხარ და საიდან მოდიხარ. ამიტომ ყოველთვის, როცა სადმე მივდივარ, ვცდილობ, დიდი ხნით დავრჩე, ვიცხოვრო, ვისწავლო ამ ხალხთან. სვანეთში ყოველი ამოსვლა ახალი კარის გაღებაა ჩემთვის. ამიტომაც დავთანხმდი ამ ფილმში მონაწილეობაზე, რადგან კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება, მენახა ეს ხალხი, რომელსაც ასე სჭირდება თანადგომა, გვერდით ყოფნა. ვნახოთ, რა გამოვა ამ ფილმიდან. ერთი კვირა ასეთი ექსპედიციისთვის არც ისე დიდი დროა, მაგრამ რა სალაპარაკოა. იმაზეც დიდი მადლობა, რომ გერმანელები ჩვენს ხალხურ მუსიკაზე ფილმს იღებენ.

**- ივნისში ფოლკლორის ფესტივალი გამართეთ. მგონი, საკმაოდ წარმატებული გამოვიდა, რასაც მსმენლის რაოდენობაც მოწმობდა. როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი, როგორ შეაფასებდით ამ ფესტივალს?**

- ჩვენი მთავარი მიზანი ახალგაზრდა თაობასთან ურთიერთობა იყო. მათთვის ფოლკლორი ისეთი ფორმით უნდა მიგვეწოდებინა, რომ საინტერესი ყოფილიყო. არ გვინდოდა, ფესტივალი სტანდარტული გამოსულიყო. საამისოდ იდეალური ადგილი ეთნოგრაფიული მუზეუმია. მოსაზიდად თანამედროვე მუსიკაც გამოვიყენეთ და პროგრამა ისე შევადგინეთ, რომ თანამედროვე და ხალხური ერთად ყოფილიყო წარმოდგენილი. ამიტომ თანამედროვეს მოსასმენად მოსული ახალგაზრდა ხალხურსაც უსმენდა. მგონი, გამოგვივიდა, რადგან მსმენელის 80 პროცენტი ბავშვები იყვნენ. ვინც იქ იყო, ალბათ, ბავშვს "ბასტი-ბუბუზე" აღარ შეიყვანს და ხალხურ ლოტბარებს მოძებნის. ნამდვილი ზეიმი იყო მონაწილეთათვისაც. თითო რაიონიდან ჩამოყვანილი 5-6 ოჯახი, რომელიც ამ ფორმით (ანუ სამღერად) 15-20 წელიწადია, აღარ ყოფილა თბილისში, უკან დაბრუნებულები გვირეკავდნენ და ათას მადლობას გვიხდიდნენ, რადგან იქაც საჭიროდ იგრძნეს თავი; ტელევიზიით უჩვენეს, რაიონებიდან ბავშვები მიჰყავთ მათთან სიმღერის შესასწავლად... ეს, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია, მაგრამ პროცესი მაინც დაიძრა. ბევრი, ალბათ, ემიგრაციაშია წასული, ბევრიც თბილისშია ჩამოსული. ზოგიერთ სოფელში მარტო მოხუცები დარჩნენ. ვიდრე სოფელს არ მივხედავთ, იქ ცხოვრებას პრესტიჟულს არ გავხდით, ამ პრობლემას არაფერი ეშველება. თუ სოფელი გადაშენდა, დაგვრჩება თავკომბალა თბილისი. პირადად მე ძალიან მინდა, ყველაფერს თავი გავანებო და მთელი ენერგიით ერთ რომელიმე კუთხეს მივეხმარო: სვანეთს, ქართლს, რაჭას... მაგრამ ეს არ უნდა იყოს ერთეულების გასაკეთებელი საქმე, იქაურებმაც უნდა იგრძნონ თავისი არსებობის საჭიროება.

**- ამ ფესტივალის ერთ-ერთი მიზანი ეთნოგრაფიული მუზეუმის რეაბილიტაცია იყო. რა გაკეთდა ამისთვის?**

- ბევრი არაფერი, მაგრამ შემოსული თანხით შევძელით, სცენა შეგვეკეთებინა, წყალი შეგვეყვანა, სველი წერტილები, ღობეები შეგვეკეთებინა. მუზეუმი, თანაც, ისეთი, როგორიც ეთნოგრაფიულია, მკვდარი ორგანო არ უნდა იყოს. როცა უცხოელი ორი-სამი დღით ჩამოდის, მარტო აქ ამოყვანით შეგიძლია, ყველაფერი აჩვენო. აქ ხომ მულტიკულტურაა წარმოდგენილი. უნდა გაუსინჯონ გემო ამა თუ იმ კუთხის სამზარეულოს, ღვინოს, უნდა იყოს თონე, სადაც პური გამოცხვება, ანსამბლი, რომელიც შაბათ-კვირას მაინც შეასრულებს ხალხურ სიმღერებს. თუ სწორად იქნება მიმართული ენერგია, მაშინ ფულიც მოიძებნება. თუ ჩვენვე არ ვიზრუნეთ ჩვენს კულტურაზე, გლობალური პროცესები წაგვლეკავს.

**- ახლა ემზადებით "ვაზის ფესტივალისთვის", რომელიც კახეთში გაიმართება. როგორია ფესტივალის პროგრამა?**

- ფესტივალი 8-10 ოქტომბერს გაიმართება. ამაში კულტურის სამინისტრო მიიღებს მონაწილეობას. მთელ კახეთში მოეწყობა კულტურული ღონისძიებები, ზოგადად თუ შეიძლება ითქვას, ღონისძიება ღვინის რეწვის პოპულარიზაციისთვის. ჩამოვლენ მხატვრები, ჩატარდება კლასიკური და თანამედროვე მუსიკის კონცერტები. რაც შეგვეხება ჩვენ, "Art-გენს", გვინდა, მირზაანში, ფიროსმანის მიწაზე, სამდღიანი რთველი მოვაწყოთ. მანამდე ბევრი რამ არის გასაკეთებელი: მარნები, მიწაში ჩადებული ქვევრები, საწნახლები... ოჯახები, რომლებსაც რაიონებიდან ჩამოვიყვანთ. პირველ დღეს თბილისიდან 100-150 სტუდენტის ჩაყვანაა დაგეგმილი, ვენახის დაკრეფა, რომელიც სარიტუალო სიმღერების ფონზე შესრულდება; მეორე დღეს საწნახლებში დაწურვა, ბოლო დღეს კი გვინდოდა ვენახის გაშენება, მაგრამ იმის გამო, რომ შემოდგომა ამისთვის ცოტა დაგვიანებულია, ვაპირებთ მოვაწყოთ სემინარი, რომელშიც გლეხები, მეცნიერები, მეღვინეები, სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას; ღვინის ტრადიციული დაყენების, დღევანდელი მეთოდების, ევროპული მეთოდების შესახებ. კეთების სურვილი დიდია, მაგრამ დაფინანსება... ჯერჯერობით მხოლოს "GWS"-ი გვაფინანსებს."

## სკანვორდი



## TV პროგრამა

11 სექტემბერი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **10.55** საბავშვო ფილმი "ტომ სოიერი" **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი "დავიწყებული მელოდია ფლეიტისათვის" **15.20** მხ. ფილმი "სიკვდილი მას" **17.00** ველური სამყაროს ამბები **18.00, 21.00, 00.00** კურიერი **18.20** თანამედროვე ტექნოლოგიები **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **22.00** "ფსიქო"- "თერთმეტი სექტემბერი". რეჟ. შონ პენი (12). **00.20** მხ. ფილმი "სახლი მეზობლად". მთ. რ-ში: ტერეზა რასელი (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.25(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** მადლობთ ფოტოსთვის. დოკ. ფილმი. **07.00** ყავა თუ ჩაი. საუბრები მრგვალ მაგიდასთან. **08.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" **12.20** ოჯახი უპირველეს ყოვლისა. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟაკ რენარი. 2002. **18.35** კითხვები ემპიონისვის. ტელეთამაში. **20.25** კრიმინალური პოლიცია. ტელესერიალი. **04.20** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე - ქიზიყი **12.15** ჩოგბურთი. "ბორჯომის თასი" **14.55** ფორმულა-1 **17.25** "იმღერე რამე" **17.55** ფეხბურთი. ლოკომოტივი - ვით ჯორჯია **20.35** ფორტუნა **21.15** პოლიტუკური მკვლელობები - რ. კენედი **22.05** "საღამოს საუბარი" ნ. ლადარია **22.50** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **23.05** დოკ. ფილმი "რა რჩება ამერიკული ოცნებისაგან" **00.10** მხ. ფილმი "მე რომ მდიდარი ვიყო"

### ЈІSТ

**08.00** "ქართული" **12.00** "ფოლკი" **12.30** "მხიარული" 5 **13.00** "კლიპ-მიქსი" **18.00** "ფოლკი" **19.00** "ტევე-პოპი" **20.00** "მხიარული" 5 **20.30** "ფოლკი" **21.00** "ტევე-პოპი" **00.00** "ნონ-სტოპი"

### 202

**11.00** კონცერტი **13.00,19.00** ტვ-შოპი **19.00** კონცერტი **21.00** ტვ-შოპი **22.00** 202-ის ვიდეო არტები

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **12.30** შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია" **13.00** სერიალი "ნათლიმამას ისტორია" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "ძარცვა იტალიურად" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "ფარული კამერა" **17.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **17.50** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **20.30** სერიალი "ნათლიმამას ისტორია" **21.30** კრიმ. დრამა "ტაქსის მძღოლი" **22.30** მხ. ფილმი "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" (18)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა-ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **21.00** ქიმერიონი - "ინსაითი" და ნ. ქათამაძე **22.00** მხ. ფილმი "თავისუფალი გი:ები" (15)

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05, 11.30, 18.00, 02.20** იმედის მელოდიები **10.15** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **11.00, 01.30** ტვ-მარკეტი **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.35** მხ. ფილმი "ჭრიჭინა" **15.15** მხ. ფილმი "ცეზარი და როზალი" **17.05** დოკ. სერიალი "სტილის ამქრები" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** ვაკაჭინიუსი **20.00** კალათბურთი. საქართველო-ფინეთი. პირდაპირი **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი **00.20** მხ. ფილმი "სისხლი და ქვიშა" (18) (შ. სტოუნი)

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "ჩემი ბრალი არ არის" (გ) **19.40** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** მხ. ფილმი "მეწამული მდინარეები" (18)

### ОРТ

**06.00** Новости **06.10** "Все путешествия команды Кусто". **06.50 Х/ф "ЗВОНЯТ, ОТКРОЙТЕ ДВЕРЬ"** **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря **09.10** Здоровье **10.00** Новости **10.10** "Смак" **10.30** "Интересное кино" **11.30** "Анекдоты" **12.00** Новости **12.10** История с географией. **13.20** Дисней-клуб: **13.40** "Браво, Маэстро!" **14.20 Х/ф "ДВОЙНОЙ ОБГОН"** **16.00** "Кумиры" + Кумиры" **17.50** Классика Уолта Диснея **18.00** Вечерние новости **18.10 Х/ф "АФОНЯ"** **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время **21.20** "Ялта-2004" **22.40** "Золотой граммофон" **23.40 Х/ф "МУЖСКОЙ СТРИПТИЗ"** **01.30** "Голливудские ножи" **02.30** Кубок мира. Хоккей. Полуфинал **05.00** "Империя чужих"

### НТВ

**06.10 "КРЕСТОНОСЕЦ"** **08.00** "Сегодня" **08.15** "Энциклопедия тайн" **08.40 "ТАРЗАН" Сериал** **09.30** "Дикий мир" **10.00** "Сегодня" **10.20** "Растительная жизнь". **10.55** "Кулинарный поединок" **11.55** "Квартирный вопрос" **13.00** "Сегодня" **13.20** "Салям, Америка!" **13.55 Х/ф "ВОРЫ В ЗАКОНЕ"** **16.00** "Сегодня" **16.20** "Женский взгляд" **16.55** Своя игра **17.55 "АДВОКАТ" Сериал** **19.00** "Сегодня" **19.40** "Вечерний звон" **21.25 Х/ф "БАЗА "КЛЕЙТОН"** **23.30** Костя Цзю - Ахмед Сантос **00.20 Х/ф "КЛЮЧ"**

# პანკის დედა



მოდა ნინა ჰაგენის ახალი გატაცებაა. მისი მოდა ისეთივეა, როგორიც მისი მუსიკა: ხმამაღალი, ექსტრავაგანტური, განუმეორებელი. როკ-მომღერალმა ნინა ჰაგენმა კიოლნში თავისი ტანსაცმლის ახალი კოლექცია, "პანკის დედა" წარმოადგინა: შავი ფერი და მანათობელი, თვალშისაცემი ლაქები, სრულიად ველური აქსესუარები და თამამი ფორმები.

"გახდა ჩვენი საზოგადოების განუყოფელ ნაწილად იქცა, მაგრამ ჩაცმაც საინტერესოა ხოლმე და სასიამოვნო," - ბრძანა ექსცენტრულმა მუსიკოსმა ჩვენების დაწყების წინ. ნინას მუსიკის თანხლებით პოდიუმზე "ჰაგენურად" გამოწყობილი მოდელები ავიდნენ და 2005 წლის საგაზაფხულო კოლექციამ მაყურებლის აღტაცებული ტაში დაიმსახურა.

ეს პანკის დედოფლისა და დიზაინერ საშა ლუცის ერთობლივი ნამუშევარია. ავაზას ბეწვის მსგავსი ორნამენტით დაფარული პრიალა, ვიწრო შარვლები და ნარინჯისფერი პლუშით გაწყობილი შავი ქურთუკები; მწვანე ბადისებრი ქვედაკაბა, შავი მაისურა და მანათობელი, თვალისმომჭრელად ყვითელი ბუმბულის მოსასხამი; ვარდისფერი კაბა ფოტოსურათებით შემკული კორსეტით - ყველაფერ ამას პირველ რიგში მჯდომი ნინა თავის მეუღლესთან, ლუკას ალექსანდერთან და ვაჟიშვილ ოტისთან ერთად ამაყად შესცქეროდა.

ნინა, რომელიც ახლა 49 წლისაა, ბევრი ტანსაცმლისა და ბევრი დეტალის მოყვარულია. ამას ის სულ მარტივად ხსნის: "როცა ტანსაცმელი ბევრია, ყველაფრის გაკეთების საშუალება გეძლევა: გინდა პოლიტიკური განცხადება გააკეთე, გინდა იმხიარულე და გინდა გულახდილად სექსუალური იყავი". თავის კოლექციაში მას რამდენიმე ნივთი განსაკუთრებით მოსწონს: "მე მგონი, ხელოვნური ტყავის ქურთუკიც ძალიან მაგარია და კოლაჟივით კორსეტიც. საერთოდ, კოლაჟები კარგი რამაა. თუ გახსოვთ, 80-იან წლებში თეთრ ქსოვილზე პოლიტიკურ ლოგოებს და სიმბოლოებს ვხატავდი ხოლმე. ხომ მაგარი იყო?"

ნინასეული მოკლე კაბები ძალიან მოკლეა, ძირითადად, ფერადი. გალაქულ, ერთი შეხედვით ძალიან მოუხერხებელ კორსეტებს ბადისებრი სახელოები აქვს, ხოლო გრძელ, პრიალა პალტოში გამოწყობილ მოდელს ფუმფულა, ხელოვნური ბეწვის იისფერი ჩანთა აქვს მხარზე გადაგდებული. ბუნებრივ ბეწვს ნინა არც ცხოვრებაში და არც კოლექციაში არ იყენებს - უნამუსობად მიაჩნია.

მართალია, ჰაგენი არც "კლასიკას" უარყოფს: როცა მისეული Let me entertain you-ს ინტერპრეტაცია გაისმა, კიოლნელებმა ელეგანტური შავი საღამოს კაბებიც ნახეს.

პოდიუმზე ერთადერთმა მამაკაცმაც გაიარ-გამოიარა, თასმებით შეკრულ მაისურაში. მისმა გამოჩენამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება არ მოახდინა, რამდენადაც ტრავესტი-ვარსკვლავის, ოლივია ჯონის გველის ტყავის ქვედაკაბამ და შავმა პერანგმა. შოუზე 1989 წლის გოტიეს ოქროსფერი ქურთუკიც იყო ნაჩვენები, რომლის ზურგზეც მრავალი ცნობილი ადამიანის ავტოგრაფის ამოკითხვა შეიძლებოდა. ნინა ჰაგენმა ბრძანა, რომ ეს ქურთუკი აუქციონზე გაიყიდება და შემოსული თანხა ქაბულის ობოლთა თავშესაფარს გადაეცემა.

პრეზენტაციის შემდეგ ნინა ჰაგენი ძალიან კმაყოფილი ჩანდა. "სად აღარ ვყოფილვარ და ყველა ქვეყნიდან ქსოვილები ჩამომქონდა ხოლმე," - იხსენებდა ის მოდით თავისი გატაცების პირველ წლებს. დიზაინერი ლუციც ამაყი იყო. მან თქვა, რომ თავისი საქმე "ქუჩაში ისწავლა" და ეს ყველაზე კარგი სკოლაა.

ძნელი სათქმელია, რამდენად კარგი სკოლაა ქუჩა, მაგრამ ქუჩაში რომ "პანკის დედის" მსგავსად გამოწყობილი ქალები გამოჩნდნენ, ეს, მართლაც, ძალიან კარგი იქნება. გავერთობით მაინც.

## TV5-ის პროგრამა

**13 სექტემბერი. 06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.25(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ოლიმპიური თამაშები. ფრანგების ბედისწერა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **12.15** არტ რეპორტაჟი. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **19.05** გადაცემა: სურათის წინ. **22.05** გადაჩემა: ულტრა. **24.25** შემთხვევით ბალთაზარი. მხ. ფილმი. რეჟისორი რობერ ბრესონი. 1966. **02.50** მუშეტი. მხ. ფილმი. რეჟისორი რობერ ბრესონი. 1967. **04.20** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი.

**14 სექტემბერი. 06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** დონ კიხოტის გზები. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **12.15** თითქმის აუტანელი ხალხი. მხ. ფილმი. რეჟისორი მიშელ დევილი. 2002. **16.25** Gადაცემა: აქტუალური თემა. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** სამხრეთის ანარეკლი. **22.05** აზიზა. სკულპტორები. დოკ. ფილმი. **24.25** გადაცემა: კროსვორდები. 04/20 ეშმაკი უარყოფს. ტელესერიალი.

**15 სექტემბერი. 06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** უდიდესი სპორტული დუელები. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **16.30** წარმავალი მოგონებები. მხ. ფილმი. რეჟისორლ ფრანსუა მარტურე. 2000. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** შანტსი. ჯაზის პირმშო. დოკ. ფილმი. **23.00** გულაგი. დოკ. ფილმი. **24.25** გადაცემა: ფრთები და ფესვები. **02.55** სამხრეთის ანარეკლი. **04.25** სამძებრო პოლიცია.

**16 სექტემბერი. 06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.25** ტელეტურიზმი. **12.20** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი. **16.30** გადაცემა: ფრანს ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** აქტუალური თემა. **23.00** გადაცემა: თვეში ერთხელ. **24.25** სხვა გოგონები. მხ. ფილმი. რეჟისორი კაროლინ ვინალი. 2000. **04.20** აკრძალული სიყვარული. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟაკ მალატერი.2002.

**17 სექტემბერი. 06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ცისფერი მზეთუნახავი. **12.15** ფრანკ რივა. ტელესერიალი. **16.25** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. **17.05** რეზისტანტის მონაწილენი მოგვითხრობენ. დოკ. ფილმი. **22.05** აკუსტიკა. ალენ ბაშანი. **24.30** თოვლის შესანიშნავი ქალბატონი. მხ. ფილმი. რეჟიოსორი ჟანმარკ ვერვორი. 2003. **02.55** გულაგი. დოკ. ფილმი. **04.20** ფრანკ რივა. ტელესერიალი.

**18 სექტემბერი. 06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.35(შვეიცარია), 03.05(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** გადაცემა: ჰაერზე გასეირნება. უბეის ხეობა. **08.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" **10.25** გადაცემა: აღმოჩენა. არქეოლოგია. **12.15** თოვლის შესანიშნავი ქალბატონი. მხ. ფილმი. რეჟიოსორი ჟანმარკ ვერვორი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **14.05** გადაცემა: მითხარით. **19.00** 24 საათი დამასში.

**19 სექტემბერი.** 0624 საათი დამასში.**20.00, 24.00,** 02.40(შვეიცარია), 03.10(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **20.25** მხოლოდ კვირა დღეს. **23.00** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. პირველი ლიგა. 24.2524 ღამე. მხ. Fილმი. რეჟისორი Mმოჰამედ მალასი. 1992.








თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.